

1/2025

შვედარეზიტი სარეტილი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2024

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2024

© ავტორები, 2025

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი	ადვოკატი თემურ ბიგვავა
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი	ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ნოტარიუსი რინარდ ბოკი	ხატია პაპიძე
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი	დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი	ადვოკატი გორა ოყრეშიძე
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი	დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი	ადვოკატი ქეთევან ბუაძე
პროფ. ტანელ კერიკმაე	ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა	თორნიკე დარჯანია
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი	ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია	სულხან გველესიანი
ფრანკ ჰუბფელდი	ნატალი გოგიაშვილი
ხათუნა დიასამიძე	ჰატიმ ჰუსეინი
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე	დანიელ ფოა
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე	დიმიტრიოს პაპადოპულოსი
დავით მაისურაძე	ოსკარ ფონ კოსელი
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი	რაფაელ კნეერი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია
ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

დელიქტური ზიანის შემთხვევები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში <i>ქეთევან მესხიშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი</i>	7
პირობადებული საკუთრებიდან ნაწარმოები მოლოდინის უფლების სამართლებრივი ბუნება <i>გელა ჩილოშვილი</i>	38
დანაშაულის საგანი ქურდობისას <i>თემურ ცქიტიშვილი</i>	58

სასამართლო პრაქტიკა

უზენაესი სასამართლო: „სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ (Business Judgment Rule) წესი – დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების დამცავი მექანიზმი <i>(ტაკაშვილი)</i>	67
უზენაესი სასამართლო: არაკატეგორიული (სავარაუდო) ექსპერტიზის დასკვნის შეფასების პროცესუალური თავისებურებანი <i>(შუბლაძე)</i>	70

დელიქტური ზიანის შეფასებები არასრულწლოვანთა მონაწილეობით საქართველოსა და გერმანიაში

ქეთევან მესხიშვილი

საპედაგოგო სასამართლოს მოსამართლე

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი (პენსიონირებული)

ნაწილი 1

შესავალი:

არასრულწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობა ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ზიანის ანაზღაურების სამართალში. მითითებული თემა დატვირთულია სამართლებრივი და მორალური კატეგორიებით და ბმავს ისეთ საკითხებთან, როგორცაა, არასრულწლოვანთა ჯეროვანი აღზრდის ვალდებულება, მათთვის იმის სწავლება, თუ რა არის დასაშვები და რა დაუშვებელი, სად გადის ქმედების მართლზომიერებასა და მართლწინააღმდეგობას შორის ზღვარი, რა არის ჩემი და სხვისი უფლება და რატომ მთავრდება ჩემი თავისუფლება იქ, სადაც სხვისი უფლება იწყება და ა. შ. თუმცა, უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი კუთხით არასრულწლოვანთა შემეცნებამდე, მცირეწლოვნის აღზრდა მისთვის მორალური ღირებულებების დანერგვით უნდა მიმდინარეობდეს, იმის გათვალისწინებით, რომ სხვა არ უნდა დაზარდოს ან დაჩაგროს და ა. შ. როდესაც ბავშვის

აღზრდა, ამგვარი ადამიანურ-მორალური ღირებულებებით არის გაჯერებული, ეს შესაბამისობაშია მშობლის ან ბავშვის აღზრდაზე სხვა პასუხისმგებელი პირის ვალდებულებასთან, იზრუნოს ბავშვის არამხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ და სულიერ განვითარებაზე. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის თანახმად, ზედამხედველობას არაფერი აქვს საერთო აღზრდის მიზანსა და მზრუნველობასთან. აღზრდის მოვალეობა გათვალისწინებულია საოჯახო სამართლით². ამიტომ, მხოლოდ აღზრდის ზოგადი მოვალეობის დარღვევა არ იწვევს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობას³. აღზრდის ვალდებულების შესრულების კვალდაკვალ მშობელს ან ბავშვის სხვა წარმომადგენელს აქვს ბავშვის ქცევის კონტროლისა და ზედამხედველობის მოვალეობაც, რადგან ბავშვის აღზრდა არ გამოორიცხავს მისი მხრიდან მართლწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, შესაბამისად, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მე-

¹ თარგმანი შეასრულა ნატალი გოგიაშვილმა.

² ბიჭია მ. კანონისმიერი და დელიქტური ვალდებულებები, თბილისი, 2024, გვ. 303.

³ იქვე.

ტია მისი მხრიდან გაუთვითცნობიერებელი ზიანის მიყენების რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამართლის მიხედვით, ბავშვთა დელიქტუარიალობის ასაკი განსხვავებულია, ბრალის გაცნობიერების ობიექტური ტესტის მიხედვით, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ 6 წლამდე ბავშვები, როგორც წესი, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, თავიანთი ქცევის მნიშვნელობა გააცნობიერონ. მაშინაც, როდესაც მათ დასწავლილი აქვთ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, მათ ყოველთვის არ შეუძლიათ აღნიშნულ ცოდნაზე დაყრდნობით იმოქმედონ, ასაკიდან გამომდინარე, ხასიათის იმპულსურობის გამო⁴.

არსებობს დილემა, ერთი მხრივ, ბავშვების პასუხისმგებლობის ემოციურ წინააღმდეგობასა და, მეორე მხრივ, მსხვერპლთა დაცვის ვალდებულების სოციალურ მიზანშეწონილობას შორის, ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ისმის კითხვა, როგორ გარდავქმნათ სალი აზრი და სამართლიანობა სამართლებრივ წესად?⁵ აღნიშნული დილემიდან საუკეთესო გამოსავლად არის მიჩნეული იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმა, რომლებსაც ბავშვის ქცევაზე კონტროლის ვალდებულება გააჩნიათ. ამდენად, იქ სადაც რთულია, ბავშვი მიიჩნის პასუხისმგებელ სუბიექტად, ასეთ შემთხვევაში მშობლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს⁶, თუმცა, მსოფლიო ტენდენცია, სხვაგვარად თუ ვიტყვით, გაბატონებული მოსაზრება, **ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ნაცვლად, მშობლების ან სხვა ზედამხედველი პირების მხრიდან კონტროლისა და ზედამხედველობის არაჯეროვან შესრულებაზე დაფუძნებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს უპირატესობას**⁷.

ბავშვებზე ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ რაც უფრო კეთილსინდისიერად ასრულებს მშობელი ბავშვის აღზრდისა და სულიერ განვითარებაზე ზრუნვის ვალდებულებას, მით ნაკლებია ბავშვის მხრიდან მესამე პირებისათვის

ზიანის მიყენების საფრთხე, თუმცა, ბავშვის მხრიდან გაუცნობიერებელი ზიანის მიყენების ალბათობა მაინც არსებობს, შესაბამისად, იქამდე, სანამ ბავშვი სრულად შეიცნობს ქმედების მართლწინააღმდეგობის მნიშვნელობას, არსებობს მშობლის ან სხვა კანონიერი, თუ გარეგნობისმიერი წარმომადგენლის კონტროლის ვალდებულება ბავშვის ქცევაზე. მითითებული ვალდებულების დარღვევა კი მშობლის პასუხისმგებლობას იწვევს როგორც საჯარო სამართლებრივი თვალსაზრისით⁸, ასევე, მესამე პირების წინაშე, ზიანის ანაზღაურების კონტექსტში⁹. ამდენად, მშობლის მოვალეობა, აღზარდოს ბავშვი და აკონტროლოს მისი ქცევა, არ არის რელატიური და არ მიემართება მხოლოდ ბავშვს, არამედ აბსოლუტურია იმდენად, რამდენადაც მშობლის ან სხვა წარმომადგენლის პასუხისმგებლობის არეალში ექცევა ბავშვის მხრიდან საზოგადოების სხვა წევრებისათვის ზიანის მიყენების პრევენცია, ხოლო ზიანის დადგომის შემთხვევაში, მისი სრული ანაზღაურება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობლის ან სხვა ზედამხედველი პირის მიერ ზიანის ანაზღაურების აბსოლუტური (არარელატიური) ბუნება არ გულისხმობს ყოველთვის და ყველა ასაკის ბავშვის მშობლის ან სხვა ზედამხედველი პირის უპირობო პასუხისმგებლობას.

საერთაშორისო გამოცდილება ერთმანეთისგან მიჯნავს მშობელთა ან სხვა ზედამხედველ პირთა ე. წ. „**გამკაცრებულ პასუხისმგებლობას**“ და „**დასაბუთებული გაუფრთხილებლობის ვარაუდზე დაფუძნებულ პასუხისმგებლობას**“. მაგალითად, ფრანგული სამართალი მშობელთა ან ბავშვის ზედამხედველობაზე სხვა პასუხისმგებელ პირთა გამკაცრებულ პასუხისმგებლობას აწესებს¹⁰, რაც თავის მხრივ ნიშნავს

⁴ Cees van Dam, *European Tort Law*, Second Edition, Oxford University Press, 2013, გვ. 269.

⁵ Xavier Blanc-Jouvan, „La responsabilite de l'infans“, RTD, seen in Cees van Dam, *European Tort Law*, Second Edition, Oxford University Press, 2013, გვ. 269.

⁶ Cees van Dam, *European Tort Law*, Second Edition, Oxford University Press, 2013, გვ. 270.

⁷ Alice B. Freer, „Parental Liability for Torts of Children“, *Kentucky Law Journal*, Vol.53. Iss.2, Article 5.

⁸ ასკ-ის 172-ე მუხლი, მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობა.

⁹ სკ-ის 994-ე მუხლი. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის.

¹⁰ Cees van Dam, *European Tort Law*, Second Edition, Oxford University Press, 2013, გვ. 270.

იმას, რომ მშობელი ან სხვა ზედამხედველი ყოველთვის ვალდებულია ბავშვის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაუროს, ხოლო მშობელი ან სხვა ზედამხედველი თავის პასუხისმგებლობას ვერ გამოირიცხავს იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ იგი ზედამხედველობისა და კონტროლის ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა, შესაბამისად, ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. შედარებისათვის, გერმანული სამართლის მიხედვით, მშობელი ან სხვა ზედამხედველი ზედამხედველობისა და კონტროლის ვალდებულების დაუდევრად შესრულებისათვის არის პასუხისმგებელი¹¹. მშობელთა ან სხვა ზედამხედველ პირთა პასუხისმგებლობის გერმანიის მსგავსი მასშტაბი მოქმედებს საქართველოშიც. ამდენად, ქართული კანონმდებლობითაც, თუ მშობლები ან სხვა ზედამხედველი პირები დაარღვევენ ბავშვზე მეთვალყურეობის მოვალეობას, ისინი პასუხს აგებენ პასუხისმგებლობის პოზიტიური მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, ვინაიდან მეთვალყურეობის მოვალეობის განხორციელება მიმართულია ბავშვების მიერ მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად¹².

შედარების მიზნებისათვის, ნიშანდობლივია საერთაშორისო უნიფიცირებული წესების განსხვავებული მიდგომების ხაზგასმაც, ასე მაგალითად, DCFR¹³-ის წესების მიხედვით, ბავშვის ქცევა ფასდება იგივე ასაკის ბავშვის ქცევის შეფასების მასშტაბით, DCFR-ის 3:103 მუხლის შესაბამისად, 18 წლამდე ასაკის პირი პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც სიფრთხილის იმ ზომების დაუცველობამ გამოიწვია, რომელთა დაცვა, იმავე გარემოებებში, მისი ასაკის,

გონივრულად მოქმედი, ფრთხილი პირისაგან მოსალოდნელი იყო¹⁴. ამავდროულად, მოქმედებს მშობელთა და სხვა ზედამხედველთა გამკაცრებული პასუხისმგებლობა 14 წლამდე არასრულწლოვანი ბავშვებისათვის¹⁵. PETL¹⁶ - უფრო ნაკლებად ორიენტირებულია მსხვერპლის დაცვაზე, ამავდროულად, მხარს უჭერს მშობელთა არა ე. წ. „გამკაცრებულ“, არამედ „დაუდევრობის დასაბუთებულ ვარაუდზე დაფუძნებულ პასუხისმგებლობას“¹⁷, რომლის მიხედვითაც, ბავშვის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ანაზღაუროს ბავშვის მიერ გამოწვეული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზედამხედველი დაამტკიცებს, რომ იგი მასზე დაკისრებულ ვალდებულებას (ზედამხედველობისა და კონტროლის) ჯეროვნად ასრულებდა¹⁸.

ა. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა და არასრულწლოვნის წინაშე პასუხისმგებლობა ქართული სამართლის მიხედვით:

I. 10 წლამდე ბავშვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ხოლო მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის სრული პასუხისმგებლობა

ქართულის სამართლის მიხედვით¹⁹, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. ივარაუდება, რომ 10 წლამდე პირი ვერ აცნობიერებს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობას, შესაბამისად, მოქმედებს მშობლის ან სხვა კანონიერი (გარიგებისმიერი) წარმომადგენლის პასუხისმგებლობის პრინციპი. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ

¹¹ *Idem*.
¹² ბიჭია მ. კანონისმიერი და დელიქტური ვალდებულებები, თბილისი, 2024, გვ. 303.
¹³ The Draft Common Frame of Reference, <https://sakig.pl/wp-content/uploads/2019/01/dfcr.pdf>.
¹⁴ DSFR – The Draft Common Frame of Reference Art.3:103, <https://sakig.pl/wp-content/uploads/2019/01/dfcr.pdf>.
¹⁵ DSFR – The Draft Common Frame of Reference Art.3:201, <https://sakig.pl/wp-content/uploads/2019/01/dfcr.pdf>.
¹⁶ PETL – Principle of European Tort Law, <http://www.egtl.org/docs/PETL.pdf>.

¹⁷ Cees van Dam, *European Tort Law*, Second Edition, Oxford University Press, 2013, გვ. 270.
¹⁸ PETL – Principle of European Tort Law, <http://www.egtl.org/docs/PETL.pdf>.
¹⁹ სკ-ის 994 I მუხლი: „ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა“. 994 II მუხლი: მშობლები ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან ანაზღაუროს ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.“

როდესაც საუბარია მშობლის პასუხისმგებლობაზე 10 წლამდე ბავშვის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების კონტექსტში, **აღნიშნული პასუხისმგებლობა არ განიხილება მშობლის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობად**, რადგან კონტექსტუალურად მიიჩნევა, რომ მშობელმა ასეთ დროს **ბავშვზე ზედამხედველობისა და მისი ქცევის კონტროლის ვალდებულება დაარღვია**. მშობლის პასუხისმგებლობაში ე. წ. „ნაგულისხმევი ბრალი“ განაპირობებს იმას, რომ **მშობლის პასუხისმგებლობა შეიძლება გამოირიცხოს, თუ ის დაამტკიცებს, რომ მას არ შეეძლო ზიანის თავიდან არიდება**. ამდენად, მშობლის პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში დგება, თუ ბავშვის ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, **10 წლამდე ბავშვის შემთხვევაში არ მოწმდება ბავშვის მხრიდან ქმედების გაცნობიერების ხარისხი**, ვინაიდან დაშვებულია პრეზუმფცია, რომ იგი ვერ აანალიზებს ქმედების მართლსაწინააღმდეგობის მნიშვნელობას. გაანალიზების შემთხვევაშიც, ბავშვი, ასაკიდან გამომდინარე, მოკლებულია აღნიშნული ქცევის კონტროლის შესაძლებლობას. შესაბამისად, **10 წლამდე არასრულწლოვნის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი ვერ გამოირიცხავს მისი მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ისეთ არგუმენტზე დაყრდნობით, როგორცაა, ბავშვის მხრიდან ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გაცნობიერების შეუძლებლობა**, რადგან მის პასუხისმგებლობას სწორედ ის ფაქტი განაპირობებს, რომ იგი კანონისა, თუ გარიგების ძალით იმ პირის ქცევის ზედამხედველობაზეა პასუხისმგებელი, ვინც თავისი ქცევის მართლზომიერებას ვერ აფასებს. მშობლის პასუხისმგებლობას ვერ გამოირიცხავს ვერც ის ფაქტი, რომ ბავშვს თავად გააჩნია ქონება. **10 წლამდე ბავშვის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აქვს მშობელს მაშინაც**, როდესაც ბავშვის სახელზე საკუთრების უფლებით ქონება ირიცხება. ასეთ შემთხვევაში ივარაუდება, რომ **10 წლამდე ბავშვი ქმედების მა-**

რთლსაწინააღმდეგობის მნიშვნელობას ვერ იაზრებს, ან თუ იაზრებს, ვერ აკონტროლებს. დოქტრინაში ბავშვის მხრიდან ქცევის კონტროლის შეზღუდული შესაძლებლობა ბავშვის იმპულსური, რეალურ დროში მყისიერი ქცევის თავისებურებით აიხსნება, ბავშვს არ ახასიათებს წარსული მოვლენების ანალიზი და მომავლის განჭვრეტა, როდესაც მისი შინაგანი ემოცია გარეგანი გამოხატულებით ფორმირდება²⁰. შესაბამისად, მისი ქცევა მშობელმა უნდა აკონტროლოს, რაც, როგორც თავად ბავშვისთვის, ასევე მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების პრევენციაში გამოიხატება. თუ მშობელი მითითებულ ვალდებულებას არ შეასრულებს, ქმედების მართლსაწინააღმდეგობა ბრალად არა ბავშვს, არამედ მშობელს ერაყება, შესაბამისად, თავისი ქონებით პასუხისმგებელ პირად სწორედ ის განიხილება. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი **10 წლამდე ბავშვის სახელზე გადააფორმებს ქონებას იმ მიზნით, რომ მისი ქონება ბავშვის ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არ მოხმარდეს**, გარიგების მოჩვენებითობის საფუძველით, აღნიშნული ქონება ისევ მშობლის ქონებად განიხილება, და მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მოხმარდება.

აქვე, ისმის კითხვა, შესაძლებელია, თუ არა **10 წლამდე ბავშვის ქონებით მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება**, თუ მშობელი დაადასტურებს, რომ ბავშვი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას აცნობიერებდა? მითითებულ კითხვას ასევე უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან **10 წლამდე ბავშვის ნაცვლად მშობლის პასუხისმგებლობა მარტოოდენ იმ ფაქტით კი არ არის განპირობებული, რომ ასაკის სიმცირის გამო ბავშვი ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გაცნობიერებას ვერ შეძლებს**, არამედ იმითაც, რომ **10 წლამდე ბავშვის ქცევის კონტროლზე პასუხისმგებელი მშობელია**. შესაბამისად, ბავშვი თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგობას რომც იაზრებდეს, უფრო მეტიც, იცოდეს, ხვდებოდეს რომ აშავებს და ა. შ. ივარაუდება, რომ ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გაცნობიერების ფაქტი არასაკმარისია

²⁰ Cees van Dam, *European Tort Law*, Second Edition, Oxford University Press, 2013, გვ. 269.

ბავშვის პასუხისმგებლობისათვის. შესაბამისად, აღნიშნულ ქცევას მშობელი უნდა აკონტროლებდეს. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მშობელს მითითებული პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებს, არის მტკიცება მასზე, რომ მეთვალყურეობით ზიანის დადგომის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

მშობელი ასევე შეიძლება პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარიგებისმიერ საფუძველს ეყრდნობოდეს, მაგალითად, როდესაც მას მეთვალყურეობის ვალდებულება გარიგების საფუძველზე მესამე პირისათვის აქვს გადაცემული. ასეთ მესამე პირად შეიძლება ჩაითვალოს ბალი, სკოლა, ასევე, სხვა გასართობი, თუ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რომელსაც მშობელთან ან სხვა კანონირ წარმომადგენელთან დადებული გარიგების საფუძველზე ბავშვი დროებით მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავს გადაცემული. ბავშვზე მზრუნველობის გადაცემის კანონისმიერ საფუძველად განიხილება ბავშვის მინდობით აღზრდა. განსახილველ შემთხვევაში, თუ ბავშვზე მეთვალყურეობა გარიგებითი ან კანონისმიერი საფუძველით იყო დათმობილი (გადასული), 10 წლამდე ბავშვის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირები არიან ბავშვის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები. ისინი უფლებამოსილნი არიან, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხონ, თუ დაამტკიცებენ ზედამხედველობის ჯეროვანი განხორციელების ფაქტს, ამასთან, ზიანის დადგომას ისეთ გარემოებათა გამო, რომლის აცილება შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში, თუ მესამე პირის წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი გაითავისუფლებს თავს, ავტომატურად მშობლის პასუხისმგებლობა არ დგება, რადგან, მშობელს, თავის მხრივ, ბავშვზე ზედამხედველობა გარიგების ძალით მესამე პირისთვის ჰქონდა გადაცემული.

ამდენად, ზოგადი წესის მიხედვით, მეთვალყურეობის მესამე პირთათვის გადაცემა, უფლება-მოვალეობათა გაცნობიერებულ გადაცემას უნდა ეფუძნებოდეს, გაცნობიერების ხარისხი

კი უნდა მოიცავდეს ბავშვზე მეთვალყურეობის ჯეროვანი განხორციელებისა და აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხის გააზრების პროცესსაც. ასეთ ვითარებაში მშობლის პასუხისმგებლობა, სხვისი ზედამხედველობის დროს, ბავშვის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, შეჩერებულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ზედამხედველობის ვალდებულების გარიგებისმიერი დათმობა ნამდვილი, გაცნობიერებული, ჯეროვანი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე გამოხატული თანმხედრი (სინალაგმატური) ნების შედეგი უნდა იყოს. ამავდროულად, მშობელმა მეთვალყურე, ანუ მესამე პირი სათანადო გულისხმიერებით უნდა შეარჩიოს. თუ მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი გარიგებით ზედამხედველ პირს ისე შეარჩევს, რომ მხედველობაში არ მიიღებს ბავშვის ასაკს, შესაძლებლობებს, ქცევით დევიაციებს, ჰიპერაქტიურობას და ა. შ. რა დროსაც გარიგებითი წარმომადგენლის უნარები, გაუმკლავდეს ბავშვზე ზედამხედველობის მოვალეობას, ამკარად არ არის ბავშვის ქცევისა და შესაძლებლობების ადეკვატური, ასეთ შემთხვევაში, მშობლის პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე შენარჩუნებულია და, როგორც წესი, ზედამხედველთან ერთად სოლიდარულია. მაშასადამე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის მიერ ბავშვის გარიგებითი წარმომადგენლისათვის (ზედამხედველისათვის) აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას. თუ მშობელი ზედამხედველს ბავშვთან დაკავშირებით აუცილებელ ინფორმაციას არ მიაწვდის, რამაც ზედამხედველობიდან გამომდინარე მოვალეობების შესრულება გაართულა და, შესაბამისად, ზიანის დადგომა განაპირობა, ამ დროს, მეტად სავარაუდოა, რომ ზედამხედველის ნაცვლად, მშობელმა აგოს პასუხი მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე²¹. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველი აღნიშნულ ინფორმაციას ფლობდა, თუმცა, იმედოვნებდა, რომ გაუმკლავდებოდა, მშობლის პასუხისმგებლობა შეჩერებულად უნ-

²¹ შდრ. *Ellis v. D'Angelo*, 116 Cal.App.2d 310, 253 P.2d.679, seen In: Alice B. Freer, „Parental Liability for

Torts of Children“, *Kentucky Law Journal*, Vol.53. Iss.2, Article 5.

და ჩაითვალოს, გარდა იმ საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც მშობლისთვის იმთავითვე ცხადი იყო ზედამხედველის შესაძლებლობისა და ბავშვის ქცევის კონტროლთან დაკავშირებული გამონვევების კორელაციური დისბალანსი.

II. 10-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის სუბსიდური პასუხისმგებლობა

ქართული სამართლის მიხედვით²², ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. 10-დან 18-წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი არასრულწლოვანმა თავად უნდა ანაზღაუროს საკუთარი ქონებით ანდა შემოსავლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ არასრულწლოვანს ქონება ანდა შემოსავალი არ აქვს, ან მისი ქონება ანდა შემოსავალი არასაკმარისია ზიანის ასანაზღაურებლად, მაშინ დგება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ნიშანდობლივია, რომ 10-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელით შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურების დაკისრება არასრულწლოვნისათვის, ამავე სარჩელით, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე, აღსრულების საშუალებისა და წესის განსაზღვრა მშობლის ქონებაზე, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ქონება ანდა შემოსავალი ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ზიანზე პასუხისმგებელი პირი არასრულწლოვანია, თუმცა, ანაზღაურება მშობლის ქონებიდან ანდა შემოსავლიდან ხდება. შესაბამისად, მშობელი თავისი ქონებით, სამართლის მიზნებისათვის, „სხვის“ ვალდებულებას ასრულებს, შესაბამისად, თუ შვილმა სამო-

მავლოდ ქონება შეიძინა, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაში რეგრესი დასაშვები უნდა იყოს, განსხვავებით 10 წლამდე ბავშვის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან, რა დროსაც მშობელი თავის კანონისმიერ ვალდებულებას ასრულებს, როცა შვილის მიერ მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს. ამდენად, თუ 10 წლამდე ასაკის ბავშვის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი მშობელი ან სხვა კანონისმიერი წარმომადგენელია, 10-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის მიერ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი სუბიექტი თავად არასრულწლოვანია, რაც შეეხება მშობლის სუბსიდურ პასუხისმგებლობას, აღნიშნული თანაპასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს საკმარისი შემოსავალი ანდა ქონება არ გააჩნია. შესაბამისად, ჯერ აღსასრულებლად მიექცევა არასრულწლოვნის ქონება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო თუ ვალდებულება სრულად არ დაიფარა, მაშინ მშობლის ქონებიდან ანდა შემოსავლიდან იფარება არასრულწლოვნის ვალდებულება დაყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

ამდენად, 10 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შემთხვევაში ეშვება „ქმედების გაუცნობიერებლობის“, „მართლწინააღმდეგობის შეუცნობადობის“ პრეზუმფცია, რაც იმას ნიშნავს, რომ 10 წლამდე არასრულწლოვანი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება და მის ადგილს, პასუხისმგებლობის ნაწილში, მშობელი ანდა სხვა კანონიერი (გარიგებისმიერი) წარმომადგენელი იკავებს. რაც შეეხება 10-დან 18 წლამდე არასრულწლოვანს, მის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში არსებობს ე. წ. „ცნობიერი მართლწინააღმდეგობის“ ვარაუდი, რაც მას ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ სუბიექტად აქცევს, თუმცა, სათანადო მტკიცების შემთხვევაში, შესაძლებელია არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის გამორიცხვა, თუ დადასტურდა, რომ ის მართლწინააღმდეგობის შინაარსს ვერ

²² სკ-ის 994 III მუხლი: „ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი

მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც“.

აცნობიერებდა. მაგალითად, 11 წლის არასრულწლოვანმა სხვა პირის კომერციული საიდუმლოება, კომპიუტერული პროგრამის გამოყენების გზით, ისე მოიპოვა და გაავრცელა, რომ ვერც მითითებული ინფორმაციის შინაარსს აცნობიერებდა და ვერც ქმედების მართლწინააღმდეგობას. ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვანი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. საფიქრალია, მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ხომ არ შეიძლება გახდეს მისი კანონიერი წარმომადგენლის, ანდა მასზე გარიგებისმიერი ზედამხედველის პასუხისმგებლობის საფუძველი. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება ამგვარი დასკვნის შესაძლებლობას არ იძლევა, თუმცა, ნორმის ტელეოლოგიური და ლოგიკური განმარტების მიხედვით, თუ მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი 10 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის იმიტომ აგებს პასუხს, რომ მცირეწლოვანი ვერ აცნობიერებს ქმედების მართლწინააღმდეგობას, ე. ი. გამოდის, რომ თუ 10-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი თავად იმიტომ გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან, რომ იგი ვერ აცნობიერებდა მისი ქმედების კანონწინააღმდეგო ხასიათს, მაშინ მისმა მშობელმა ან სხვა კანონისმიერმა ანდა გარიგებისმიერმა წარმომადგენელმა უნდა აანაზღაუროს ზიანი. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც, კანონისმიერი წარმომადგენელი ან გარიგებისმიერი ზედამხედველი შეიძლება დაეყრდნოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს და ამტკიცოს, რომ მათ ზიანის თავიდან აცილება არ შეეძლოთ, კერძოდ, არასრულწლოვანის ქცევის კონტროლი მათ ობიექტურ შესაძლებლობებს მიღმა იყო. ნიშანდობლივია, რომ ქცევის კონტრო-

ლი ობიექტურ შესაძლებლობებს მიღმა ვერ განიხილება, თუ მშობლები ან სხვა ზედამხედველი პირები იმთავითვე ინფორმირებულნი იყვნენ არასრულწლოვანის მიდრეკილებების, აკვიატებების, ქცევითი დევიაციების, ანდა სხვა განსაკუთრებული უნარების, შესაძლებლობების შესახებ, ასე მაგალითად, ალგორითმების ცოდნა, IT მეთოდოლოგიის გამოყენებით დაფარული ინფორმაციის მოპოვება და ა. შ. და ამ მხრივ, მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა დამატებითი სიფრთხილის ზომებს არ მიმართა²³.

III. სამართლიანობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

შემოგანვითარებული მსჯელობის სამართლებრივი საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლია²⁴, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, რომ მცირეწლოვანმა (10 წლამდე) ანდა არასრულწლოვანმა (10-დან 18 წლამდე) მესამე პირს **მიაყენოს ზიანი და ზიანი არ ანაზღაურდეს**. ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოება შეიძლება იყოს მეთვალყურეობის სათანადოდ განხორციელება, რა დროსაც არც მცირეწლოვანს (10 წლამდე) და არც მასზე ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრებათ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებიდან თავისუფლდებიან ასევე, არასრულწლოვანები (10-დან 18 წლამდე), რომლებიც ასაკის და გარემოებათა თავისებურების გამო ქმედების მართლწინააღმდეგობის ხარისხს ვერ აცნობიერებენ. შესაბამისად, დაზარალებული მესამე პირი დაუცველი რჩება იმ შემთხვევაში, როცა

²³ შდრ. *Bieker v. Owens*, 350 S.W.2d 522, seen In: Alice B. Freer, „Parental Liability for Torts of Children“, *Kentucky Law Journal*, Vol.53. Iss.2, Article 5.

²⁴ სკ-ის 994 I მუხლის მიხედვით, „ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან სხვას მიაყენა“. 994 II მუხლი: „მშობლები ან ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან ანაზღაურონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალ-

დებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება. 994 III მუხლი: „ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებს“.

ზიანის მიმცენებელს აქვს შესაძლებლობა 994-ე მუხლს დაეყრდნოს და კანონისმიერი მოცემულობით თავი პასუხისმგებლობისაგან გაითავისუფლოს. „სამართლიანობის აღდგენის“ სახელით სამართლის ნორმის *Contra Legem* განმარტება სასამართლო პრაქტიკით ხელშეწყობილი არ არის, რადგან, პირველ რიგში, ნორმათა განმარტების მითითებული ხერხი სამართლის ნორმათა განჭვრეტადობის პრინციპს არღვევს, რაც სამართლებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკა, ნორმით დაშვებული „უსამართლობისა“, თუ „უთანასწორობის“ გამოსარიცხად, რიგ შემთხვევებში, ნორმის *Contra Legem* განმარტებას მაინც დასაშვებად მიიჩნევს. განსახილველ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლი, უშვებს შესაძლებლობას, რომ არასრულწლოვნის მიერ მიყენებულ ზიანზე, გარკვეულ გარემოებებში, პასუხი არავინ აგოს. ნორმა არ ტოვებს სივრცეს თავისუფალი განმარტებისათვის, უსამართლობის გამოსასწორებლად. ამგვარი მოცემულობისაგან გამოსავალს იძლევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 829-ე პარაგრაფი, რომლის სათაურია: „სამართლიანობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება“²⁵. აღნიშნული მუხლის შინაარსის მიხედვით, „პირმა, რომელიც 827-ე²⁶ და 828-ე²⁷ მუხლების საფუძველზე პასუხს არ აგებს 823-826-ე²⁸ მუხლებში აღწერილ შემთხვევებში მიყენებული ზიანისათვის, ხოლო ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება მოთხოვნილ

იქნეს ზედამხედველობის განხორციელებაზე ვალდებული მესამე პირისაგან, მაინც უნდა აანაზღაუროს ეს ზიანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, გარემოებიდან გამომდინარე, მათ შორის მონაწილეთა შორის ურთიერთობის გათვალისწინებით, ამას ითხოვს სამართლიანობა, მაგრამ მას არ ნაერთმევა სახსრები, რომლებიც საჭიროა სათანადო დონეზე არსებობისათვის, ასევე მასზე კანონის ძალით დაკისრებული რჩენის მოვალეობის შესასრულებლად“²⁹. ამდენად, კანონი დელიქტური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას იძლევა მაშინაც, როდესაც დელიქტის შემადგენლობა სახეზეა, თუმცა, არსებობს ზიანის მიმცენებლისა და ზედამხედველობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, მითითებული გამოსავალი სამართლიანობის აღდგენის მიზნებისათვის არ გამოიყენება მაშინ, როდესაც ზიანი სახელშეკრულებო-სამართლებრივია³⁰. მითითებულ მუხლზე დაყრდნობით ზიანის მიმცენებელი და ზედამხედველი, იქნება ეს კანონისმიერი, თუ სახელშეკრულებო, მესამე (დაზარალებული) პირის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს, ხოლო შიდა ურთიერთობაში ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი განიხილება გადახდილი თანხის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტად³¹. აღნიშნულ მოცემულობაში ანაზღაურების ვალდებულებას „სამართლიანობის მოთხოვნები“ განაპირობებს, მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურებაზე ვალდებული პირები კანონით ანაზღაურების ვალდებულებისაგან

²⁵ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, &829, გვ. 651.

²⁶ „პირი, რომელიც დაკარგული ცნობიერების ან ისეთი ავადმყოფური ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს მისი ნების თავისუფალ დადგენას, ზიანს აყენებს სხვა პირს, პასუხს არ აგებს ამ ზიანისათვის“.

²⁷ „1. პირს, რომელსაც არ მიუღწევია 7 წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო. 2. პირი, რომელსაც შეუსრულდა შვიდი წელი, თუმცა, არ მიუღწევია 10 წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს იმ ზიანის გამო, რომელსაც იგი აყენებს სხვა პირს ავტო-, სარკიონიგზო ან საფუნუკულიორო სატრანსპორტო საშუალებით ჩადენილი შემთხვევისას. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მან ზიანი განზრახ მიაყენა. 3. პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, იმდენად, რამდენადაც მისი პასუხი-

სმგებლობა პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით გამომრიცხული არ არის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ ზიანის მიმცენებელი მოქმედების ჩადენისას მას არა აქვს პასუხისმგებლობის აღიარებისათვის საკმარისი შეგნება“.

²⁸ „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება“ (გსკ-ის 823-ე პარაგრაფი); „პირის კრედიტუნარიანობისადმი ნდობისათვის საფრთხის შექმნა“ (გსკ-ის 824-ე პარაგრაფი); „სქესობრივი ხასიათის მოქმედებაზე დაყოლიება“; „ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო განზრახ ზიანის მიყენება“ (გსკ-ის 826-ე პარაგრაფი).

²⁹ კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 829, გვ. 651.

³⁰ *Erman, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, herausgegeben von Prof.Dr.Harm Petr Westermann, 12, neubearbeitete Auflage, &829, Rn.1.*

³¹ იქვე, Rn. 2.

გათავისუფლებულნი არიან. ასეთ შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება ბევრი გარემოება, მათ შორის, ზიანის მიმყენებლისა და დაზარალებულის ურთიერთობა, ზედამხედველის მიმართ ნდობა, ასევე ზიანის გამომწვევი ფაქტორები, ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ.³²

ზემოგანვითარებული მსჯელობა ცხადყოფს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ცალკე საკანონმდებლო დათქმას აკეთებს ზიანის ანაზღაურებლად სამართლიანობის მიზნებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კანონი არასრულწლოვნის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელ არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს, ან მასზე ზედამხედველ პირს პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებს, ტოვებს სივრცეს იმისათვის, რომ ზიანი ანაზღაურდეს, რა დროსაც ზიანი შეიძლება სრულად არ ანაზღაურდეს, რადგან ზიანის სრული ანაზღაურება არასრულწლოვან ბავშვს ან მის კანონიერ წარმომადგენელს შეიძლება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აგდებდეს, შესაბამისად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მითითებული მუხლი ტოვებს სივრცეს პრაქტიკის განვითარებისათვის და ამ მიმართებით უსამართლობის აღმოსაფხვრელად, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებულ იქნას, ზიანი ხომ არ უნდა ანაზღაურდეს მაშინაც, როდესაც ზიანის მიმყენებელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი ან მასზე ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი ამგვარი ანაზღაურებისაგან გაათავისუფლებულია, თუმცა, ზიანის მიყენების ხარისხი და დაზარალებული პირის მდგომარეობა არ იძლევა მისი სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის გარეშე დატოვების შესაძლებლობას, რადგან საკითხის ამგვარად გა-

დანყვეტა კანონიერი, თუმცა, უსამართლო იქნებოდა. საფიქრალია, მითითებული მონესრიგების გაზიარების მართლზომიერება და მიზანშეწონილობა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ მსგავსი³³ მონესრიგება ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. თუმცა, „კანონიერი უსამართლობის“ აღმოსაფხვრელად, ნორმა შეიძლება ისე განიმარტოს, რომ ადამიანების ფუნდამენტური უფლება არ დაირღვეს, მაშინაც, როდესაც საკითხის მომწესრიგებელ ნორმას კონსტიტუციურობის კუთხით ხარვეზები არ აქვს. ამგვარი მსჯელობის საფუძველი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების თავისებურებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ უსამართლო შედეგი კანონით მონესრიგებულ კონსტელაციაშიც შეიძლება დადგეს, რა დროსაც ნორმის ფართო, ან თუნდაც **Contra Legem** განმარტებით უფრო სამართლიანი შედეგი იქნეს მიღებული³⁴. განსახილველ შემთხვევაში, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არ ტოვებს სივრცეს სამოსამართლო აქტივიზმისათვის, რადგან კანონმდებელი თავადვე ითვალისწინებს გამოსავალს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ნორმით მონესრიგებული დელიქტური პასუხისმგებლობის ანაზღაურების პრინციპი უსამართლო შედეგებს იწვევს. რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკა მწირია, შეიძლება ითქვას, ჯერ არც არის, თუმცა, ზოგადად, სამართლიანი შედეგის მისაღწევად სასამართლო პრაქტიკა ნორმის **Contra Legem** განმარტებასაც იცნობს³⁵ და **Praeter legem** განმარტების მეთოდიც არაერთხელ გამოუყენებია³⁶. ასე მაგალითად, საქა-

³² BGH 23,90,99 ff.NJW 1980, 1623 nach *Erman*, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, herausgegeben von Prof.Dr.Harm Petr Westermann, 12, neubearbeitete Auflage, &829, Rn.3.

³³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 829-ე პარაგრაფი.

³⁴ კონცეპტუალურად იმავე მსჯელობას ავითარებს ადამიანის უფლებათა სასამართლო საქმეში „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ არ გაითვალისწინა სახელმწიფოს არგუმენტი კანონში ახლობლის გარდაცვალების გამო მორალური

ზიანის მომწესრიგებელი ნორმის არარსებობის თაობაზე.

³⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1908-2018, 17.10.2023 (სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი, არაბრალეული მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევის დაუშვებლობა).

³⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1178-2022, 23.12.2023 (განმარტება აცდენილია ნორმის შინაარსს, თუმცა, არსებითად არ ეწინააღმდეგება მას).

რთველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის დისპოზიცია სახელდებით არ ითვალისწინებს შემთხვევებს, თუ როდის უნდა დადგეს მშობლის ან სხვა ზედამხედველი პირის პასუხისმგებლობა, როცა, *Prima facie*, არ იკვეთება მშობლის მხრიდან ზედამხედველობის ან კონტროლის განხორციელების ნაკლებობა. ნორმის დოსპოზიციას, გაფართოებული შინაარსით სწორედ სასამართლო პრაქტიკამ უნდა შესძინოს სიცოცხლე და დაზარალებულის უფლება, ზიანის რესტიტუციაზე, არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი სჩადის ისეთ მასშტაბურ მართლწინააღმდეგობას და სხვათათვის ზიანის მიყენების მაღალი რისკის შემცველ ქმედებებს, როგორცაა, ვანდალიზმი, მომეტებული საფრთხის წყაროს, მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების უნებართვო სარგებლობა, ძალადობრივი თავდასხმა, უკანონო შეღწევა და ა. შ.³⁷ ასე მაგალითად, როდესაც არასრულწლოვანი შვილი მშობლის ნებართვის გარეშე, ფარულად გაიტაცებს მანქანას, რა დროსაც ზიანს მიყენებს მესამე პირს, სამართლიანობა მოითხოვს მშობელმა პასუხი აგოს მაშინაც, როდესაც იგი დაადასტურებს, რომ მან არ იცოდა და „მის ძალებს აღემატებოდა“ მისი არასრულწლოვანი შვილის ქცევის კონტროლი. განსახილველ შემთხვევაში, უდანაშაულო დაზარალებულის ინტერესი, აუნაზღაურდეს ზიანი, აღმატებულია მშობლის უფლებაზე, ბრალის გამორიცხვის არგუმენტით გაითავისუფლოს თავი პასუხისმგებლობისაგან, მაშინაც, როდესაც მას ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვის³⁸.

IV. მშობელთა ან სხვა ზედამხედველ პირთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის კორელაცია სისხლის-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან

ზემოგანვითარებული მსჯელობა ეხებოდა არასრულწლოვანის მშობელთა ან სხვა ზედამხედველ

დველ პირთა სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. შედარების მიზნებისათვის, საინტერესოა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი მშობლისათვის სისხლის ან ადმინისტრაციული წესით ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობის მიმოხილვა. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელზე პარლამენტის წინააღმდეგ, რომლითაც სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42 V¹ მუხლის – „**თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს**“ – კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის (2011 წლის მდგომარეობით) 39-ე, 40 I და 42 V 1 მუხლთან მიმართებით.

სახალხო დამცველი სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დარღვევად მიიჩნევდა სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმას, რომელიც ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებდა მშობლისთვის, ნაცვლად მსჯავრდებული შვილისა. მოსარჩელის მითითებით, ჯარიმა, რომელიც სისხლის სამართლის მიზნებისათვის სასჯელს - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენს, ეკისრება გადახდისუუნარო არასრულწლოვანის მშობელს (მეურვეს, მზრუნველს), მაშინ როდესაც სახეზე არ გვაქვს მათი ბრალეული ქმედება. აღნიშნულით კი სადავო ნორმა არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 42 V 1 მუხლით განმტკიცებულ მოთხოვნას. მოსარჩელის განმარტებით, მშობელს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა (ჯარიმა) ეკისრება დანაშაულის ჩადენისა და გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე მხოლოდ იმიტომ, რომ მის არასრულწლოვან შვილს დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნია, რაც, მოსარჩელის აზრით გულისხმობს სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამით

³⁷ Alice B. Freer, „Parental Liability for Torts of Children“, Kentucky Law Journal, Vol.53. Iss.2, Article 5.

³⁸ Kelly v. Williams, 346 S. W.2d 434, Court made reference in its decision to 37 Texas L.Rev.924 and 3

VIII.L.Rev.529, seen In: Alice B. Freer, „Parental Liability for Torts of Children“, Kentucky Law Journal, Vol. 53. Iss.2, Article 5.

კი სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 40 I მუხლს. სახალხო დამცველის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და 42 V 1 მუხლებიდან გამომდინარეობს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, არავის შეიძლება შეეფარდოს სასჯელი, თუ მისი ბრალი არ არის განსაზღვრული კონკრეტულ ქმედებაში. ხოლო, სადავო ნორმით კი, მშობელს (მეურვეს, მზრუნველს), რომელსაც სასჯელი ეკისრება, არც მართლსაწინააღმდეგო ქმედება აქვს ჩადენილი და არც მსჯავრდებულად არის ცნობილი.

პარლამენტის ძირითადი არგუმენტი კი მდგომარეობდა იმაში, რომ არასრულწლოვნისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე მშობლის დავალდებულება არ შეიძლება განხილული იქნეს მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომის, სასჯელის დაკისრებად, ვინაიდან მშობლის მიმართ არ ხდება სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდება. იგი პროცესის არც ერთ ეტაპზე არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი და არც გამამტყუნებელი განაჩენი დგება მის მიმართ. მოპასუხე მხარე სადავო ნორმით დაკისრებულ ვალდებულებას განიხილავს მშობლის ვალდებულებად, რომელიც დაკავშირებულია შვილის ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან. მოპასუხის აზრით, სადავო ნორმით გათვალისწინებული მშობლის ვალდებულება უკავშირდება ჯარიმის, როგორც ფულადი გადასახდელის ბუნებას. მოპასუხე მხარემ, თავისი არგუმენტაციის გასამყარებლად, **პარალელი გაავლო სამართლის სხვა დარგების საკანონმდებლო აქტებში არსებულ რეგულირებებთან. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, მშობელს ეკისრება პასუხისმგებლობა შვილის იმ ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლის შესრულებასაც თავად ვერ ახერხებს.** ასევე, მოპასუხემ მოიშველია სა-

ქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, რომელიც, მისი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის 42 V¹ მუხლის მსგავსი რეგულაციაა და ადგენს მშობლის ვალდებულებას, გადაიხადოს შვილის მიმართ შეფარდებული ჯარიმა, მაშინ როდესაც მშობლის ქმედება არ არის მიჩნეული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და არ ხდება მასზე ადმინისტრაციული სახდელის დადება. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290 II მუხლის თანახმად, თუ წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირებს არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, ჯარიმის გადახდა ევალებათ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს³⁹. მოპასუხე მხარის განმარტებით, მშობლის ვალდებულების სამართლებრივი ბუნება უკავშირდება არა სამართლის კონკრეტულ დარგებს, არამედ მის სტატუსს, მასსა და შვილს შორის არსებულ სამართლებრივ ვალდებულებას, ვინაიდან, მისი აზრით, ზემოთ დასახელებულ მუხლებსა და სადავო ნორმაში დადგენილ წესს გასდევს ერთი ლაიტიმოტივი, შვილის შეუსრულებელ ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს მშობელი. სამივე შემთხვევაში მშობლის ვალდებულების სიმძიმე ერთნაირია, მას უწევს იმ ვალდებულების შესრულება, რომლის წარმოშობაშიც მონაწილეობა არ მიუღია. შესაბამისად, შეუძლებელია მოხდეს აღნიშნული წესების განხილვა ერთმანეთისგან განსხვავებულად და მათი დაკვალიფიცირება განსხვავებული სამართლებრივი ხასიათის პასუხისმგებლობებად. ნიშანდობლივია ის პარალელი, რომელსაც მოპასუხე ავლენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან. მოპასუხე მხარე განმარტავდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სადავო ნორმის ჩანაწერის შემოღებით, კანონმდებელს არ მოუხდენია მშობლისათვის რაიმე ახალი ვალდებულების დაწესება, არამედ აქ სახეზეა მშობელთა, მეურვეთა, მზრუნველთა ტრა-

³⁹ 2025 წლის იანვრის მდგომარეობით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290 II მუხლი იგივე შინაარსის დებულებას შეიცავს: „თუ წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე

ასაკის პირებს არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, ჯარიმის გადახდა ევალებათ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს.“ ასკ-ის 290 II მუხლი, გადამოწმებული 14.01.2025.

დიციული მოვალეობის ინკორპორირება სისხლის სამართლის კოდექსში. მისი განმარტებით, კანონმდებელმა სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ საჭირო იყო დამატებითი მექანიზმების შემოტანა, რომელიც მიზნად ისახავდა ჯარიმის, როგორც ფულადი სახდელის ეფექტურობის გაზრდას და ასეთი სახის სანქციის გავრცელებას არასრულწლოვანზე, მიუხედავად იმისა, ისინი სრულად იყვნენ გადახდისუნარიანი თუ ნაწილობრივ, რითაც გავლენას მოახდენდა დანაშაულის პრევენციაზე.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქმეზე გამოკითხული სპეციალისტის⁴⁰ მოსაზრება შვილის ნაცვლად მშობლის პასუხისმგებლობის თაობაზე, რომელმაც განმარტა, რომ მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა არ ამოიწურება მხოლოდ სისხლისმიერი, ბიოლოგიური კავშირით. სრულწლოვანების მიღწევამდე შვილი ინტენსიურ სამართლებრივ კავშირშია მშობელთან და ამ ორ სუბიექტს კანონმდებლობა მკვეთრად არ მიჯნავს ერთმანეთისგან. სპეციალისტის მითითებით, ეს არის უნიკალური სოციალურ-სამართლებრივი ურთიერთობა უფლება-მოვალეობათა განსაკუთრებული ჯაჭვით. მშობელი არ არის „სხვა პირი“, არამედ იგი გვევლინება როგორც შვილის ინტერესების დამცველი, მასზე მზრუნველი, მის აღზრდასა და სხვადასხვა ვალდებულებებზე პასუხისმგებელი პირი. სპეციალისტის მტკიცებით, არასრულწლოვანის არამართლზომიერი ქმედების გამო წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს მშობელი, რაც უნივერსალური პრინციპია და იგი ასახულია საქართველოს კანონმდებლობაშიც. სპეციალისტის განმარტებით, თუ არასრულწლოვანმა ვინმეს მიაყენა ზიანი, ან თუკი მას ადმინისტრაციული გადაცდომისათვის შეეფარდა სახდელი, ან დანაშაულის ჩადენისათვის განესაზღვრა ჯარიმა და არ შეუძლია საკუთარი სახსრებით აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების შესრულება, ფინანსური გადასახდელის კომპენსირებადი ბუნებიდან,

აგრეთვე მშობელსა და შვილს შორის არსებული სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, გადახდევინება დაეკისრება მშობელს. აღნიშნული პრინციპი, სპეციალისტის აზრით, მიზნად ისახავს არასრულწლოვანის არამართლზომიერ ქმედებაზე რეაგირების კონკრეტული მექანიზმის შემოღებას – უნდა ანაზღაურდეს მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი, აგრეთვე უნდა აღსრულდეს ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი სანქციები. ამ შემთხვევაში მშობელი კანონმდებლის მიერ განიხილება არასრულწლოვანის ფინანსური ვალდებულებების ამნაზღაურებელ პირად. სპეციალისტი სადავო ნორმით მშობლისათვის ჯარიმის დაკისრების მექანიზმის შემოღებას უკავშირებს მშობელსა და შვილს შორის არსებულ უნიკალურ სოციალურ-სამართლებრივ ურთიერთობას, აგრეთვე არასრულწლოვანის პიროვნების ფორმირების პროცესში მშობლის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით, საქმეზე, კონსტიტუციური სარჩელი (რეგისტრაციის №416) საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არ დაკმაყოფილდა. მითითებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადახდისუუნარო არასრულწლოვან მსჯავრდებულზე დაკისრებული ჯარიმის მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიერ გადახდის დაკისრების ვალდებულება არ შეიძლება გაგებული იქნეს ჯარიმის დაკისრებად, ამისათვის აუცილებელია, სახელმწიფოს ქმედება შეიცავდეს პირზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ელემენტებსა და მიზნებს. აღსანიშნავია, რომ გადახდისუუნარო არასრულწლოვან მსჯავრდებულზე დაკისრებული ჯარიმის მშობელზე (მეურვეზე, მზრუნველზე) გადახდის დაკისრებისას სახელმწიფოს ქმედებაში არ იკვეთება მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიმართ სისხლისსამართლებრივი

⁴⁰ სპეციალისტი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი ოთარ კახიძე.

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=431>.

პასუხისმგებლობის - სასჯელის დაკისრების მიზნები: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (პრევენცია), დამნაშავის რესოციალიზაციის ელემენტები, მას არ უკავშირდება ზემოთ აღნიშნული დამატებითი სამართლებრივი შედეგები. **საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთკავშირს, მშობლის უნიკალურ სტატუსს და მათგან გამომდინარე ვალდებულებებს.** მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები საზოგადოების ღირსეულ წევრებად, იზრუნონ მათ ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე. არასრულწლოვანი, ისევე როგორც სრულწლოვანი, სარგებლობს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით, შესაბამისად, სახელმწიფო მას კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით იცავს. არასრულწლოვნის მენტალური და ფიზიკური შესაძლებლობები განვითარების პროცესშია და მათ განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდებათ. სწორედ ამიტომ, კანონმდებელი მშობელს, მეურვესა და მზრუნველს განსაზღვრავს იმ პირობად, რომელთაც ეკისრებათ არასრულწლოვანზე ზრუნვა⁴¹.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად არ იქნა მიჩნეული გადახდისუუნარო არასრულწლოვან მსჯავრდებულზე დაკისრებული ჯარიმის მშობლის (მეურვის, მზრუნველის) მიერ გადახდის დაკისრების ვალდებულება, **დღეს მოქმედი კანონმდებლობა მითითებულ შესაძლებლობას აღარ ითვალისწინებს**⁴². არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68 | მუხლის მიხედვით, **არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. ამდენად, არასრულწლოვანს კიდევ რომ ჰქონდეს ქონება, თვითკმარი საფუძველი მაინც არ არის ჯარიმის**

დაკისრების მიზნებისათვის, თუ მას დამოუკიდებელი შემოსავალი არ აქვს. ჯარიმის მშობლისთვის დაკისრების ვალდებულებას კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საერთოდ აღარ ანებს. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჯარიმა სასჯელის ყველაზე მსუბუქ სახედ მიიჩნევა, შესაბამისად, თუ მშობელს სურს და აქვს შესაძლებლობა, რომ შვილის ჯარიმა გადაიხადოს, იმისათვის, რომ შვილს უფრო მკაცრი სახის სასჯელი აარიდოს თავიდან, რატომ არ უნდა იყოს დასაშვები მშობლის მხრიდან აღნიშნული საკანონმდებლო ოფციით სარგებლობა?! შესაბამისად, საფიქარლია, მითითებული ცვლილება, წარმოდგენილი რედაქციითა და ნორმატიული დატვირთვით, რამდენად შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გაცხადებულ მიზნებს. მით უფრო, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა პასუხისმგებლობის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება.

ჯარიმა, როგორც სანქციის ერთ-ერთი სახე, საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მატარებელია. მისი დანიშნულება, დასჯა, პრევენცია და რესოციალიზაციაა. მის ფუნქციებს შორის არ მოიაზრება დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გადახდისუუნარო არასრულწლოვნის მშობელს ჯარიმა ვერ დაეკისრება, აღნიშნული აკრძალვა არ გამორიცხავს არასრულწლოვნის მშობლისთვის ან სხვა ზედამხედველი პირისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. თუმცა, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის მიმართ განაჩენით დადგენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზმდეგობრივი კავშირი ვერ იქნება მშობლის ან ზედამხედველი პირისათვის ზიანის დაკისრების პრეიუდიციული საფუძველი, მათ შორის, ვერც გამარტივებული წარმოებით, რადგან საქართველოს

⁴¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის N3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <https://www.const-court.ge/ka/judicial-acts?legal=431>.

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილება, 12.06.2015, N3714, <https://www.matsne.gov.ge/document/view/16426?publication=267>.

სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლი არ ითვალისწინებს მშობლის ან ბავშვზე სხვა ზედამხედველი პირის ე. წ. „გამკაცრებულ პასუხისმგებლობას“, რაც იმას ნიშნავს, რომ არასრულწლოვნის მხრიდან ჩადენილი დანაშაული, თუ სხვა სახის კანონდარღვევა ვერ განიხილება მშობელზე ან სხვა ზედამხედველ პირზე ზიანის დაკისრების უპირობო საფუძველად. მშობელი ან სხვა ზედამხედველი პირის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ ზიანის თავიდან არიდება შეუძლებელი იყო. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წესით პასუხისმგებლობის კორელაციის ქრილში ასევე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან დგება, ხოლო შვილის ნაცვლად მშობელზე ან სხვა ზედამხედველ პირზე ზიანის ანაზღაურების დაკისრება 10 წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაშია დასაშვები. 10 წლის ასაკიდან არასრულწლოვანი დელიქტუარია, რაც იმას ნიშნავს, რომ ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი, პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც. იმ შემთხვევაში, თუ 10 წელზე მეტი ასაკის არასრულწლოვანმა სხვას ისეთი ზიანი მიაყენა, რომელსაც ის ვერ აცნობიერებდა, ასეთი ზიანის ანაზღაურება მშობელს ან სხვა ზედამხედველს უნდა დაეკისროს, იმ დამტკიცებით, რომ ისინი ამ დროსაც გათავისუფლებიან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დაადასტურებენ, რომ მათ ზიანის თავიდან აცილება არ შეეძლოთ.

დასკვნა:

ბავშვის ჯეროვანი აღზრდა, მშობლის არამხოლოდ სამართლებრივი მოვალეობაა, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების გამოხატულება. ბავშვის კეთილსინდისიერად აღზრ-

და, მის განათლებაზე ზრუნვა, მასში ადამიანური თვისებების ფორმირების ხელშეწყობა, თანაგანცდისა და სხვათათვის დახმარების განევაში საკუთარი სოციალური ფუნქციის შთაგონება მორალური კატეგორიაცაა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გარანტიაც. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ბავშვის აღზრდის ვალდებულების გულმოდგინედ შესრულება მნიშვნელოვანწილად ამცირებს, თუმცა, სრულად არ გამორიცხავს არასრულწლოვნის მიერ მესამე პირებისათვის ზიანის მიყენების რისკს, ამიტომ, ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების კვალდაკვალ ბავშვის ქცევის კონტროლის ვალდებულებაც არსებობს, რა თქმა უნდა, იმ მასშტაბითა და დატვირთვით, რომ, ერთი მხრივ, ბავშვის თვითგანვითარების უფლება არ შეიზღუდოს და, მეორე მხრივ, ბავშვის საქციელი თავად ბავშვისთვის ან მესამე პირებისათვის ზიანის მომტანი არ აღმოჩნდეს. ამდენად, ბავშვზე ზრუნვის ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად არსებობს ბავშვის ქცევის კონტროლის ვალდებულება, რომლის დარღვევაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის კონტექსტში, ბავშვის მშობლის ან სხვა ზედამხედველი პირის პასუხისმგებლობას იწვევს. 10 წლამდე ბავშვის მიერ მესამე პირებისათვის ზიანის მიყენება ქმნის მისი მშობლის ან მასზე სხვა ზედამხედველი პირის მხრიდან ბავშვის ქცევის კონტროლის ვალდებულების „დაუდევრად შესრულების პრეზუმფციას“, რაც იწვევს მტკიცების ტვირთის იმგვარ გადანაწილებას, რომ სწორედ ბავშვის მშობელმა ან სხვა ზედამხედველმა პირმა უნდა ამტკიცოს, რომ იგი ბავშვზე ზედამხედველობის ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა და რომ ბავშვის მხრიდან მესამე პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი ის აუცდენელი ზიანი იყო, რომელიც ყველა გონიერი, მზრუნველი მშობლის ობიექტური ტესტის მასშტაბით, თავიდან არიდებული ვერ იქნებოდა. ამგვარი მტკიცების განუხორციელებლობის შემთხვევაში პასუხისმგებელია ის მშობელი, რომელსაც იმ დროისა და სივრცის გათვალისწინებით, როდესაც მესამე პირს ზიანი მიადგა, ბავშვზე უშუალო კონტროლს ახორციელებდა. დელეგირებული კონტროლის შემთხვევაში, ის გარიგებისმიერი ზედამხედველია პასუხისმგებელი, რომელსაც ბავშვზე კონტროლის ვალდებულება ჰქონდა გადაცემული. ამ მიმართებით, ყურადსაღებია, რომ მესამე პირის მიერ („სხვა

ზედამხედველი”, როგორცაა, ბალი, სკოლა, კერძო აღმზრდელი და სხვ.) კონტროლის ვალდებულების თავის თავზე აღება ინფორმირებული და გაცნობიერებული ნების შედეგი იყოს, რადროსაც მშობელმა ან სხვა კანონიერმა წარმომადგენელმა კონტროლის ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ე. წ. „სხვა ზედამხედველი” გულისხმობდა უნდა შეარჩიოს და მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების მზაობა ობიექტურად უნდა შეაფასოს. კონტროლის ვალდებულების გადაცემა მარტოდენ „სალი აზრის ფარგლებში” აჩერებს მშობლის პასუხისმგებლობას მესამე პირების წინაშე, სხვა შემთხვევაში, მშობელი პასუხისმგებლობისაგან თავს ვერ გაითავისუფლებს. ნიშანდობლივია ისიც აღინიშნოს, რომ თუ მშობელი ან სხვა ზედამხედველი ბავშვის ქცევის კონტროლის ვალდებულებას ჯეროვად ასრულებს და, ამავდროულად, ბავშვის გონებრივ, თუ სულიერ განვითარებაზე კეთილსინდისიერად ზრუნავს, რისკი იმისა, რომ ბავშვმა მესამე პირს ზიანი მიაყენოს, მინიმალურია. რაც შეეხება თეზისში დასმულ დილემას მასზე, თუ არაბრალეულ მშობელს კანონი ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, სამართალმა ხომ არ უნდა უზრუნველყოს არაბრალეული დაზარალებულის ინტერესების პრივილეგირება ისე, რომ გონივრული მასშტაბით მშობელმა მაინც აგოს პასუხი?! – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადასაწყვეტი საკითხია. ფაქტია, რომ სამართალმა გონივრულ ფარგლებში დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მაინც უნდა შეძლოს. სამართლის ხსენებული სიტყვა კი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სწორედ სასამართლომ უნდა თქვას.

B. არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობა არასრულწლოვნების მიმართ გერმანულ სამართალში

I. არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა:

არასრულწლოვანთა დელიქტუნარიანობა მონესრიგებულია გსკ-ის 828-ე პარაგრაფში შემდეგნაირად:

„(1) პირი, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო.

(2) პირი, რომელსაც შეუსრულდა შვიდი წელი, თუმცა, არ მიუღწევია ათი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს იმ ზიანის გამო, რომელსაც იგი აყენებს სხვა პირს ავტო-, სარკინიგზო ან საფუნქულიორო სატრანსპორტო საშუალებით ჩადენილი შემთხვევისას. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მან ზიანი განზრახ მიაყენა.

(3) პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, იმდენად, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით გამორიცხული არ არის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ ზიანის მიმყენებელს მოქმედების ჩადენისას არა აქვს პასუხისმგებლობის აღიარებისათვის საკმარისი შეგნება.”

გზისა და სარკინიგზო მოძრაობის სფეროში არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობისთვის განსაკუთრებული დელიქტუნარიანობა (გსკ-ის 828 II პარაგრაფი) შემოღებულ იქნა 2002 წელს. 2001 წლის 7 დეკემბრის ფედერალური მთავრობის კანონპროექტში ახსნა-განმარტებად მითითებულია შემდეგი:⁴³

“განვითარების ფსიქოლოგიის ცოდნის საფუძველზე, უკვე დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბავშვები თავიანთი ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით რეგულარულად მხოლოდ 10 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ არიან უნარიანები, ამოიცნონ მოტორიზებული საგზაო მოძრაობის განსაკუთრებული საფრთხეები და შესაბამისად მოიქცნენ ამ საფრთხეების შეფასებისას. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, იმ ფიზიკური პირობებით, რომელთა გამოც ბავშვებს 10 წლის ასაკამდე არ შეუძლიათ მანძილებისა და სიჩქარის სწორად შეფასება. მეორე მხრივ, ბავშვების თავისებურებები, როგორცაა სირბილისა და სიახლის გამოცდის სურვილი, იმპულსურობა, ემოციური რეაქციები, კონცენტრაციის უკმარისობა და ჯგუფური დინამიკის ქცევა, ხშირად ხელს უშლიან, რათა საგზაო მოძრაობასთან შესაბამისად მოიქცნენ.”

1. შეგნების უნარი/ბრალეულობა:

⁴³ BT-DRS 14/7752; <https://www.juris.de/jportal/docs/anlage/jpk/strverkr-2/mat/1407752.pdf>.

შეგნების უნარი გულისხმობს, რომ არასრულწლოვანი საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საფუძველზე უნდა იაზრებდეს სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ეს ცნობიერება უნდა გამოიხატოს მის კონკრეტულ ქცევაში.⁴⁴ საკმარისია, არასრულწლოვანმა აღიქვას, რომ მისი ქცევა არასწორია და გარკვეულწილად მოუწევს თავისი ქმედებისთვის პასუხისმგებლობა. მას არ სჭირდება წარმოდგინოს კონკრეტული ზიანი.⁴⁵ სხვაგვარად რომ ითქვას: აღნიშნული დამოკიდებულება იმაზე, შეუძლია თუ არა არასრულწლოვანს მისი აღქმის დონიდან და მისი შეზღუდული ცხოვრების წრიდან⁴⁶ გამომდინარე, გააცნობიეროს თავისი ქცევიდან მომდინარე საფრთხე და მისი ზოგადი (არ არის აუცილებელი კონკრეტულად სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე ფოკუსირებული)⁴⁷ პასუხისმგებლობა საფრთხის შექმნისთვის. ფედერალურმა სასამართლომ დღემდე მოქმედი აღნიშნული პრინციპები უკვე 1957 წელს შემდეგნაირად შეაჯამა:⁴⁸

„შეგნების უნარი არსებობს, თუ ახალგაზრდამ მიაღწია ისეთ სულიერ განვითარებას, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს, შეიცნოს თავისი ქმედების უკანონობა და ამავდროულად ვალდებულება, პასუხი აგოს თავისი ქმედების შედეგებზე. ამასთან, საჭიროა მხოლოდ ზოგადი შეგნება იმისა, რომ ქმედება საფრთხის შემცველია და იწვევს პასუხისმგებლობას. თუ ახალგაზრდა აღიქვამს თავისი ქმედების საშიშროებას, ზოგადად ასევე იცის, რომ მას შეიძლება

პასუხისმგებლობა დაეკისროს, აღნიშნული ქმედების ჩადენის შემთხვევაში. იმის გააცნობიერება, რომ მისი ქმედება საშიშია, არ მოითხოვს წინაპირობად მის მიერ იმის განსაზღვრას, თუ რა განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება. საკმარისია, ზოგადი საფრთხისა და ზოგადი ზიანის აღქმა.“

განსხვავებით სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი ბრალის უნარიანობისგან (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის მე-3 პარაგრაფი), სამოქალაქო სამართლის დელიქტუარიანობა დამატებით არ მოითხოვს, რომ არასრულწლოვანს შეეძლოს თავისი შეგნების შესაბამისად მოქცევა (ე. წ. მართვის უნარი).⁴⁹ როგორც გსკ-ის 828 III პარაგრაფის საფუძველზე (რომელიც განსხვავდება გსკ-ის 994-ე მუხლისგან) დადგენილი წესებისა და გამონაკლისის მიმართება აჩვენებს, რომ გერმანიის სამართალში არასრულწლოვანი ატარებს მტკიცების ტვირთს შეგნების უნარის არარსებობაზე.⁵⁰

არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეგნების უნარი უნდა გაიმიჯნოს მისი ობიექტური კრიტერიუმებით შეფასებადი ბრალეულობისგან (გაუფრთხილებლობისგან). ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი უნდა შედარდეს იმავე ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოსალოდნელ ცოდნასა და უნარებთან (ე. წ. ჯგუფური გაუფრთხილებლობა).⁵¹ გადამწყვეტია იყო თუ არა ზიანის მომტანი ქცევა ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლისთვის ტიპურად თავიდან აცილებადი.⁵² ასაკის მიხედვით, სპონტანურ-ემოციური ქმედებებისას, მაგალითად, ქუჩაში

⁴⁴ Staudinger/Oechsler (2021) BGB § 828, Rn. 25; *Wilhelmi* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 828 BGB; Rn. 4.

⁴⁵ სრულად: BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 335/03 - BGHZ 161, 180, juris Rn. 15 f.; BGH, Urteil vom 27. Januar 1970 - VI ZR 157/68 - VersR 1970, 374, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 21. Mai 1963 - VI ZR 254/62 - BGHZ 39, 281, juris Rn. 16; OLG Celle, Urteil vom 19. Februar 2020 - 14 U 69/19 - NJW-RR 2020, 407, juris Rn. 27.

⁴⁶ OLG München, Urteil vom 22. Februar 2001 - 8 U 6281/99 - ZfSch 2002, 170, 171.

⁴⁷ Staudinger/Oechsler (2021) BGB § 828, Rn. 25.

⁴⁸ BGH, Urteil vom 17. Mai 1957 - VI ZR 93/56 - juris Orientierungssatz.

⁴⁹ BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 335/03 - BGHZ 161, 180, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 29. April 1997 - VI ZR 110/96 - NJW-RR 1997, 1110, juris Rn. 8;

BGH, Urteil vom 28. Februar 1984 - VI ZR 132/82 - NJW 1984, 1958, juris Rn. 12; OLG Celle, Urteil vom 19. Februar 2020 - 14 U 69/19 - NJW-RR 2020, 407, juris Rn. 27; OLG Hamm, Urteil vom 25. Juni 2024 - I-7 U 142/23 - juris Rn. 30.

⁵⁰ BGH, Urteil vom 21. Dezember 2004 - VI ZR 276/03 - NJW-RR 2005, 327, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 29. April 1997 - VI ZR 110/96 - NJW-RR 1997, 1110, juris Rn. 9; OLG Hamm, Urteil vom 25. Juni 2024 - I-7 U 142/23 - juris Rn. 31; OLG Stuttgart, Urteil vom 9. März 2017 - 13 U 143/16 - NJW-RR 2017, 1057, juris Rn. 13.

⁵¹ BGH, Urteil vom 29. April 1997 - VI ZR 110/96 - NJW-RR 1997, 1110, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 28. Februar 1984 - VI ZR 132/82 - NJW 1984, 1958, juris Rn. 12; OLG Stuttgart, Urteil vom 9. März 2017 - 13 U 143/16 - NJW-RR 2017, 1057, juris Rn. 13.

⁵² BGH, Urteil vom 28. Februar 1984 - VI ZR 132/82 - NJW 1984, 1958, juris Rn. 12.

გადასროლილი ბურთის უკან გადაცნობისას, პირს შესაძლოა ეს უნარი არ ჰქონდეს განვითარებული. ასევე, კვლევისა და გამოცდის სურვილმა, იმპულსურობამ და ემოციურმა რეაქციებმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ გარკვეული ასაკის ბავშვები კონკრეტულ სიტუაციებში, შესაძლოა უშეცდომოდ მოქმედებდნენ. პასუხისმგებლობის ნაკლებობა შეიძლება ასევე არსებობდეს მაშინ, როდესაც ბავშვები (მაგალითად, თამაშისას ან „შეცნობის ტურის“ დროს) იწყებენ შედარებით უსაფრთხო ქცევით, მაგრამ ერთხელ დაწყებული ქმედება აღარ შეუძლიათ შეაჩერონ მას შემდეგ, რაც ის ამკარად სახიფათო ხდება.⁵³

ეს პრინციპები უნდა განიმარტოს ერთ-ერთი საქმის საფუძველზე, რომლის არსიც მდგომარეობდა იმაში, რომ შვიდ-ნახევარი წლის ბავშვი, რომელსაც ხილის გასათლელად დანა ეჭირა, მოულოდნელი ხელის მოძრაობით ბზიკის მოგერიებას ცდილობდა და ამ დროს გვერდით მდგომ სხვა ბავშვს დანით თვალი დაუზიანა. ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს:⁵⁴

„2. ასევე მოპასუხის (ინდივიდუალური) დელიქტუარობა დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ... სამართლებრივი ან პროცედურული შეცდომის გარეშე. გსკ-ის 828 II პარაგრაფის მიხედვით დადგენილი რეგულაციით (ავტორების შენიშვნა: პროცესი შეეხებოდა გსკ-ის 828-ე პარაგრაფის ადრინდელ ვერსიას; თუმცა სამართლებრივი მდგომარეობა უცვლელია) ბავშვი, რომელსაც შვიდი წელი შეუსრულდა, მხოლოდ მაშინ არ არის პასუხისმგებელი სხვისთვის მიყენებული ზიანისთვის, თუ ზიანის გამომწვევი ქმედების ჩადენის დროს არ ჰქონდა პასუხისმგებლობის გაცნობიერებისთვის აუცილებელი შეგნება. შესაბამისად, შეგნების უნარი კანონით ძირითადად აღიარებულია შვიდი წლის ბავშვისთვის. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნორმალურად განვითარებულ შვიდ-ნახევარი წლის ბავშვს თავისი გონებრივი განვითარების შესაბამისად შეუძლია გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა სხვა პირის დაზიანებაზე, როდესაც ცდილობს ბზიკის მოგერიებას დანით.

საკმარისია ზოგადი შეცნობა იმისა, რომ საკუთარი ქცევით შეიძლება რაიმე საფრთხე შექმნას. აქ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ არასრულწლოვანის შეგნების უნარი და არა მისი მართვის უნარი; გადამწყვეტია ინტელექტუალური უნარი, შეიცნოს თავისი ქმედების საშიშროება და გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ქმედების შედეგებზე პასუხისმგებლობა, ხოლო არ არის აუცილებელი გააჩნდეს უნარი, იმოქმედოს ამ შეგნების შესაბამისად (მდრ. *Senatsurteile vom 28. Februar 1984 - VI ZR 132/82 - VersR 1984, 641 ...*, vom 20. Januar 1987 - VI ZR 182/85 - VersR 1987, 762, ...).

მოპასუხეს ევალუბოდა ერვენებინა და საჭიროების შემთხვევაში დაემტკიცებინა, რომ არ ჰქონდა პასუხისმგებლობის გაცნობიერებისთვის აუცილებელი შეგნება. მან მხოლოდ განაცხადა, რომ თავისი განსაკუთრებული პირადი მდგომარეობის გამო არ შეეძლო გაეაზრებინა, რომ მისი თავდაცვითი რეაქცია შეიძლებოდა სხვებისთვის საშიში ყოფილიყო. მისი მინიშნება არსებულ ოჯახურ პრობლემებზე და მათი კომპენსირება განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობით, ისევე როგორც აღმზრდელების მიერ რეკომენდებული ფსიქოთერაპიული მკურნალობა და „რთულ ბავშვად“ შეფასება, მიუთითებდა მხოლოდ მოპასუხის ოჯახურ სირთულეებზე და არა განვითარების შეფერხებაზე, არც იმ გონებრივი შესაძლებლობის უქონლობაზე, რომლითაც უნდა გაეგო, რომ დანით მოგერიების რეაქცია შესაძლოა სხვა პირებისთვის სახიფათო ყოფილიყო.

3. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მოპასუხის ბრალეულობის, თუნდაც მსუბუქი გაუფრთხილებლობის (გსკ-ის 276 II 2 პარაგრაფი) არსებობის შესახებ. ზიანის მიმყენებლის ბრალეულობისთვის, რომლის მტკიცების ტვირთი დაზარალებულზეა, მისი ინდივიდუალური უნარები არ უნდა იქნას გათვალისწინებული; გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში უნდა შეფასდეს ობიექტური და არა ინდივიდუალური ნიშნებით (მდრ. *Senatsurteil vom 10. März*

⁵³ სრულად: BGH, Urteil vom 28. Februar 1984 - VI ZR 132/82 - NJW 1984, 1958, juris Rn. 12; Haberstroh, ბავშვის პასუხისმგებლობის რისკი – ბავშვის პირადი პასუხისმგებლობა და მშობლის ზედამხედველობის ვალდებულება, VersR 2000, 806.

⁵⁴ BGH, Urteil vom 29. April 1997 - VI ZR 110/96 - NJW-RR 1997, 1110, juris Rn. 8 ff..

1970 - VI ZR 182/68 - VersR 1970, 467, ...). გადამწყვეტია, ნორმალურად განვითარებულ ბავშვს ზიანის მიყენებისას შეეძლო და უნდა განეჭვრიტა თუ არა, რომ დანით ხელში ბზიკის მოგერიებისას შეიძლებოდა გვერდზე მდგომი პირი დაეზიანებინა, და შეიძლებოდა თუ არა მის მიმართ ყოფილიყო მოლოდინი, რომ კონკრეტულ სიტუაციაში საკუთარი ქცევის საფრთხის გაცნობიერებისას იმოქმედებდა ამ გაცნობიერების შესაბამისად, თუ ამ ასაკის ბავშვთა გონებრივი სიმწიფის ნაკლებობა ხელს უშლიდა მას აღნიშნულისთვის. (ე. ნ. ჯგუფური გაუფრთხილებლობა; შდრ. *Senatsurteil vom 27. Januar 1970 - VI ZR 157/68 - VersR 1970, 374, 375 unter 3 b*). ამგვარად, მოპასუხეს მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუფრთხილებლობა შეერაცხოს, თუ მისი ასაკისა და განვითარების დონის ბიჭს, მიუხედავად მოახლოებული ბზიკის მოსალოდნელი შიშისა, შეეძლო დანით მოგერიების მოძრაობის დროს გვერდით მდგომი პირისთვის შექმნილი საფრთხე გაეცნობიერებინა და ამ გაცნობიერების შესაბამისად ემოქმედა. ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს ეჭვი, შეეძლო თუ არა შვიდ-ნახევარი წლის ბავშვს აღნიშნული მოსაზრება თავდაცვითი მოძრაობისას გაეთვალისწინებინა. თუ სააპელაციო სასამართლო, მიუხედავად მოპასუხის განცხადებისა რომ მან პანიკის მდგომარეობაში, გააზრების გარეშე იმოქმედა, აპირებდა მოპასუხისგან ასეთი გააზრებული ქცევის მოთხოვნას, მას აღნიშნული – საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტის დასკვნის მიღების შემდეგ – უფრო საფუძვლიანად უნდა დაესაბუთებინა. თუმცა, ეს არ განხორციელებულა, რაზეც რევიზია სწორად მიუთითებს, რის გამოც ვერ შემონმდება, გაითვალისწინა თუ არა სააპელაციო სასამართლომ გაუფრთხილებელი ქცევის წინაპირობების შესახებ წარმოდგენილი პრინციპები ან ხომ არ ეფუძნებოდა მისი ერთადერთი დასაბუთება იმ მცდარ აღქმას, რომ მოპასუხეს თავდაცვის მცდელობისას უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის მის გვერდით ყოფნა.“

ამგვარად, ჯერ უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ბავშვს (რაც ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს) იმის აღქმა, რომ ზოგადად საშიშია, სხვა ადამიანის სიახლოვეს დანით ხელში მოძრაობა და რომ ეს ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, როდესაც სწრაფი მოძრაობით ცდი-

ლობს ბზიკი მოიშოროს. შემდეგ უნდა დადგინდეს, შეეძლო თუ არა ბავშვს იმის გაცნობიერება, რომ ასეთი ქმედებით სხვა ადამიანისთვის ზიანის მიყენება არასწორია და რომ ამისთვის შეიძლება გარკვეულწილად პასუხისგება მოუწიოს. თუმცა ბავშვს არ სჭირდება წარმოიდგინოს კონკრეტულად, რომ თავდაცვითი მოძრაობისას დანა შეიძლება მოხვდეს სხვა ადამიანს თვალში და ამით სერიოზული დაზიანებები მიაყენოს. ასევე, ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმას, შეეძლო თუ არა ბავშვს არსებული შეგნების უნარის გამოყენება თავისი იმპულსურობის წინააღმდეგ (მართვის უნარის საკითხი). თუ გააზრების უნარი არსებობს, მაშინ ჯგუფური გაუფრთხილებლობის ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შეფასდეს, შეიძლება თუ არა ასეთი სპონტანური, გარკვეული რეფლექსური ხასიათის მქონე მოგერიების რეაქცია მიახლოებული ბზიკის მიმართ შვიდ-ნახევარი წლის ბავშვის შემთხვევაში ჩაითვალოს გაუფრთხილებლობად.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ახლახან ნაჩვენები მიდგომა მხოლოდ ქმედების გონებრივ მიდგომას აჩვენებს. პრაქტიკაში არ არის აუცილებელი ასეთი დეტალური განმარტება, თუ შედეგი მეტ-ნაკლებად აშკარაა ან თუ რომელიმე აღნიშნული წინაპირობა გადაწყვეტილების მიღებისას რელევანტურ პრობლემას წარმოქმნის.

2. არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა საგზაო და სარკინიგზო მოძრაობაში:

ყველაზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობას საგზაო და სარკინიგზო მოძრაობაში (შემდგომში მოხსენიებულია მხოლოდ, როგორც საგზაო მოძრაობა).

ა) გსკ-ის 828 II პარაგრაფის მიზანი და გამოყენების სფერო:

გერმანელმა კანონმდებელმა გსკ-ის 828-ე პარაგრაფთან მიმართებით ზემოთ ნახსენები ცვლილების შედეგად, გზებზე მოძრაობის დროს განსაკუთრებით მგრძნობიარე ასაკობრივი ჯგუფისთვის, 10 წლის ასაკის მიღწევამდე, დელიქტუარიალობა ზოგადად უარყო.

აღნიშნული ნორმატიული მიზნის გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის სამართლებრივი

პრივილეგია ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ზიანის მომტანი ქცევა საგზაო მოძრაობის სპეციფიკურ საფრთხეებს უკავშირდება. აღნიშნული მაშინაა სახეზე, როდესაც ბავშვი ქუჩაში თამაშისას სატრანსპორტო შემთხვევას იწვევს.⁵⁵ მაგრამ, გსკ-ის 828 II პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობის პრივილეგია არ ვრცელდება, როცა ზიანის შემთხვევა არ უკავშირდება მოტორიზებული გზის მოძრაობის სპეციფიკური საფრთხეებით გამოწვეულ, ტიპურ, გადაჭარბებული მოთხოვნების სიტუაციას (*Überforderungssituation*);⁵⁶ მაგალითად, როცა ბავშვი პარკირებულ მანქანას აზიანებს კიკბორდებით მოძრაობისას⁵⁷ ან ველოსიპედით⁵⁸ მოტორიზებისას. თუ ბავშვი, პირიქით, თავის ველოსიპედს არასათანადო, გადამეტებული სიჩქარით მართავს და საგზაო მოძრაობის გამო გაჩერებულ მანქანას ეჯახება, ეს მოტორიზებული საგზაო მოძრაობის პროცესების სისწრაფით, კომპლექსურობითა და ბუნდოვანებით გამომწვეული ტიპური გადაჭარბებული მოთხოვნების შემთხვევაა (*Überforderungssituation*).⁵⁹

გსკ-ის 828 II პარაგრაფში მოცემული ტიპიზირებული მიდგომა პირდაპირ არ შეიძლება გადატანილი იყოს ქართულ სამართალში (სკ-ის 994-ე მუხლი).

თუმცა, ამ სამართლებრივი რეგულაციის საფუძველზე მიღებული ემპირიული გამოცდილება, რომლის მიხედვითაც მოტორიზებული საგზაო მოძრაობის პროცესების სისწრაფე, კომპლექსურობა და ბუნდოვანება ადვილად აბნევს ბავშვებს ათი წლის ასაკის მიღწევამდე განიხილება, როგორც ზოგადი გამოცდილებითი დებულება.

ბ) პასუხისმგებლობა ათი წლის მიღწევის შემდეგ:

ა) ზოგადი პრინციპები:

გსკ-ის 828 II პარაგრაფის საფუძველად არსებული საკანონმდებლო გადანყვეტილებიდან არ შეიძლება საპირისპირო დასკვნის გამოტანა, რომ არასრულწლოვანი 10 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, მოტორიზებული საგზაო მოძრაობისას ზიანის შემთხვევებში, ავტომატურად ფლობს საჭირო შეგნების უნარს. უფრო სწორად, საკანონმდებლო კონცეფცია ეფუძნება გარდამავალ პროცესს, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდუალური შემთხვევის გარემოებებზე.⁶⁰ ეს ნიშნავს იმას, რომ შეგნების უნარი უფრო მეტად სავარაუდოა, რაც უფრო მატულობს ასაკი. როგორც უკვე სხვა ადგილზე აღინიშნა,⁶¹ გერმანული სასამართლო პრაქტიკა 10 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ძირითადად, საგზაო მოძრაობის ტიპურ სიტუაციებში, შეგნების უნარს მიიჩნევს არსებულად და ამ პრობლემას მეტწილად ბრალეულობის, კერძოდ, ჯგუფური გაუფრთხილებლობის დონეზე განიხილავს.

ანალოგიურად, შეგნების უნარის შემთხვევაშიც, ბრალეულობის მიმართ ნაყენებული მოთხოვნები ასაკის ზრდასთან ერთად უფრო უახლოვდება ზრდასრულისთვის ნაყენებულ მოთხოვნებს. განსაკუთრებით ბავშვების შემთხვევაში, რომლებმაც ათი წლის ასაკს უმნიშვნელოდ გადააბიჯეს, ბრალეულობა, ჯგუფური გაუფრთხილებლობის კრიტერიუმის შესაბამისად შეიძლება უარყოფილი იყოს. ეს განსაკუთრებით ვრცელდება რთულ და უფრო არატიპური მოძრაობის სიტუაციებში (გადაჭარბებული მოთხოვნების სიტუაციებში) ან ჯგუფური დინამიკის სპეციფიკურ ბავშვურ პროცესებში (იმიტაციისა და მიყოლის ეფექტები).

⁵⁵ *Wilhelmi* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 828 BGB, Rn. 2a.

⁵⁶ BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 335/03 - BGHZ 161, 180, juris Rn. 4 ff.; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 29. Mai 2024 - 7 U 38/24 - juris Rn. 22.

⁵⁷ BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 335/03 - BGHZ 161, 180, juris Rn. 4 ff..

⁵⁸ BGH, Urteil vom 21. Dezember 2004 - VI ZR 276/03 - NJW-RR 2005, 327, juris Rn. 8 ff..

⁵⁹ BGH, Urteil vom 17. April 2007 - VI ZR 109/06 - BGHZ 172, 83, juris Rn. 11; weitere Beispiele: BGH, Beschluss

vom 11. März 2008 - VI ZR 75/07 - NJW-RR 2009, 95, juris Rn. 8; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 29. Mai 2024 - 7 U 38/24 - juris Rn. 26.

⁶⁰ OLG Köln, Urteil vom 27. September 2018 - 28 U 16/18 - NJW-RR 2019, 546, juris Rn. 24; OLG Düsseldorf, Urteil vom 15. Februar 2018 - I-1 U 160/15 - NJW-RR 2018, 1039, juris Rn. 105, ბრალეულობის თვალსაზრისით.

⁶¹ *რუსიაშვილი/შაგენლობი*, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, *lawjournal.ge*, Heft 5-2024, Seite 1, 35 ff..

შემდგომი დეტალების განმეორების თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ იხილოთ lawjournal.ge-ის 5-2024 ნომერში წარმოდგენილი განმარტებები.⁶²

ბბ) მაგალითები:

(1) გერმანული სასამართლო პრაქტიკის კრიტიკური უმეტი განხილულ უნდა იქნას ერთ-ერთი გადანყვეტილების საფუძველზე, რომლის არსიც მდგომარეობდა შემდეგში: 11 წლის გოგონა, რომელიც ბავშვთა ჯგუფში ბოლო მოდიოდა, ღამის საათებში ქალაქის ქუჩაზე გადადიოდა და ამ დროს მას შეეჯახა გადაჭარბებული სიჩქარით (თუმცა გოგონასთვის მაინც ალქმადად) მოძრავი ავტომობილი. ცელეს უმაღლესი სააპელაციო სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს:⁶³

„მოსარჩელე ავარიის დროს იყო მხოლოდ ერთმეტი წლის და შესაბამისად ჯერ კიდევ ახლოს იმ ასაკობრივ საზღვართან, რომელსაც გსკ-ის 828 II პარაგრაფი აწესებს.

ბავშვის ასაკთან ერთად უნდა შეფასდეს ასევე კონკრეტული ავარიის სიტუაცია. ვინაიდან პასუხისმგებლობის შეგნება შეიძლება ჩამორჩებოდეს უნარს, აღიქვას მოვლენების ან მდგომარეობის საფრთხე და განსაზღვროს ქმედების ნება მოძრაობის წესების შესაბამისად, რაც გარკვეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის თითქმის ტიპურია. (BGH, Urteil vom 21. Mai 1963 - VI ZR 254/62 -, BGHZ 39, 281-287, Rn. 16 m.w.N., juris).

მოსარჩელის ბრალეულობის, კერძოდ, გაუფრთხილებელი ქმედების და შესაბამისად, თანაპასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება მხოლოდ მაშინ განიხილებოდეს, თუ მისი ასაკისა და განვითარების დონის ბავშვებს საგზაო მოძრაობის დროს საჭირო სიფრთხილის გამოყენებისას შეეძლოთ წინასწარ გაეთვალისწინებინათ, რომ მათი ქმედება შესაძლოა ზიანის მომტანი ყოფილიყო, და კონკრეტულ სიტუაციაში ქცევის საფრთხის გაცნობიერებისას შესაძლებელი და მოსალოდნელი იყო, რომ ამ გაცნობიერების შესაბამისად ემოქმედათ. (მდრ... BGH, BGH, Urteil vom 27. Januar 1970 - VI ZR 157/68

-, Rn. 21, juris; Senat, Urteil vom 19. Februar 2020 - 14 U 69/19-, Rn. 34, juris).

გათვალისწინებული უნდა იქნეს მთლიანად ის სიტუაცია, რომელშიც ბავშვი კონკრეტულ საგზაო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ბავშვების თავისებურებები, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი იმპულსურობა, კონცენტრაციის ნაკლებობა და ჯგუფური დინამიკის შესაბამისი ქცევა. (მდრ. OLG Düsseldorf, 30. August 2013, 1 U 68/12; OLG Saarbrücken, 24. April 2012, 4 U 131/11; OLG Düsseldorf, Urteil vom 15. Februar 2018 - I-1 U 160/15 -, Rn. 105, alle zitiert nach juris).

სენატის აზრით, ეს საერთო სიტუაცია მოსარჩელის ბრალეულობაზე არ მიანიშნებს. მოსარჩელე ბავშვთა ჯგუფში მოძრაობდა და როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების მიხედვით ირკვევა, მართალია, მან მისკენ მოძრავი ავტომობილი დაინახა, მაგრამ ამ დროისთვის ის უკვე იმყოფებოდა სამ სხვა ბავშვთან ერთად გზის სავალ ნაწილზე, რომელთან ერთადაც სკოლაში წასვლას აპირებდა. ამით გარდაუვალად წარმოქმნილი ჯგუფური დინამიკა, რომელიც ხელს უშლიდა, რომ ბავშვი ჯგუფში მარტო დარჩენილიყო, უნდა იყოს გათვალისწინებული საერთო სიტუაციის შეფასებისას, ისევე როგორც სიბნელეში ავტომობილის მანძილისა და სიჩქარის სწორად შეფასების სირთულე.

ამასთან, არასრულწლოვანებით დაკომპლექტიებული გზის მომხმარებლების ჯგუფის ფორმირებისას ცალკეული ბავშვისგან მოსალოდნელია გაფანტულობა და უყურადღებობა. ის ფაქტი, რომ ბავშვი, პრიორიტეტული მოძრაობისთვის ყურადღების მიქცევის გარეშე, სხვა ბავშვის უკან გზას კვეთს, თითქმის ტიპური შემთხვევაა. (OLG Oldenburg, Urteil vom 26. Februar 2004 - 8 U 229/03 -, Rn. 11, juris). აღნიშნულ შემთხვევაში, ოთხი ბავშვიდან უკვე სამმა გადაკვეთა გზა, ხოლო მოსარჩელეს, როგორც ჯგუფის ბოლო ბავშვს, 1-ელი მოპასუხე შეეჯახა, როდესაც გზის გადაკვეთას თითქმის ასრულებდა. 1-ელი მოპასუხე ბავშვთა ჯგუფში შევარდა.

⁶² რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, lawjournal.ge, Heft 5-2024, Seite 1, 35 ff..

⁶³ OLG Celle, Urteil vom 19. Mai 2021 - 14 U 129/20 - NJW 2021, 2124, juris Rn. 18 ff..

მოსარჩელე არ აპირებდა, როგორც ეს მაგალითად დუსელდორფის სააპელაციო სასამართლოს (*Urteil vom 15. Februar 2018 - I-1 U 160/15 - juris*) ან შტუტგარტის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებშია მოხსენიებული (*Urteil vom 09. März 2017 - 13 U 143/16 - juris*), უყურადღებოდ გზის გადაკვეთას, არამედ ის უკვე იმყოფებოდა თავის ჯგუფთან ერთად გზაზე. მან დაინახა 1-ელი მოპასუხის ავტომობილი, მაგრამ არასწორად შეაფასა ავტომობილის მანძილი და სიჩქარე და გააგრძელა გადაკვეთა, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ერთადერთი ბავშვი, გაჩერებულიყო გზის შუაში და გაეტარებინა მოპასუხის ავტომობილი.

სენატის 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებისგან - *14 U 69/19 - განსხვავებით*, ამ შემთხვევაში, მოსარჩელე გადაჭარბებული მოთხოვნების მდგომარეობაში (*Überforderungssituation*) იმყოფებოდა, სადაც მან რეფლექსურად (არასწორი) გადაწყვეტილება მიიღო, ჯგუფს გაჰყოლოდა, რათა ერთად წასულიყვნენ სკოლაში. მან სიბნელეში წამიერი შეცდომით მოპასუხის მანქანის მანძილი და სიჩქარე არასწორად შეაფასა.

ეს შეფასება, რომელიც სიბნელის შედეგად, მინიმუმ, დამატებით გართულდა (*შდრ. KG Berlin, Urteil vom 13. Dezember 1993 - 12 U 2536/91 -, Rn. 26, juris*) 11 წლის ბავშვისთვის, რომელიც ამასთანავე - როგორც აქ - ჯგუფურ დინამიკას ექვემდებარებოდა, ვერ განაპირობებს ბრალეულობას.

ეს შეფასება მით უფრო მართებულია, რადგან მოსარჩელეს უფლება ჰქონდა დაყრდნობოდა იმას, რომ 1-ელი მოპასუხე არ გადააჭარბებდა 50 კმ/სთ სიჩქარეს. დღევანდელი ქალაქების საგზაო მოძრაობის სიმჭიდროვის გათვალისწინებით, ქვეითს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ მძღოლები არ გადააჭარბებენ დასაშვებ მაქსიმალურ სიჩქარეს (*BGH VRS 21, 277; VersR 1970, 818, 819; VersR 1980, 868, 869*). მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ ქვეითებს უსაფრთხოდ გადაადგილება და გზის გადაკვეთა სხეულის დაზიანებისა და სიცოცხლის საფრთხის გარეშე (*KG Berlin, Urteil vom 13. Dezember 1993 - 12 U 2536/91 -, Rn. 26,*

juris). თუ 1-ელი მოპასუხე დაიცავდა დასაშვებ მაქსიმალურ სიჩქარეს, მოსარჩელე შეძლებდა გზის უსაფრთხოდ გადაკვეთას.

(2) საკვანძოდ უნდა აღინიშნოს ასევე შემდეგი:

(2.1) გზის სავალი ნაწილის გადაკვეთის წესები განეკუთვნება საგზაო მოძრაობის იმ წესებს, რომლებიც 12 წლის ბავშვმა, რომელიც ველოსიპედით საზოგადოებრივ საგზაო მოძრაობაში მონაწილეობს, უნდა იცოდეს (ავტორების შენიშვნა: საქმეს საფუძვლად დაედო შემთხვევა, როდესაც ბავშვმა, რომელიც თავდაპირველად მოძრაობდა გზის პარალელურად არსებულ ველოსიპედზე, გადაკვეთა გზის სავალი ნაწილი ქვეითთა გადასასვლელზე ველოსიპედიდან ჩამოუსვლელად, ისე რომ გადაკვეთის განზრახვა არ გამოუხატავს).⁶⁴

(2.2) თუ ქვეითი ძალიან ახლოს მიდის გზის სავალ ნაწილზე, ისე რომ იგი შეიძლება დაეჯახოს გამვლელი ავტომობილის მცირე ზომით გამოწვეულ ნაწილებს (მაგალითად, გარე სარკეს), ის უგულებელყოფს იმ სიფრთხილეს, რომელიც ჩვეულებრივ, გონიერ ადამიანს ასეთ სიტუაციებში საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად გააჩნია.⁶⁵ 11 წლის მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ეს საფრთხე არსებობს და ასეთი ქცევა შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი გახდეს.⁶⁶

თუ ფეხით მოსიარულე დგება გზის კიდეზე ისე ახლოს, რომ მას შეიძლება მოხვდეს მოძრავი ავტომობილის მცირე ზომით გამოწვეული ნაწილები (მაგალითად, გარე სარკე), ის არ იჩენს იმ სიფრთხილეს, რომელსაც ჩვეულებრივი, გონიერი ადამიანი გამოიჩინდა მოცემულ გარემოებებში ზიანის თავიდან ასაცილებლად. თერთმეტი წლის მოსწავლემ უნდა აღიქვას, რომ ეს საფრთხე არსებობს და ასეთი ქცევა შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი იყოს.

(2.3) ნორმალურად განვითარებულმა რვა წლის ბავშვმა, რომელიც უკვე ხუთი წლიდან რეგულარულად მართავს ველოსიპედს, უნდა იცოდეს, რომ ველოსიპედის მართვისას უნდა იყუროს წინ და არ უნდა იყუროს ხანგრძლივად

⁶⁴ OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - DAR 2024, 77, juris Rn 36.

⁶⁵ შდრ. BGH, Urteil vom 22. Juni 1965 - VI ZR 53/64 - NJW 1965, 1708, juris, საორიენტაციოდ.

⁶⁶ OLG Zweibrücken, Beschluss vom 8. März 2021 - 1 U 141/19 - DAR 2021, 569, juris Rn. 34; პასუხისმგებლობის განაწილება 80%-ით 20%-ის წინააღმდეგ, მოსწავლის სასარგებლოდ.

უკან.⁶⁷

(2.4) 11 წლის და 9 თვის ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ გზის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ ავტომობილების მოძრაობის გათვალისწინებით. ბრალეულობის თანაფარდობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვიური თავისებურებები (იმპულსურობა, კონცენტრაციის ნაკლებობა და ჯგუფური ქცევა) და ბავშვის ასაკი.⁶⁸

3. შერეული ბრალი

ა) ზოგადი პრინციპები:

გსკ-ის 828-ე პარაგრაფის საფუძვლად არსებული პასუხისმგებლობის სისტემა არ მოიცავს მხოლოდ იმ ზიანს, რომელსაც ბავშვები სხვას აყენებენ, არამედ ასახავს შერეული ბრალის შერაძცხვას მათი მოთხოვნების წამოყენების დროს.⁶⁹

არასრულწლოვანის არასწორი ქცევა გსკ-ის 254-ე პარაგრაფის (მდრ. სკ-ის 415-ე მუხლი) ან საგზაო მოძრაობის კანონის მე-7, მე-9, მე-17 პარაგრაფების⁷⁰ მიხედვით, პასუხისმგებლობის წვლილის შედარებისას ან თანამონაწილეობის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ნაკლებად უნდა შეფასდეს, ვიდრე ზრდასრულის იგივე არასწორი ქცევა.⁷¹ მაგალითად, ბრალეულობა, რომელიც ზრდასრულის შემთხვევაში განეკუთვნება უხემ გაუფრთხილებლობას, არასრულწლოვანის შემთხვევაში (მისი ასაკისა და შემთხვევის სხვა გარემოებების გათვალისწინებით) შეიძლება ჩაითვალოს მარტივ გაუფრთხილებლობად (მდრ. ჰამის სააპელაციო სასამართლოს ქვემოთ ნაწილობრივ ციტირებული გადაწყვეტილება).

ბ) მაგალითები:

აა) საჩვენებლად ჯერ უნდა აღინიშნოს ჰამის სააპელაციო სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილება:

საქმეს საფუძვლად ედო ის გარემოებები, რომ ათი წლის და ორი თვის ბიჭმა (საქმის მოსარჩელე) ქალაქში სირობილისას საცობში მდგარ ავტომობილებს შორის გზა გადაკვეთა და შემხვედრი მოძრავი ავტომობილი დაეჯახა. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბიჭს შეგნების უნარი ჰქონდა; ის თავისი ასაკისთვის შესაბამისად განვითარებული იყო; გზის გადაკვეთის ქცევა ათი წლის საშუალო განათლების მქონე ბავშვის მოძრაობის აღზრდის ძირითად ნესებში შედის. ბიჭმა უგულებელყო ელემენტარული წესი, რომ გზის გადაკვეთის წინ ყოველთვის გაჩერდეს გზის პირას და გზა მხოლოდ მაშინ გადაკვეთოს, როცა ის თავისუფალია მომავალი სატრანსპორტო საშუალებისგან.⁷² რაც შეეხება ბრალეულობისა და პასუხისმგებლობის შედარებას, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგზე:⁷³

„სენატის მოსაზრებით, სამართლებრივი შედეგების მხარეებს შორის შენონადობა ინვესტს პასუხისმგებლობის 75:25 პროპორციით განაწილებას მოსარჩელის საზიანოდ. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის დარღვევასთან შედარებით, არ მოხდება მოპასუხის ავტომობილის ჩვეულებრივი საოპერაციო რისკის უგულებელყოფა, რომელსაც სენატი ჩვეულებრივ 25%-ით აფასებს.

აა) ამისთვის საჭირო იქნებოდა, რომ მოსარჩელეს საგზაო მოძრაობის კანონის 25 III პარაგრაფით (ავტორების შენიშვნა: ფეხით მოსიარულის ქცევის ვალდებულებები გზის გადაკვეთი-

⁶⁷ OLG Celle, Urteil vom 19. Februar 2020 - 14 U 69/19 - NJW-RR 2020, 407, juris Rn. 32.

⁶⁸ Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 3. Januar 2020 - 7 U 33/19 - juris 24 f..

⁶⁹ BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 335/03 - BGHZ 161, 180, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 30. Juni 2009 - VI ZR 310/08 - BGHZ 181, 368, juris Rn. 14; OLG Hamm, Urteil vom 25. Juni 2024 - I-7 U 142/23 - juris Rn. 29.

⁷⁰ აღნიშნულთან დაკავშირებით: რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, lawjournal.ge Heft 5 2024, Seite 1 ff..

⁷¹ BGH, Urteil vom 18. November 2003 - VI ZR 31/02 - NJW 2004, 772, juris Rn. 11; OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - DAR 2024, 77, juris Rn 58; OLG Zweibrücken, Beschluss vom 8. März 2021 - 1 U 141/19 - DAR 2021, 569, juris Rn. 44; OLG Köln, Urteil vom 27. September 2018 - 28 U 16/18 - NJW-RR 2019, 546, juris Rn. 21.

⁷² OLG Hamm, Urteil vom 25. Juni 2024 - I-7 U 142/23 - juris Rn. 33 ff..

⁷³ OLG Hamm, Urteil vom 25. Juni 2024 - I-7 U 142/23 - juris Rn. 39 ff..

სას) გათვალისწინებული დარღვევისთვის ისეთი ფორმით დასდებოდა ბრალი, რომ მას ობიექტურად და სუბიექტურად არსებითი ბრალეულობა დაკისრებოდა, რაც ავტომობილის ოპერაციულ რისკს სრულად მეორეხარისხოვანად წარმოაჩენდა (...). ასეთი შემთხვევა იქნებოდა, მაგალითად, დაზარალებულის მხრიდან უხეში ფორმით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა (...). აღნიშნულს ადგილი არ აქვს, რადგან მოსარჩელის საგზაო წესების დარღვევა მისი ასაკის შესაბამისად სუბიექტურად განსაკუთრებულად დასაგმობად ვერ შეფასდება.

ბბ) მოსარჩელე, რომელიც ავარიის დროს ათი წლის და ორი თვის იყო, იმ ასაკობრივ ზღვარზე იმყოფება, რომელიც გსკ-ის 828 II და III პარაგრაფით გათვალისწინებული კანონისმიერი პასუხისმგებლობის პრივილეგიების ზღვარს უახლოვდება. ზოგადად, როგორც კანონმდებელი ამ შეფასებით გამოხატავს, საგზაო მოძრაობაში ბავშვები უფრო მაღალ მოთხოვნებსა და საფრთხეებს ექვემდებარებიან, ვიდრე ზრდასრულები, რომელთაგან განსხვავებითაც, ბავშვებს აქვთ ასაკობრივი დეფიციტი საგზაო მოძრაობაში ინტეგრაციისა და მისი საფრთხეების გათვალისწინების კუთხით. (...). მოსარჩელე ავარიის დროს იმ ასაკში იმყოფებოდა, როდესაც ბავშვებს, მიუხედავად ძირითადი წესების სწავლებისა, ჯერ კიდევ არ შეუძლიათ საგზაო მოძრაობის ყველა რისკის უსაფრთხოდ გათვალისწინება თავიანთ გადაწყვეტილებებში. (...). ასაკისთვის შესაბამისია და არ არის უჩვეულო, როდესაც ათი წლის ბიჭი განსაკუთრებულ ვითარებაში უგულვებლყოფს გზის გადაკვეთისას ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების ძირითად წესს და ამჯობინებს დაასკვნას, რომ გზის სავალ ნაწილზე არსებული საცობი თავისთავად გამორიცხავს სხვა გზაზე მოძრაობას. აღნიშნული განსაკუთრებით მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი მხიარულად და (ცხადია შეჯიბრისას) მეგობართან ერთად სირბილით მოძრაობს და ორივეს საერთო მიზანი აქვთ – როგორც აქ, გზის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სუპერმარკეტი. ავარიამდე არსებული სიტუაცია გამოირჩეოდა ბავშვებისთვის დამახასიათებელი შინაგანი დინამიკით, რაც თავის

მხრივ მოსარჩელეს იმპულსური ქმედებისკენ/დასკვნისკენ უბიძგებდა და ყურადღების გაფანტვასა და საგზაო მოძრაობაში სიფრთხილის ვალდებულებების უგულვებლყოფას გამოიწვევდა ... სწორედ ასეთ სიტუაციაში ხდება ბავშვის, როგორც გზის მომხმარებლის მიმართ, ავტომობილებიდან გამომდინარე ოპერაციული რისკის რეალიზება ტიპური სახით, რადგან რეგულარულად - როგორც აქ - ტექნიკურად შეუძლებელია ასეთი იმპულსური ქმედების თავიდან აცილების მიზნით რეაგირება, რომელიც ზიანის პრევენციას უზრუნველყოფდა.“

ბბ) საკვანძოდ უნდა აღინიშნოს ასევე შემდეგი გადაწყვეტილებები:

(1) თუ 11 წლის ბავშვი ველოსიპედით მოძრაობს ფეხით მოსიარულეთა ბილიკზე მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით და ამის გარდა, უყურადღებოდ გადაკვეთს გზას გზაჯვარედინზე, მისი ასაკი განსაკუთრებით შეიძლება ამართლებდეს იმას, რომ მისი (ობიექტურად მძიმე) საგზაო დარღვევა არ შეფასდეს უფრო მძიმედ, ვიდრე ავარიაში მონაწილე ავტომობილის შეუსაბამო სიჩქარე.⁷⁴

(2) ასაკისთვის ტიპურ არასწორ ქცევად შეიძლება ჩაითვალოს არასაკმარისად დასრულებული სწავლისა და საგზაო მოძრაობის საფრთხეებთან შეგუების პროცესი, როდესაც ათი წლის ბავშვი უშუალოდ ავარიის წინ იღებს თავის ტელეფონს და სიხარულისგან უყურადღებოდ და იმპულსურად გადადის გზაზე, რათა მოპირდაპირე მხარეს მყოფ მამასთან მივიდეს. ასეთ შემთხვევაში, მისი ბრალეულობა განსაკუთრებით მძიმე არ არის. შესაბამისად, ავარიაში მონაწილე ავტომობილის ოპერაციული რისკი საგზაო მოძრაობის კანონის მე-9 და გსკ-ის 254-ე პარაგრაფების მიხედვით გამოსაყენებელ შეწონადობაში სრულად არ ქრება ბავშვის პასუხისმგებლობის წვლილთან შედარებით.⁷⁵

(3) დიუსელდორფის სააპელაციო სასამართლო შემდეგნაირად აფასებს შემთხვევას, როდესაც ათი წლის ბავშვი (მოსარჩელემ) ქვეითთა შუქნიშნის წითელი ნიშანი უგულვებლყო:⁷⁶

“მოსარჩელეს შეეძლო ავარიის თავიდან აცილება, თუ ის, მისგან მოსალოდნელი საგზაო წესების შესაბამისად, ქვეითთა გადასასვლელზე

⁷⁴ OLG München, Urteil vom 3. März 2021 - 10 U 4990/20 - juris Rn. 16 ff..

⁷⁵ OLG Köln, Urteil vom 27. September 2018 - 28 U 16/18 - NJW-RR 2019, 546, juris Rn. 25.

⁷⁶ OLG Düsseldorf, Urteil vom 15. Februar 2018 - I-1 U 160/15 - NJW-RR 2018, 1039, juris Rn. 103 ff..

მწვანე შუქის ანთებას დაელოდებოდა.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შუქნიშნების დამორჩილება საგზაო მოძრაობის ძირითადი წესების ნაწილია. ასევე უნდა ველოდოთ, რომ ათი წლის ბავშვი, რომელიც ქალაქში ცხოვრობს და რეგულარულად მონაწილეობს საგზაო მოძრაობაში, იცნობს ამ წესებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ საგზაო სიტუაცია – როგორც მოცემულ შემთხვევაში – მარტივად აღსაქმელია (...). გარდა ამისა, მოსარჩელეს გზა კარგად ეცნობოდა, რომელიც წარმოადგენდა სკოლიდან დაბრუნების ყოველდღიურ მარშრუტს.

თუმცა, მოსარჩელის თანაბრალეულობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის ავარიის დროს მხოლოდ 10 წლის და ხუთი თვის იყო. მას ახალი გადალახული ჰქონდა გსკ-ის 828 II პარაგრაფით დადგენილი ასაკობრივი ზღვარი, რომელიც განსაზღვრავს, რომ საგზაო სიტუაციის არასწორი შეფასების პასუხისმგებლობა – განზრახ ქმედების გამოკლებით – მხოლოდ ამ ასაკის მიღწევის შემდეგ შეიძლება იყოს აღიარებული. ასევე, მთლიანად სიტუაცია უნდა იყოს გათვალისწინებული იმ კუთხით, რომ ბავშვების თავისებურებები, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი იმპულსურობა, კონცენტრაციის ნაკლებობა და ჯგუფური დინამიკის ქცევა, რაც გსკ-ის 828 II პარაგრაფის ტიპური განხილვისას ხელს უშლის ათი წლის ქვემოთ ბავშვებს საგზაო მოძრაობისგან წარმოქმნილი საფრთხეების სათანადო შეფასებაში, არ წყდება მოულოდნელად ათი წლის ასაკის მიღწევისთანავე. (შდრ. Senat, 30. August 2013, 1 U 68/12; OLG Saarbrücken, 24. April 2012, 4 U 131/11).

სენატი მიიჩნევს, რომ მოცემულ გარემოებათა გათვალისწინებით, პასუხისმგებლობის განაწილება 1/3-დან 2/3-მდე მოპასუხის საზიანოდ არის სამართლიანი.“

(4) გარე ტერიტორიაზე გაჩერებული ავტობუსის უკან გზის გადაკვეთი თითქმის 12 წლის ბავშვის ქცევას საქსონია-ანჰალტის სააპელაციო სასამართლო შემდეგნაირად აფასებს:⁷⁷

„1. ავარიის დროს 11 წლის და 11 თვის ბავშვი ფლობს საჭირო შეგნების უნარს (გსკ-ის 828 III

პარაგრაფი), რათა გააცნობიეროს, რომ გზის გადაკვეთა მხოლოდ სატრანსპორტო მოძრაობის გათვალისწინებით არის ნებადართული (საგზაო მოძრაობის კანონის 25 III 1 პარაგრაფი) და რომ ავტობუსის უკან გზის გადაკვეთა მნიშვნელოვნად ზრდის რისკს, რომ შემხვედრი მოძრაობის მძღოლებმა იგი დროულად ვერ შეამჩნიონ. თუ ეს რისკი რეალიზდება, 70%-იანი პასუხისმგებლობის განაწილება (ავტობუსის შენიშვნა: ავტობუსის მძღოლთან მიმართებით; იხ. ორიენტაციის პუნქტი №2) უნდა მოხდეს.

2. ავტობუსის მძღოლი, რომელიც ბავშვს სოფლის ღია გზაზე გადასვლის უფლებას აძლევს, ბავშვის დაზიანების შემთხვევაში 30%-ით არის პასუხისმგებელი.

3. ბავშვის ობიექტურად და სუბიექტურად მნიშვნელოვანი ბრალეულობა, რომელიც მას ეკისრება, ავტომობილის მძღოლის ოპერაციულ რისკს, რომელმაც ბავშვი გზის გადაკვეთისას დროულად ვერ შენიშნა და მასთან შეჯახება მოხდა, სრულიად მეორეხარისხოვანად წარმოაჩენს.

(5) არასრულწლოვნების შემთხვევაში ფაილების გაზიარებასთან დაკავშირებით ჰამის სააპელაციო სასამართლო საკითხს შემდეგნაირად განმარტავს (აქ მხოლოდ საორიენტაციო პუნქტებია მოცემული):⁷⁸

1. საავტორო უფლებებით დაცული ფაილის გადმოწერისა და ფაილის გაზიარების პროგრამის მეშვეობით მისი განთავსებისთვის არასრულწლოვანის კანონით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობა ნავარაუდებია 7 წლის ასაკიდან გსკ-ის 828 III პარაგრაფის მიხედვით, სანინააღმდეგოს დამტკიცებამდე.

2. დელიქტური პასუხისმგებლობის შემონეშვა ზუსტად უნდა გაიმიჯნოს შემდეგ ეტაპზე განსახორციელებელი ბრალის შემონეშვისგან.

3. ბავშვებმა, რომლებიც ცამეტი წლის ასაკს მიუახლოვდნენ, იციან, რომ ინტერნეტში პროგრამული უზრუნველყოფის, განსაკუთრებით კი თამაშების პროგრამული უზრუნველყოფის, „მეკობრული ასლები“ ვრცელდება და რომ მათ არ შეუძლიათ ინტერნეტიდან „მეკობრული ასლების“ ჩამოტვირთვა და, მით უმეტეს, მათი შემდგომი გავრცელება. ეს განსაკუთრებით ეხება იმ

⁷⁷ Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 25. Januar 2017 - 10 U 66/16 - RuS 2017, 267, juris Rn. 29, 41, 52 აქ მხოლოდ საორიენტაციო წინადადება.

⁷⁸ OLG Hamm, Urteil vom 28. Januar 2016 - I-4 U 75/15 - MMR 2016, 547, juris Rn. 37, 43.

ასაკობრივ ჯგუფში მყოფ ბავშვებს, რომლებიც მანამდე მშობლების მიერ ინტენსიურად და თანმიმდევრულად იყვნენ გაფრთხილებულნი ინტერნეტ აქტივობებთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ და რომლებსაც, როგორც მოპასუხეს, მკაცრად და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე აუკრძალათ მონაცემების გაცვლით საქმიანობაში მონაწილეობა ინტერნეტში. ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს ასევე შეუძლიათ და ევალებათ, ინტერნეტში ისე მოიქცნენ, რომ თავიდან აიცილონ საავტორო უფლებებით დაცული უფლებების დარღვევა.

მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების (მშობლების) პასუხისმგებლობის შესახებ დამატებით, გთხოვთ, იხილოთ ფედერალური სასამართლოს 2015 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება,⁷⁹ ასევე www.lawjournal.ge-ზე გამოქვეყნებისათვის განკუთვნილი, სტატიის მეორე ნაწილის განმარტებები (A. III. 2. დ)).

II. მესამე პირების ქცევისა და მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებები არასრულწლოვნების მიმართ.

ბავშვებში შეგნებისა და ქცევის მართვის უნარის ნაკლებობა ან შემცირება (სარკისებურად მათი პასუხისმგებლობის ნაკლებობის ან შემცირებისადმი) ზრდის სხვა საგზაო მონაწილეების, აგრეთვე მეთვალყურეობისა და მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებების მქონე პირების ქცევისა და სიფრთხილის ვალდებულებებს. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ ქცევის ვალდებულებების მქონე პირებმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა დააბალანსონ ბავშვებსა და არასრულწლოვნებში არსებული ანალიზისა და ქცევის დეფიციტი. ეს

სიფრთხილის ვალდებულებები მით უფრო მაღალია, რაც უფრო პატარაა ბავშვი და ამ კონკრეტულ სიტუაციაში რაც უფრო მეტად გადაჭარბებულია მოთხოვნები. ბავშვების აღქმის შესაძლებლობის მიუხედავად, სიფრთხილის მაღალი მოთხოვნები არსებობს ისეთ ადგილებში, სადაც გამოცდილებით ხშირად იმყოფებიან ბავშვები (საბავშვო მოედნები, სკოლების ან საბავშვო ბაღების სიახლოვე), რომლებიც ბავშვებისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ (ცხოველები, წყალი) ან დაკავშირებულია ისეთ საფრთხეებთან, რომელთა გამკლავებაც ბავშვებს იოლად არ შეუძლიათ (დაცემის საფრთხეები, ცეცხლი, საშიში ხელსაწყოები). დეტალურად:

1. ქცევის ვალდებულებები ბავშვებთან მიმართებით საგზაო მოძრაობაში:

აღნიშნული კვალიფიციური ქცევის ვალდებულებები საგზაო მოძრაობის სამართლის სფეროში თვალსაჩინოდ ჩანს, საგზაო მოძრაობის კანონის 3 II ა პარაგრაფის მიხედვით სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებისთვის განსაზღვრულ შემდეგ წესში:

„სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა ბავშვების, დახმარების საჭიროების მქონე და ხანდაზმული ადამიანების მიმართ უნდა იმოქმედოს, განსაკუთრებით სიჩქარის შემცირებითა და მუხრუჭების მზადყოფნით, ისე, რომ ამ მოძრაობის მონაწილეების საფრთხე გამოირიცხოს.“

ბავშვებზე ამ კონტექსტში ითვლებიან არასრულწლოვნები, რომლებსაც 14 წელი ჯერ არ შესრულებიათ.⁸⁰ თუ ეს გარეგნულად არ არის ცალსახად აღქმადი, სხვა მოძრაობის მონაწი-

⁷⁹ BGH, Urteil vom 11. Juni 2015 - I ZR 7/14 - NJW 2016, 950, juris Rn. 32; მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევა იქნა დადასტურებული: „მშობლები ვალდებული არიან, გააკონტროლონ არასრულწლოვანი ბავშვის მხრიდან ინტერნეტის გამოყენება, რათა თავიდან აიცილონ მესამე პირებისათვის ზიანის მიყენება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მონაწილეობამ საავტორო უფლებების დარღვევით ფაილების გაცვლის პლატფორმებში. თუმცა, მშობლები მეთვალყურეობის ვალდებულებას ასრულებენ ნორმალურად განვითარებული ბავშვის მიმართ, რომელიც იცავს მათ ძირითად მითითებებსა და აკრძალვებს, ძირითადად მაშინ, როცა ბავშვს აუხსნიან ფაილების გაცვლის პლატფორმებში

მონაწილეობის უკანონობას და აუკრძალავენ ამ პლატფორმებში მონაწილეობას. არასაკმარისია მხოლოდ ბავშვისთვის ზოგადი წესების ახსნა, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სწორად. (Fortführung von BGH, Urteil vom 15. November 2012, I ZR 74/12, GRUR 2013, 511 Rn. 24 ...).

⁸⁰ OLG Hamm, Beschluss vom 27. Februar 2024 - I-7 U 120/22 - NJW-RR 2024, 894, juris Rn. 21; OLG München, Urteil vom 11. April 2014 - 10 U 4757/13 - Schaden-Praxis 2015, 189, juris Rn. 32; OLG Köln, Urteil vom 5. März 2002 - 15 U 117/01 - juris Rn. 34; Helle in: Freymann/Wellner, jurisPKStraßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 3 StVO (Stand: 02.05.2024).

ლევებმა თავიანთი ქცევა საგზაო მოძრაობის კანონის 3 IIa პარაგრაფის შესაბამისად სიფრთხილის სტანდარტის მიხედვით უნდა დაარეგულირონ.⁸¹

ა) ნდობის პრინციპი:

ბავშვების განსაკუთრებული დაცვის ვალდებულებები არ შემოიფარგლება მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების სიჩქარით. ისინი ასევე გულისხმობენ იმ გარემოებასაც, რომ ე. წ. ნდობის პრინციპი ბავშვებთან მიმართებით მარტივად არ ვრცელდება.

როგორც უკვე სხვა ადგილას დეტალურად იყო განხილული,⁸² ჩვეულებრივ, საგზაო მოძრაობის მონაწილეს არ მოეთხოვება, რომ ელოდეს სხვა მონაწილის მიერ ვალდებულების დარღვევით მოძრაობის საფრთხის ქვეშ დაყენებას (ე. წ. ნდობის პრინციპი).⁸³ ამის მიზეზი, განსაკუთრებით, ის არის, რომ საგზაო მოძრაობა თავისი ჩვეულებრივ სწრაფი პროცესებით ვერ იმუშავებდა გამართულად, თუ ერთ მონაწილეს არ ექნებოდა ნდობა სხვა მონაწილეთა ვალდებულების შესაბამის მოქმედებაზე.⁸⁴ ფედერალური სასამართლო ამ ნდობის პრინციპს შემდეგნაირად აჯამებს:⁸⁵

„საგზაო მოძრაობაში მოქმედი ნდობის პრინციპის მიხედვით, მოძრაობის მონაწილეს, რომელიც მოძრაობის წესებს იცავს, შეუძლია მოელოდოს, რომ სხვა მონაწილე ვალდებულებას არ დაარღვევს და მოძრაობას საფრთხეს არ შეუქმნის. ეს პრინციპი მოქმედებს მხოლოდ იმ დრომდე, სანამ ხილული მოძრაობის სიტუაცია

სხვაგვარი შეფასების საფუძველს არ იძლევა (შდრ. *Senatsurteil vom 4. April 2023 - VI ZR 11/21, NJW 2023, 2108 Rn. 11 mwN*). ნდობის პრინციპის გამონაკლისებს განეკუთვნება არა მხოლოდ ისეთი საგზაო წესების დარღვევა, რომელიც მოძრაობის მონაწილემ დროულად შეამჩნია ან შეეძლო შეემჩნია, არამედ ისეთებიც, რომლებიც, შესაძლოა, ჯერ არ არის ხილული, მაგრამ რომელთა შესაძლებლობაზეც კეთილსინდისიერ მძღოლს ვალდებულების შესაბამისად უნდა ჰქონდეს მოლოდინი.“

აქედან გამომდინარეობს, რომ ნდობის პრინციპი სანყის ეტაპზე ვრცელდება ბავშვების საგზაო ქცევაზეც.⁸⁶ შესაბამისად, დამოკიდებულია კონკრეტულ საგზაო სიტუაციაზე, შეიძლება თუ არა და რა ზომით შეიძლება მძღოლი ბავშვების საგზაო წესების დაცვის ქცევას დაეყრდნოს. საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილემ განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვის ქცევა ან ის მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფება, ავლენს თავისებურებებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე გამოიწვიონ.⁸⁷

ამ ზოგადი მითითებებიდან გამომდინარე, შემონმების შემდეგი თანმიმდევრობა გამოიყენება:⁸⁸

სანყისი პუნქტია,

- დაინახა თუ არა მოძრაობის სხვა მონაწილემ ბავშვი,
- უნდა დაენახა თუ არა ის ყურადღებით მოქმედების შემთხვევაში ან

⁸¹ OLG Köln, Urteil vom 5. März 2002 - 15 U 117/01 - juris Rn. 34; vgl. auch OLG München, Urteil vom 11. April 2014 - 10 U 4757/13 - Schaden-Praxis 2015, 189, juris Rn. 32.

⁸² რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, lawjournal.ge, Heft 5-2024, Seite 1, 18 ff..

⁸³ BGH, Urteil vom 12. Dezember 2023 - VI ZR 77/23 - NJW 2024, 898, juris Rn. 22, 26; BGH, Urteil vom 4. April 2023 - VI ZR 11/21 - NJW 2023, 2108, juris Rn. 11; OLG Frankfurt, Urteil vom 25. Januar 2024 - 26 U 11/23 - RuS 2024, 373, juris Rn. 61 ff..

⁸⁴ BGH, Urteil vom 11. Januar 2005 - VI ZR 352/03 - NJW 2005, 1351, juris Rn. 22.

⁸⁵ BGH, Urteil vom 12. Dezember 2023 - VI ZR 77/23 - NJW 2024, 898, juris Rn. 22.

⁸⁶ BGH, Urteil vom 10. Oktober 2000 - VI ZR 268/99 - NJW 2001, 152, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 01. Juli 1997 - VI

ZR 205/96 - NJW 1997, 2756, juris Rn. 10; OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - RuS 2024, 132, juris Rn 41; OLG Köln, Urteil vom 5. März 2002 - 15 U 117/01 - juris Rn. 33.

⁸⁷ BGH, Urteil vom 10. Oktober 2000 - VI ZR 268/99 - NJW 2001, 152, juris Rn. 6 f.; BGH, Urteil vom 01. Juli 1997 - VI ZR 205/96 - NJW 1997, 2756, juris Rn. 10; OLG Hamm, Beschluss vom 27. Februar 2024 - I-7 U 120/22 - NJW-RR 2024, 894, juris Rn. 20; OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - RuS 2024, 132, juris Rn 41; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 28. Juli 2023 - 3 U 14/23 - RuS 2024, 130, juris Rn. 16.

⁸⁸ შდრ: *Helle* in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 3 StVO (Stand: 02.05.2024), Rn. 36 ff..

- უნდა ჰქონოდა თუ არა მოლოდინი, გარემოებებიდან გამომდინარე გზაზე (ქუჩაზე) მოძრაე ბავშვს.

ზოგადად, ყველგან, სადაც შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები დაყენებული, უნდა ველოდოთ ბავშვების გამოჩენას.⁸⁹ ასევე, აღნიშნული შეეხება სკოლების, საბავშვო ბაღების ან სათამაშო მოედნების სიახლოვეს, თუ სხვა მოძრაობის მონაწილე ან კარგად იცნობს ადგილს, ან ეს დანესებულებები მისთვის ხილულია.⁹⁰ კონკრეტული შემთხვევის გარემოებებზე დამოკიდებული, შეიძლება თუ არა, გარკვეულ დროს, მაგალითად შუალამისას, სიტუაცია სხვანაირად შეფასდეს.⁹¹

ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა გადაწყდეს, როდის უნდა მოემზადოს მოძრაობის მონაწილე ბავშვების გზის სავალ ნაწილზე ყოფნისთვის. ეჭვგარეშეა, რომ ამისთვის საკმარისია გზაზე მოძრაი ბურთი, ან გზის პირას დაგდებული სათამაშო. ასევე, თუ საპირისპირო მიმართულებით გაჩერებული ავტობუსიდან ბავშვები გადმოდიან, მძღოლმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვმა შესაძლოა ავტობუსის უკან გზის გადაკვეთა სცადოს. ბავშვის ასეთი მოძრაობიდან გამომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მან სიჩქარე იმდენად უნდა შეამციროს, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლოს ავტომობილის დაუყოვნებლივ დამუხრუჭება.⁹²

რა კონკრეტული ქცევაა საჭირო, ეს, განსაკუთრებით, დამოკიდებულია ბავშვის გარემონულ იერსახეზე (სავარაუდო ასაკზე)⁹³ და შესაძლო საგზაო წესების დარღვევის ნიშნებზე, მათ შორის თამაშით ან სხვა ბავშვების თანდასწრებით გამონვეული ყურადღების გაფანტვაზე.⁹⁴

განსაკუთრებით პატარა ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც მეთვალყურე პირის (მაგალითად, ხელზე მტკიცედ დაჭერის) უსაფრთხო კონტროლს არ ექვემდებარებიან და რომელთა რეაქციები, შესაბამისად, არაპროგნოზირებადია, მოძრაობის სხვა მონაწილემ მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.⁹⁵

გაძლიერებული სიფრთხილის მოთხოვნები იწყება საგზაო სიტუაციაზე განსაკუთრებული კონცენტრაციითა და ბავშვზე მიზანმიმართული დაკვირვებით; ეს მოიცავს (სხვაგვარად ნებადართული) სიჩქარის შემცირებას და დამუხრუჭებისთვის მუდმივ მზადყოფნას (ყოველგვარი „შოკის მომენტის“ გარეშე) და მთავრდება იმ მოთხოვნით, რომ მძღოლს ავტომობილის ნებისმიერ მომენტში გაჩერება უნდა შეეძლოს ეტაპობრივი სიჩქარის შენარჩუნებით. ეს განსაკუთრებით მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა პატარა ბავშვი მეთვალყურე პირის კონტროლის გარეშე იმყოფება გზის სავალ ნაწილზე ან მის სიახლოვეს.

ბ) მაგალითები

მაგალითად შეიძლება დასახელდეს ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა შემთხვევა, როდესაც რვა წლის ბავშვი ველოსიპედით ტროტუარიდან გზაზე გადავიდა. ფედერალური სასამართლო აღნიშნავს:⁹⁶

„1. სააპელაციო სასამართლოს შეხედულების საწინააღმდეგოდ, მძღოლის ბრალეულობა არ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ის 50 კმ/სთ სიჩქარით ტროტუარზე ველოსიპედით მიმავალ მოსარჩელეს მიუახლოვდა, სიჩქარის

⁸⁹ BGH, Urteil vom 21. Dezember 1993 - VI ZR 246/92 - NJW 1994, 941, juris Rn. 14; OLG Düsseldorf, Urteil vom 7. November 1994 - 1 U 268/93 - juris Rn. 37.

⁹⁰ შდრ. *Helle* in: Freyermann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 3 StVO (Stand: 02.05.2024), Rn. 36.

⁹¹ შდრ. BGH, Urteil vom 21. Dezember 1993 - VI ZR 246/92 - NJW 1994, 941, juris Rn. 14.

⁹² OLG Hamm, Beschluss vom 27. Februar 2024 - I-7 U 120/22 - NJW-RR 2024, 894, juris Rn. 19; ასევე ნაგვის დამცლელებისთვის, რომლებიც ნაგვის მანქანით ნაგვის ურნებს ცლიან: BGH, Urteil vom 12. Dezember 2023 - VI ZR 77/23 - NJW 2024, 898, juris Rn. 23.

⁹³ OLG Celle, Urteil vom 11. Oktober 2023 - 14 U 157/22 - RuS 2024, 132, juris Rn 40; OLG Düsseldorf, Urteil vom

30. August 2013 - I-1 U 68/12 - Schaden-Praxis 2014, 121, juris Rn. 54; OLG Hamm, Urteil vom 11. April 2005 - 13 U 133/04 - DAR 2006, 272, juris Rn. 16.

⁹⁴ BGH, Urteil vom 10. Oktober 2000 - VI ZR 268/99 - NJW 2001, 152, juris Rn. 7; OLG Celle, Urteil vom 19. Mai 2021 - 14 U 129/20 - NJW 2021, 2124, juris Rn. 23; OLG Düsseldorf, Urteil vom 30. August 2013 - I-1U 68/12 - Schaden-Praxis 2014, 121, juris Rn. 54.

⁹⁵ OLG Hamm, Urteil vom 21. November 2023 - I-26 U 79/23 - MDR 2024, 303, juris Rn. 13; *Helle* in: Freyermann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 3 StVO (Stand: 02.05.2024), Rn. 37 f..

⁹⁶ BGH, Urteil vom 10. Oktober 2000 - VI ZR 268/99 - NJW 2001, 152, juris Rn. 6 f..

შემცირების ან მოსარჩელის მიზანმიმართული დაკვირვების გარეშე. ამით სააპელაციო სასამართლო ზედმეტად მაღალ მოთხოვნებს უყენებს სიფრთხილის ვალდებულებას. მართალია, საგზაო მოძრაობის კანონი 3 II პარაგრაფი ავტომობილის მძღოლის სიფრთხილის ვალდებულებას ბავშვების მიმართ უფრო მაღალ მოთხოვნებს უნესებს, თუმცა, სენატი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ბავშვების მიმართაც არ უნდა იყოს ავტომობილის მძღოლის სიფრთხილის ვალდებულების მოთხოვნები გადაჭარბებული, თუ ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე საფრთხე მოსალოდნელი არ არის. (მდრ. *Senatsurteil vom 1. Juli 1997 - VI ZR 205/96 - NJW 1997, 2756, 2757 m.w.N.; vom 5. Mai 1992 - VI ZR 262/91 - VersR 1992, 890*).

ნდობის პრინციპი ზოგადად ბავშვების მიმართაც ვრცელდება, რაც სააპელაციო სასამართლომ სწორად აღნიშნა. სენატი მხოლოდ მაშინ მოითხოვს, რომ მძღოლმა განსაკუთრებული ზომები (მაგალითად, სიჩქარის შემცირება, დამუხრუჭებისთვის მზადყოფნა) მიიღოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თუ ბავშვების ქცევამ ან იმ სიტუაციამ, რომელშიც ისინი იმყოფებიან, გამორჩეული ნიშნები აჩვენა, რამაც შესაძლოა საფრთხე გამოიწვიოს. 1992 წლის 5 მაისის სენატის გადაწყვეტილებაში (- *VI ZR 262/91 - VersR 1992, 890*) ხუთი წლის ბავშვი ტროტუარზე დედას დაშორდა და დამოუკიდებლად, გზის მიმართულებით, გაიქცა. სხვა საქმეში, რომელიც სენატს განსახილველად წარედგინა, 7 ¼ წლის ბავშვი თავის ექვსი წლის ძმასთან ერთად ბავშვების ველოსიპედებით მოპასუხის ავტომობილს ქუჩის მარჯვენა ტროტუარზე ერთდროულად, გვერდიგვერდ მიუახლოვდნენ; მძღოლისთვის საყურადღებო იყო ის, რომ ბავშვები გაურკვეველ საგზაო სიტუაციაში მოძრაობდნენ, რადგან ტროტუარი 1.85 მ სიგანის იყო და ბავშვებს უნდა გაეგოთ ავტობუსის გაჩერება, სადაც მგზავრი ავტობუსს ელოდა და, შესაბამისად, გაურკვეველი იყო, რამდენი ადგილი რჩებოდა ბავშვებისთვის გასავლელად (*Senatsurteil vom 2. Juli 1985 - VI ZR 22/84 - VersR 1985, 1088, 1089*). სენატმა ნდობის პრინციპის შეზღუდული სიტუაცია აღიარა, როდესაც ბავშვები ჯგუფში ველოსიპედებით ველობილიკზე მოძრაობდნენ და გზაჯვარედინზე გადასასვლელისკენ მიდიოდნენ ისე, რომ არ ჩანდა, რომ ისინი

დროულად გაჩერდებოდნენ (*Senatsurteil vom 1. Juli 1997 - VI ZR 205/96 - NJW 1997, 2756*). ასეთმა გარემოებებმა, რომლებიც გაამართლებდა მძღოლის მიერ მოსარჩელის ქცევაზე ნდობის არარსებობას, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია. ყოველ შემთხვევაში, მოსარჩელის ასაკის ბავშვის შემთხვევაში, რომლის ქცევაში ან იმ სიტუაციაში, რომელშიც ის იმყოფებოდა, არ იკვეთება რაიმე განსაკუთრებული ნიშნები, მძღოლს არ ევალება საგზაო წესების დარღვევის მოსალოდნელობა. მოსარჩელე იყო რვა წლის და ასაკის შესაბამისად განვითარებული; ის ველოსიპედით ტროტუარზე დამოუკიდებლად გადაადგილდებოდა. აქამდე არ გამოჩენილა რაიმე განსაკუთრებული გარემოება, რასაც საფრთხე შეეძლო გამოეწვია. ასეთ შემთხვევაში მძღოლის სიფრთხილის ვალდებულებების გადაჭარბება ნიშნავს, რომ რაიმე დამატებითი მტკიცებულების გარეშე მოეთხოვოს სიჩქარის შემცირება ან ბავშვზე მუდმივი დაკვირვება.“

2. ქცევისა და სიფრთხილის სხვა ვალდებულებები:

გარდა საგზაო მოძრაობისა, ბავშვების მიმართ არსებობს კვალიფიციური ქცევისა და სიფრთხილის ვალდებულებები. ეს მოიცავს როგორც სიტუაციისგან დამოუკიდებელ (ზოგად) ზომებს საფრთხის თავიდან ასაცილებლად (ე. წ. მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებები), ასევე ბავშვების თანდასწრებით სიტუაციის შესაბამის ქცევას.

აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებული ქცევის ვალდებულებები, ერთი მხრივ, ითვალისწინებს ბავშვის სპეციალური საფრთხის წყაროებისგან მაქსიმალურად დაცილებას. მეორე მხრივ, საჭიროა გარკვეული მისაბაძი ქცევა, რათა ბავშვები მიბაძვის ან გავლენისგან დამოუკიდებელი შედეგებისგან დავიცვათ. ამასთან, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოზრდილებს შეუძლიათ საფრთხის სიტუაციების გარკვეულწილად მართვა სხვა დამცავი ზომებით, ბავშვებს (დამოკიდებულია ასაკზე) ეს უნარი ან საერთოდ არ გააჩნიათ, ან აქვთ მნიშვნელოვნად შემცირებული დეტალურად:

ა) მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებები:

აა) ზოგადი პრინციპები:

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პირი, რომელიც ქმნის საფრთხის წყაროს ან საშუალებას აძლევს მას იარსებოს, ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო და გონივრული ზომა, რათა შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს სხვებისთვის ზიანის მიყენება (ე. წ. მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულება).⁹⁷ თუ უსაფრთხოების ვალდებულების მქონე პირი ამ ზომებს არ იღებს და ამის შედეგად მესამე პირს ზიანი მიადგება, მას შესაძლოა დელიქტური სამართლის ზოგადი დებულებების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისროს.

მართალია, ისეთი მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელიც ნებისმიერ ზიანს გამორიცხავს პრაქტიკულ ცხოვრებაში მიუღწეველია, თუმცა აუცილებელია თითოეული აბსტრაქტული საფრთხის წინასწარი განეიტრალება. საგზაო უსაფრთხოებისთვის აუცილებელი სიფრთხილე მიღწეულია მაშინ, როდესაც საბოლოო ჯამში მიღწეულია უსაფრთხოების ის დონე, რომელსაც (ობიექტური სიფრთხილის სტანდარტით შეფასებით)⁹⁸ მოცემულ სფეროში გავრცელებული შეხედულება საჭიროდ მიიჩნევს. შესაბამისად, საკმარისია გონივრული და მისაღები უსაფრთხოების ზომების მიღება, რომლებიც გონიერ და წინდახედულ ადამიანს, გონივრული სიფრთხილით, საკმარისად მიაჩნია.⁹⁹ უსაფრთხოების ზომების მისაღებობა დამოკიდებულია ზიანის დადგომის ალბათობაზე (საფ-

რთხის რეალიზაცია), შესაძლო ზიანის სიმძიმეზე და იმ ზომების დანახარჯის მოცულობაზე, რომლებიც საჭიროა საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.¹⁰⁰

ამ ზოგადი კრიტერიუმებიდან გამომდინარე, გერმანიაში ჩამოყალიბდა შემთხვევათა ვრცელი კაზუსტიკა; განსაკუთრებით კი ბავშვების მიმართ მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების ფარგლების შესახებ. ერთი მხრივ, საკითხი ეხება იმას, თუ როგორ უნდა დავიცვათ ბავშვები იმ შემთხვევებში, როდესაც მათ (ასაკის მიხედვით) საერთოდ არ აქვთ ან შემცირებული აქვთ საფრთხის გაცნობიერებისა და ქცევის მართვის უნარი. შესაბამისად, გათვალისწინებულ უნდა იქნას ბავშვური ცნობისმოყვარეობა, გამოუცდელობა, უცხო საგნების მიმართ მიმზიდველობა, ბავშვური იმპულსურობა და ჯგუფური დინამიკის პროცესები.¹⁰¹ გარდა ამისა, უნდა გაიმიჯნოს ის საფრთხის წყაროები, რომელთაც ბავშვები გამოცდილებით, მეთვალყურე პირების თანდასწრების გარეშე აწყდებიან და ისინიც, რომლებსაც, როგორც წესი, მხოლოდ მეთვალყურე პირების თანხლებით ხვდებიან. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგალითად, სამშენებლო უბნების ან იმ ტერიტორიების დაცვა, რომლებიც ბავშვებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია (მაგ., დანგრეული შენობები ან თავისუფლად ხელმისაწვდომი საწყობები, როგორც სათამაშო ადგილი). მეორე ჯგუფში ერთიანდება დახურული ღონისძიების ადგილები, ასევე (კონკრეტული შემთხვევის გარემოებების მიხედვით) ჩაკეტილი სივრცეები ან შემოღობილი გარე ზონები.

შედარებით უფრო მოზრდილი ბავშვების

⁹⁷ BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 05. Juli 2019 - V ZR 96/18 - VersR 2020, 180, juris Rn. 14; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 30. Januar 2024 - 3 U 30/22 - NJW 2024, 2327, juris Rn. 31.

⁹⁸ OLG Zweibrücken, Urteil vom 28. Juni 2023 - 7 U 106/21 - juris Rn. 96.

⁹⁹ სრულად: BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 05. Juli 2019 - V ZR 96/18 - VersR 2020, 180, juris Rn. 14; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 30. Januar 2024 - 3 U 30/22 - NJW 2024, 2327, juris Rn. 31; Brandenburgisches Oberlandesgericht, Beschluss vom 22. Juli 2024 - 2 U 21/24 - juris Rn. 4 ff..

¹⁰⁰ BGH, Urteil vom 19. Juli 2018 - VII ZR 251/17 - NJW 2018, 2956, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 5. Oktober 2004 - VI ZR 294/03 - NJW-RR 2005, 251, juris Rn. 17; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 8. Juli 2020 - 4 U 182/19 - NJW-RR 2020, 1222, juris Rn. 19.

¹⁰¹ შდრ. Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 30. Januar 2024 - 3 U 30/22 - NJW 2024, 2327, juris Rn. 31; OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 71 ff.; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 8. Juli 2020 - 4 U 182/19 - NJW-RR 2020, 1222; juris Rn. 20 ff.; OLG Frankfurt, Urteil vom 27. November 2023 - 3 ORs 23/23 - StV 2024, 573, juris Rn. 35 ff., insb. Rn. 41, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის.

(დაახლოებით ოთხი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ)¹⁰² შემთხვევაში, მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებების ინტენსივობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ბავშვებმა უნდა განავითარონ ისეთი უნარები, როგორებიცაა: დამოუკიდებლობა, პირადი პასუხისმგებლობა და რისკის გაცნობიერება. ვინაიდან ბავშვებმა საფრთხეებთან გამკლავება უნდა ისწავლონ, აზრი არ აქვს, ყოველი საფრთხის წყაროსგან მათ მუდმივად დაცვა. ამიტომაც მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებებთან წინააღმდეგობაში არ მოდის, თუ ბავშვებისთვის „სათავგადასავლო სათამაშო მოედნები“ მოწყობა ან თუ მათ შესაბამისი მეთვალყურეობის ქვეშ გარკვეულ სპორტულ ან დასვენების ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ. გადამწყვეტია, რომ აღნიშნული, მიზანმიმართული და დაბალანსებული გზით, ემსახურებოდეს საფრთხეების აღქმისა და მართვის უნარის განვითარებას ისე, რომ ბავშვები არც გადაჭარბებული მოთხოვნების მდგომარეობაში (*Überforderungssituation*) აღმოჩნდნენ და არც უგუნურ ქცევას მიჰყვნენ. საფრთხის წყაროებთან ასეთი დაგეგმილი კონტაქტის გარეშე, ბავშვის გონივრული განვითარება, განსაკუთრებით საფრთხეებთან გამკლავების სწავლების პროცესი, შეფერხდებოდა.¹⁰³

ბბ) მაგალითები:

შემთხვევების მრავალფეროვნებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მხოლოდ ცალკეული გადაწყვეტილებების მოყვანაა შესაძლებელი.

(1) ფედერალური სასამართლოს 2021 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო შემდეგი გარემოებები:

მოპასუხემ თავისი კლუბის ტერიტორიაზე გამართა ცხენოსნობის შეჯიბრი, რომელსაც დამსწრეები თავისუფლად, წვდომის შეზღუდ-

ვისა და შესვლის საფასურის გარეშე ესწრებოდნენ. ცხენების გადაყვანისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისთვის, მოპასუხემ მონაწილეებს სხვადასხვა მინდორი გამოუყო. ერთ-ერთი ასეთი მინდორი ემიჯნებოდა გზას, რომელსაც შეჯიბრის მიმდინარეობისას მანქანები და დამსწრეები იყენებდნენ. პირველმა მოსარჩელემ თავისი მანქანა ცხენის მისაბმელთან ერთად სპეციალურად ამ მინდორზე განკუთვნილ ადგილას დააყენა. მისაბმელში, სხვა ნივთებთან ერთად, იყო პირველი მოსარჩელის ცხენიც, რომლისთვისაც მეორე მოსარჩელეს გაფორმებული ჰქონდა პასუხისმგებლობის დაზღვევა. ცხენის მისაბმელის უკანა მხარეს გამავალი პანდუსი და გვერდითი ლუკები მაღალი ჰაერის ტემპერატურის გამო ღია იყო. შეჯიბრზე მშობლებთან და სხვა ნათესავებთან ერთად მყოფი სამი წლის ბავშვი შეუმჩნევლად შევიდა მისაბმელში, სადაც ცხენის ნალი თავში მოხვდა და მძიმედ დაშავდა. მეორე მოსარჩელემ, როგორც პირველი მოსარჩელის პასუხისმგებლობის დამზღვევმა, დაზარალებული ბავშვის მიმართ ვალდებულება სრულად შეასრულა. ამჟამად მოსარჩელები მოპასუხისგან მოითხოვენ სოლიდარული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურებას.

ფედერალური სასამართლო, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნავს:¹⁰⁴

„პირი, რომელიც ქმნის ნებისმიერი ტიპის საფრთხეს, ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო და გონივრული ზომა, რათა შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს სხვა პირთა დაზიანება. მოძრაობის უსაფრთხოების სამართლებრივი ვალდებულება მოიცავს იმ ზომებს, რომლებსაც გონიერი და წინდახედული ადამიანი, გონივრულ საზღვრებში, აუცილებლად და საკმარისად ჩათვლის, რათა დაიცვას სხვა პირები დაზიანებისგან. მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულება ეკისრება ასევე მას, ვინც თავისი პასუხისმგებლობის სფეროში შექმნილი საფრთხის არსებობას შესაძლებელს ხდის. (მდრ. Senat,

¹⁰² BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08 - NJW 2009, 1952, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 199/08 - NJW 2009, 1954, juris Rn. 12; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 8. Juli 2020 - 4 U 182/19 - NJW-RR 2020, 1222, juris Rn. 20.

¹⁰³ მეთვალყურეობის ვალდებულებასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 5. Oktober 2004 - VI ZR 294/03 - NJW 2009, 1954, juris Rn 12 f.; OLG München, Urteil vom 29.

Juli 2019 - 21 U 2981/18 - NJW-RR 2020, 88, juris Rn. 28, არასრულწლოვნების ბანაკში დანის გამოყენებისას შესაბამისი ქცევისათვის; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 8. Juli 2020 - 4 U 182/19 - NJW-RR 2020, 1222, juris Rn. 20, ბაღში „სათამაშო სახლისთვის“.

¹⁰⁴ BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 8 ff..

Urteile vom 25. Februar 2014 - VI ZR 299/13, NJW 2014, 2104 Rn. 8; vom 2. Oktober 2012 - VI ZR 311/11, BGHZ 195, 30 Rn. 6; jeweils mwN).

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ყოველი აბსტრაქტული საფრთხის წინასწარ თავიდან აცილება შეუძლებელია. ზოგადი აკრძალვა, რომ სხვებს საფრთხე არ შეუქმნან, უტოპიური იქნებოდა. მოძრაობის უსაფრთხოება, რომელიც სრულად გამორიცხავს ნებისმიერ ზიანს, პრაქტიკულ ცხოვრებაში მიუღწეველია. საფრთხე მხოლოდ მაშინ ხდება პასუხისმგებლობის საფუძველი, როდესაც კომპეტენტური შეფასების დროს ცხადი ხდება, რომ შესაძლებელია სხვების უფლებების დარღვევა. ამიტომაც, ყველა შესაძლო ზიანის შემთხვევაში არ არის საჭირო წინასწარი ზომების მიღება. მხოლოდ ისეთი ზომებია მისაღები, რომლებიც ნამდვილად ხელს შეუწყობს სხვათა დაზიანების თავიდან აცილებას. საგზაო მოძრაობისას სიფრთხილის საჭირო ვალდებულება დაკმაყოფილებულია, თუ საბოლოო ჯამში მიღწეულია უსაფრთხოების ისეთი დონე, რომელიც მოცემულ სფეროში დამკვიდრებული საგზაო მოძრაობის გადმოსახედიდან აუცილებლად მიიჩნევა. ამიტომაც, საკმარისია უსაფრთხოების ის ზომები, რომლებსაც გონივრული, წინდახედული, სიფრთხილითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეული პირი საკმარისად მიიჩნევს, რათა დაიცვას სხვა პირები დაზიანებისგან და რომლებიც მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე გონივრულადაა მოსალოდნელი. (მდრ. Senat, Urteile vom 25. Februar 2014 – VI ZR 299/13, NJW 2014, 2104 Rn. 9; vom 2. Oktober 2012 - VI ZR 311/11, BGHZ 195, 30 Rn. 7; jeweils mwN). სიტუაციებში, სადაც განსაკუთრებული დაცვის ზომები საჭირო არ არის, რადგან სხვებისთვის რისკი მთლიანად გამორიცხული არ არის, მაგრამ მხოლოდ უკიდურესად უჩვეულო და შორეული გარემოებების დროს შეიძლება დადგეს, დაზარალებულმა გამონაკლისის სახით ზიანის ტვირთი თავად უნდა იტვირთოს. (მდრ. Senat, Urteile vom 25. Februar 2014 - VI ZR 299/13, NJW 2014, 2104 Rn. 9; vom 2. Oktober 2012 - VI ZR 311/11, BGHZ 195, 30 Rn. 8; jeweils mwN).

ბ) ამგვარად, მოპასუხე არ იყო ვალდებული მიეღო ზომები, რათა პატარა ბავშვი პირველი მოსარჩელის ცხენის მისაბმელში არ შესულიყო.

აა) ამასთან, უძრავი ქონების მფლობელი არ

შეიძლება დაეყრდნოს იმას, რომ ბავშვები უნებართვოდ არ შევლენ საშიშ ზონაში, თუ ეს ზონა ბავშვებში თამაშისადმი განსაკუთრებულ მიზიდულობას იწვევს და მასთან დაკავშირებული საფრთხეები ბავშვისთვის მარტივად აღქმადია. (მდრ. Senat, Urteil vom 14. März 1995 - VI ZR 34/94, NJW 1995, 2631, juris Rn. 9). უფრო მეტიც, ყოველი უძრავი ქონების მფლობელი ვალდებულია მიიღოს ეფექტური დაცვის ზომები, რათა ბავშვები მათი გამოუცდელითა და უგუნურობით გამონვეული შედეგებისგან დაიცვას, თუ მისთვის ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი, რომ ბავშვები მის მიწის ნაკვეთს სათამაშოდ იყენებენ და არსებობს საფრთხე, რომ ისინი იქ არსებული საშიში ობიექტებით დაინტერესდებიან და დაზიანებას მიიღებენ (...). საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულებაზე მით უფრო მკაცრი მოთხოვნებია წაყენებული, რაც უფრო მიმზიდველია დაცვის ვალდებულების მქონე პირის მიერ შექმნილი ან შენარჩუნებული საფრთხის წყარო ბავშვებისთვის და რაც უფრო ნაკლებად შესაძლებელია, რომ ბავშვებმა თავად აღიქვან არსებული საფრთხეები (...).

თუმცა, მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების მქონე პირს გარკვეულწილად შეუძლია დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ ბავშვის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები მინიმალურ დონეზე მაინც ზრუნავენ მის მეთვალყურეობაზე. ნდობა, რომელსაც უძრავი ქონების მფლობელი გამოიჩენს მეთვალყურეობის ვალდებულების შესრულებაში პასუხისმგებელი პირების მიმართ, აისახება მისი უსაფრთხოების ვალდებულებებზე. მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებების სახე და მოცულობა განისაზღვრება არა მხოლოდ საფრთხის ინტენსივობით, არამედ ასევე საზოგადოების მხრიდან უსაფრთხოების მოლოდინებით. თუ ბავშვისთვის საფრთხეები მესამე პირის სათანადო მეთვალყურეობით გარკვეულწილად ნეიტრალიზებულია, ამასთან დაკავშირებით უძრავი ქონების მფლობელის უსაფრთხოების ვალდებულებებიც შესაბამისად მცირდება, რადგან მას უფლება აქვს, დაეყრდნოს ასეთ მეთვალყურეობას (...).

ბბ) მოცემული საქმის გარემოებების მიხედვით, მოპასუხე შეეძლო დაეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ პატარა ბავშვები იმდენად იქნებოდნენ მეთვალყურეობის ქვეშ, რომ ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ შეჯიბრის

მონაწილეთა გაჩერებული ცხენის მისაბმელებსა თუ ტრანსპორტში შესვლას.

(1) არასრულწლოვანთა სათანადო მეთვალყურეობის მოცულობა განისაზღვრება მათი ასაკის, თავისებურებებისა და ხასიათის მიხედვით, ხოლო საჭირო და გონივრული ზომების ზღვარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გააკეთებდნენ გონიერი მშობლები გონივრული მოთხოვნების მიხედვით კონკრეტულ სიტუაციაში, რათა თავიდან აეცილებინათ ზიანი. (შდრ. *Senat, Urteile vom 24. März 2009 - VI ZR 51/08, NJW 2009, 1952 Rn. 8; vom 19. Januar 1993 - VI ZR 117/92, NJW 1993, 1003, juris Rn. 8; vom 29. Mai 1990 - VI ZR 205/89, BGHZ 111, 282, juris Rn. 19; jeweils mwN*). მეთვალყურეობის ვალდებულების ხარისხი იზრდება სიტუაციის საფრთხის დონესთან ერთად. თუ ბავშვები თამაშობენ გზების სიახლოვეს ან საშიში ობიექტების მახლობლად, უფრო მეტი მეთვალყურეობა საჭირო, ვიდრე დაბალი რისკის მქონე, შემოფარგლულ ტერიტორიაზე (...). პატარა ბავშვებს მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდებათ, რათა მათ თავი აარიდონ გარშემო არსებული საფრთხეების ზემოქმედებას, რომლებსაც ისინი მათი გამოუცდელობისა და უგუნურობის გამო ჯერ ვერ აღიქვამენ და ვერ მართავენ. ეს საფრთხეები მათთვის ყველგანაა; ისინი შეიძლება წარმოიშვას ისეთ ვითარებებში, რომლებიც სხვებისთვის სრულიად უსაფრთხოა. (შდრ. *Senat, Urteil vom 20. September 1994 - VI ZR 162/93, NJW 1994, 3348, juris Rn. 15*). ამიტომ, სასამართლო პრაქტიკა ბავშვებს მხოლოდ ოთხი წლის ასაკიდან ანიჭებს გარკვეულ თავისუფლებას, თუმცა ითვლება, რომ საჭიროა მათი რეგულარული კონტროლი მოკლე დროის ინტერვალებით. (შდრ. *Senat, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 51/08, NJW 2009, 1952 Rn. 14;...*).

ამიტომ, რასაც სააპელაციო სასამართლოც მართებულად ასკვნის, პატარა ბავშვი, ღონისძიების სახისა და ადგილობრივი პირობების გავალისწინებით, უნდა იყოს მეთვალყურეობის ქვეშ ისე, რომ იგი ყურადღების მიღმა არ დარჩეს და საჭიროების შემთხვევაში მაშინვე ხელში აიყვანონ.

(2) თუ პატარა ბავშვების მეთვალყურეობა უწყვეტად არ ხორციელდება, ეს, ზოგადად, მშობლების ან სხვა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მეთვალყურეობის შეცდომად ითვლება. ამგვარი შეცდომის დაშვების

მხოლოდ შესაძლებლობაც არ აკისრებს უსაფრთხოების ვალდებულების მქონე უძრავი ქონების მფლობელს მოვალეობას, რომ გაუმკლავდეს ასეთი მეთვალყურეობის ხარვეზებით წარმოქმნილ საფრთხეებს. ამის საფუძველი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საფრთხის კონკრეტული ნიშნები სახეზეა (...).

არ არსებობს არცერთი გარემოება და არც მოპასუხის განცხადებით დასტურდება, რომ მოპასუხისთვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ (პატარა) ბავშვები უნებართვოდ და სათანადო მეთვალყურეობის გარეშე შედიოდნენ შეჯიბრის მონაწილეების მიერ გაჩერებული ცხენების სატრანსპორტო საშუალებაში და მისაბმელებში და მათში ძვრებოდნენ. ეს, განსაკუთრებით, არ გამომდინარეობს მოსარჩელეთა განცხადებიდან, რომ ამკარა იყო, ცხენის სატრანსპორტო საშუალებები და მისაბმელები მაღალი ტემპერატურის გამო ღია მდგომარეობაში იყო, და რომ ბავშვებიც ახლომდებარე სატრანსპორტო საშუალებებზე სხდებოდნენ და თამაშობდნენ.

გგ) სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მოპასუხეს არ ევალებოდა გაეკონტროლებინა, რომ ბავშვები ცხენებს მეთვალყურეობის გარეშე არ მიახლოებოდნენ.

(1) სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამი წლის ასაკს ქვემოთ ბავშვი, როგორც ამ შემთხვევის მსგავსად ცხენოსნობის შეჯიბრზე დასწრებისას, პრაქტიკულად მუდმივად ხელში უნდა ეჭიროთ. უფრო დიდ ბავშვებსაც მეთვალყურეობა სჭირდებათ, თუმცა, ასაკის შესაბამისად, უფრო ნაკლები მოცულობით.

...

(2) სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოპასუხეს მეთვალყურეობით უნდა უზრუნველყო, რომ ბავშვები ცხენებს მეთვალყურეობის გარეშე ვერცერთ შემთხვევაში ვერ მიახლოებოდნენ, სამართლებრივად მცდარია.

(ა) სააპელაციო სასამართლოს შეხედულების საწინააღმდეგოდ, უფროსი ბავშვებისთვის ყოველთვის საჭირო არ არის ნაკლები მოცულობით მეთვალყურეობა. არასრულწლოვნების მეთვალყურეობის მოცულობა განისაზღვრება მათი ასაკის, თავისებურებებისა და ხასიათის მიხედვით, ხოლო საჭირო და გონივრული ზომების ზღვარი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გააკეთებდნენ გონიერი მშობლები გონივრული

მოთხოვნების მიხედვით კონკრეტულ სიტუაციაში, რათა თავიდან აიცილონ ზიანის მიყენება. ამიტომ, სასამართლო პრაქტიკა ოთხი წლის ასაკიდან ბავშვებს ანიჭებს გარკვეულ თავისუფლებას, თუმცა ითვლება, რომ საჭიროა მათი რეგულარული კონტროლი მოკლე დროის ინტერვალებით ...

ასევე, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისიც, რომ უფროსი ბავშვები ნათლად აღქმულ საფრთხეს თავიანთი ბუნებრივი შიშის გრძობის გამო შეგნებულად არ მიუახლოვდებიან (...).“

...

(2) ბრანდენბურგის უმაღლეს სასამართლოს¹⁰⁵ უნდა შეეფასებინა, საჭიროა თუ არა და რა ზომებია საჭირო იმისთვის, რომ საცხოვრებელი კომპლექსის მიმდებარედ არსებული პატარა ტბა (გუბურა) და მეთევზეთა სახლები ბავშვებს საფრთხეს არ უქმნიდნენ. სასამართლომ პირველ რიგში ხაზი გაუსვა ბავშვების მიმართ მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების იმ ზოგად მოთხოვნებს, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში არის დამკვიდრებული და შემდეგ, სხვა საკითხებთან ერთად, განმარტა:

„საცხოვრებელი კომპლექსი ღია სტილით არის დაგეგმარებული, ხოლო ტბა საერთო კონცეფციის ინტეგრირებული ნაწილია. ... აღნიშნული ღია დიზაინის გათვალისწინებით, მოპასუხეს უნდა ევარაუდა, რომ ბავშვები მხოლოდ თავიანთ ბინებში ან მათ კუთვნილ ბალებში არ იქნებოდნენ და ამ საზღვრების გარეთაც იმოძრაებდნენ. მას ასევე შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ მეთევზეთა სახლების ქვეშ არსებული ტბა ბავშვებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი იქნებოდა. შესაბამისად, საფრთხე, რომ ბავშვები თამაშისა და გამოკვლევის სურვილით ტბასთან მივიდოდნენ და შესაძლოა ზიანი მიეღოთ, სავარაუდო უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ მან მოიჯარეები ამ საფრთხეების შესახებ გააფრთხილა (...). ის, რომ მოპასუხემ იცოდა მეთევზეთა სახლების ქვეშ არსებულ ტბის საფრთხეზე, განსაკუთრებით პატარა ბავშვებისთვის, ნათლად ჩანს ოჯახი U-ს ბავშვის შემთხვევიდან. ამ ინციდენტის საფუძველზე, მოპასუხესთვის ცნობილი იყო, რომ ერთხელ პატარა ბავშვი ტბაში ჩავარდა. მიუხედავად ამისა,

მან დაავალა მისი სახლის მართვის სამსახურს, რომ შეშფოთებული ბავშვის მამის მიერ ტბის უსაფრთხოებისთვის აღმართული ღობე, ისევე დაეშალა....

...

მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების მქონეს გარკვეულწილად შეუძლია დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ ბავშვზე პასუხისმგებელი პირები სიფრთხილის მინიმალურ ყურადღებას გამოიჩინენ (ავტორების შენიშვნა: შემდეგ მოყვანილია შინაარსობრივად იგივე განხილვები, რაც ფედერალური სასამართლოს 2021 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებაში იყო წარმოდგენილი). ...

მოპასუხეს, ღია დიზაინისა და ბალების შემოღობვის არარსებობის გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა ევარაუდა, რომ საფრთხე არსებობდა, რომ მშობლების მეთვალყურეობის მიუხედავად, მისი მოიჯარეების ბავშვები მეთვალყურეობის გარეშე ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ და ტბის არეალში შეაღწევდნენ. მხოლოდ ამ გარემოებასაც კი უნდა მიეცა მისთვის ბიძგი, რათა მიეღო ისეთი უსაფრთხოების ზომები, რომლებიც მთელ ტბას მოიცავდა და არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ ნაწილობრივი შემოღობვით. ყოველ შემთხვევაში, მას ამის ვალდებულება ჰქონდა მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ზუსტად იმ ადგილას, სადაც მოსარჩელე ტბაში ჩავარდა, 2013 წელს მსგავსი შემთხვევა მოხდა და პატარა ბავშვი კინალამ დაიხრჩო.

... აქ საუბარი არ ეხება იმ მოთხოვნებს, რომლებიც საზოგადოებისთვის მიუწვდომელ კერძო მიწაზე არსებული საფრთხის შემცველი ობიექტების უსაფრთხოებისთვის უნდა იქნას შემოღობული მეზობელი ბავშვების დასაცავად, არამედ იმ აუცილებელ ზომებს, რომლებიც საცხოვრებელი კომპლექსის მფლობელსა და გამქირავებელს ეკისრება, რათა მოიჯარეებისა და მათი ოჯახებისათვის ხელმისაწვდომი საერთო ტერიტორიები იყოს უსაფრთხო. შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრებოდა ვალდებულება, რომ გაენიჭრალეებინა მეთევზეთა სახლების ქვეშ არსებული დაუცველი ტბისგან მომდინარე საფრთხე ან, შეძლებისდაგვარად და გონივრულობის ფარგლებში, შეემცირებინა საფრთხე დამცავი ზომებით, მაგალითად ტბაზე ღობის აღმართვის

¹⁰⁵ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 30. Januar 2024 - 3 U 30/22 - NJW 2024, 2327, juris Rn. 31 ff..

მეშვეობით. ...“

(3) მსგავს შემთხვევაზე როსტოკის უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ტბაში აშენებული ბილიკი ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ მცირე ასაკის ბავშვებსაც შეეძლოთ წყალში ჩავარდნისას წყლის ზედაპირზე თავის შეკავება. აღნიშნული ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ ბილიკის არეალში წყლის სიღრმე 1.2 მეტრს აღწევს. ამასთან დაკავშირებით როსტოკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო ასევე განიხილავს ბავშვებისთვის დანესებულ აკრძალვებს და აღნიშნავს:¹⁰⁶

„ეს ვალდებულებები მკაცრდება, თუ მოსალოდნელია, რომ საფრთხის წყაროს ბავშვები გამოიყენებენ. ასეთ შემთხვევაში უნდა მიიღონ განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები, რათა ბავშვები მათი გამოუცდლობისა და უგუნურობის შედეგებისგან დაიცვან. ეს აუცილებელია, მიუხედავად იმისა, ხვდებიან თუ არა ისინი საფრთხის ზონაში, ან მიზანმიმართულად არღვევენ თუ არა წესებსა და მითითებებს (BGH, Urteil vom 03.02.2004, VI ZR 95/03,...; BGH, Urteil vom 04.05.1999, VI ZR 379/98, ...). რადგან, ზრდასრულებისგან განსხვავებით, ბავშვებს საფრთხეების ამოცნობისა და საკუთარი თავის დაცვის შეზღუდული უნარი გააჩნიათ. ხშირად, აკრძალვები მათში მხოლოდ მაცდურ სურვილს აჩენს, რომ დაარღვიონ ისინი. დაცვის ზომები მით უფრო კარგი უნდა იყოს, რაც უფრო მიმზიდველია საშიში ობიექტები ბავშვებისთვის (...).“

ბ) მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის ქცევის ვალდებულებები არასრულწლოვანის მიმართ:

აა) მეთვალყურეობის ვალდებულებასა და მესამე პირების მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებას შორის ურთიერთკავშირი:

როგორც უკვე აღინიშნა, მოძრაობის უსაფრ-

თხოების ვალდებულებების მოცულობა ურთიერთქმედებაშია მეთვალყურე პირების ქცევის ვალდებულებებთან.

ამიტომ, თუ საწინააღმდეგო ნიშნები არ არსებობს, მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების მქონე პირს შეუძლია დაეყრდნოს იმას, რომ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი მინიმალურ დონეზე მაინც განახორციელებს საჭირო მეთვალყურეობას.¹⁰⁷ შესაბამისად, მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების მქონე პირის დაცვის ვალდებულებები მცირდება, თუ ბავშვების მეთვალყურეობით მათი უსაფრთხოება ფაქტობრივად „ნეიტრალიზებულია.“¹⁰⁸

ეს ეხება ერთი მხრივ იმ ადგილებს, სადაც ბავშვი, როგორც წესი, მხოლოდ მეთვალყურე პირის თანხლებით იმყოფება (მაგალითად, კერძო ბაღის ტბორი ან კერძო საცურაო აუზი შემოუღობავ სახლში, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ; ასევე, სპორტული და დასასვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან მეთვალყურე პირები, როგორებიც არიან მშობლები, ახალგაზრდების მწვრთნელები ან ახალგაზრდული ჯგუფის ხელმძღვანელები). მეორე მხრივ, ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ბავშვს ამკარად ეფექტურად მეთვალყურეობენ, მაგალითად, როდესაც მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირს ბავშვი საფრთხის ზონებისგან უსაფრთხო მანძილზე ხელში მყარად უჭირავს.

ეს ურთიერთქმედებები არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ზიანი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მეთვალყურეობის ვალდებულების, ასევე მესამე პირის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევით. ეს განსაკუთრებით ამკარაა საგზაო მოძრაობის დროს მომხდარი შემთხვევებისას. კონკრეტული სიტუაციის მიხედვით არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სხვა ტიპის ზიანის შემთხვევებშიც შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს როგორც მეთვალყურეობის ვალდებულების, ასევე მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევას

¹⁰⁶ OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 68.

¹⁰⁷ BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 23. Mai 1995 - VI ZR 384/94 - MDR 1995, 907, juris Rn. 19; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 19. Februar 2020 - 7 U 138/18 - NJW-RR 2020, 972, juris Rn. 41, პირადი

საცურაო აუზის დაცვის ღონისძიებებისათვის; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 5. Mai 2021 - 11 U 168/18 - NJW-RR 2020, 972, juris Rn. 32, ჰატარა ბავშვის კოცონის ჯერ კიდევ არაგანვლებული ნაკვერჩხლებისგან დაცვის შესახებ.

¹⁰⁸ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 19. Februar 2020 - 7 U 138/18 - NJW-RR 2020, 972, juris Rn. 45.

(იხილეთ ასევე ზემოთ განხილული ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება ცხენის მისაბმელში შესული ბავშვის საქმეზე),¹⁰⁹ მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევა უარყოფილ იქნა.

ბბ) მაგალითები:

(1) თავდაპირველად, უნდა მივუთითოთ საქმეზე, რომლის არსი შემოკლებულად შემდეგში მდგომარეობდა:

შემდგომში დაშავებული პატარა ბავშვი, მშობლებთან და კერძო ტურისტული ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, კარვებში, ზღვის სანაპიროზე ღამეს ათევდა. კარვების უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა ცეცხლის კერა, სადაც ტურისტულმა ჯგუფმა საღამოს კოცონი დაანთო. ამ ჯგუფისთვის ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო, რომ კოცონის ნაკვერჩხლები არ ჩაექროთ. დილით, დაახლოებით 1 1/2 წლის ბავშვი ჯერ კიდევ გაუნელელებულ ნაკვერჩხლებში ჩავარდა და მძიმე დამწვრობა მიიღო. მან მოპასუხესგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვა იმ მიზეზით, რომ საღამოს კოცონი ბოლოს სწორედ მოპასუხემ დატოვა და, შესაბამისად, მას ევალებოდა ნაკვერჩხლების ჩაქრობა.

ბრანდენბურგის უმაღლესმა სასამართლომ უარყო მოპასუხის მიერ მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევა.¹¹⁰ თუმცა, აღნიშნული საეჭვოა. მართალია, ბავშვის მეთვალყურეობის ვალდებულება მშობლებს ეკისრებოდათ და მათ უნდა დაეცვათ ბავშვი ცეცხლის კერასთან უნებართვოდ მისვლისგან, სანამ ნაკვერჩხლები ჯერ კიდევ არ იყო განელელებული. მაგრამ, კონკრეტულ სიტუაციაში მოპასუხისთვის ცხადი იყო, რომ ეს არ შეიძლებოდა საიმედოდ უზრუნველყოფილიყო, რადგან კარვებში ბავშვი მშობლებს (განსხვავებით დახურული ბინებისგან) ადვილად „გაურბის“, და უკვე მცირე დროში გაქცევაც საკმარისი იყო, რომ მას მახლობელ (და გარკვეულწილად მიმზიდველ) ცეცხლის კერასთან მძიმე დამწვრობა მიეღო. დიდი

საფრთხის არსებობისა და ნაკვერჩხლების ჩაქრობის მცირე დანახარჯის გათვალისწინებით, ამგვარი საფრთხის წყაროს თანაავტორი მოპასუხე (მიუხედავად ჯგუფის ჩვეულებრივი პრაქტიკისა და პირდაპირი შეთანხმების არარსებობისა) ვალდებული იყო ჩაექრო ნაკვერჩხლები, სანამ კოცონთან დროის გატარების შემდეგ ბოლოს კარავში შევიდოდა.

(2) მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე კვლავ შეიძლება დისკუსია, ქვემოთ მოცემულ სიტუაციაში ამკარად იკვეთება როგორც მეთვალყურეობის, ასევე მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების დარღვევა:

ექვსი წლის ბავშვმა მწვადის შეწვისას, ალის უცაბედი გაჩაღებით, მიღებული მძიმე დამწვრობა მიიღო. ეს ალი მაშინ წარმოიქმნა, როდესაც მოპასუხემ, რომელიც ცეცხლის დანთებაზე იყო პასუხისმგებელი, სასმელი სპირტი გამოიყენა ცეცხლის გასაღვივებლად, მიუხედავად იმისა, რომ ნაკვერჩხლები უკვე ოდნავ ანათებდნენ. ბავშვის დედამ მოპასუხეს მისცა სასმელი სპირტი და ასევე დაუშვა, რომ მისი შვილი ცეცხლის კერის უშუალო სიახლოვეს ყოფილიყო.¹¹¹

გ) მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობა მეთვალყურეობის საჭიროების მქონე პირის მიმართ:

აა) ზოგადი პრინციპები:

თუ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირი არღვევს თავის ვალდებულებას, იგი პასუხისმგებელია მეთვალყურეობის საჭიროების მქონე პირის წინაშე დელიქტური სამართლის ზოგადი დებულებების შესაბამისად, ასევე (როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი)¹¹² გსკ-ის 1664-ე პარაგრაფის მიხედვით.

(1) პასუხისმგებლობის მასშტაბი გსკ-ის 1664-ე პარაგრაფის მიხედვით:

ამ კონტექსტში, მშობლებსა და ბავშვს შორის პასუხისმგებლობის მასშტაბი სამართლებრივ

¹⁰⁹ BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 8 ff..

¹¹⁰ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 5. Mai 2021 - 11 U 168/18 - NJW-RR 2020, 972, juris Rn. 32.

¹¹¹ OLG Hamm, Urteil vom 4. April 2014 - I-9 U 145/13 - VersR 2016, 465, juris Rn. 30 ff.; პასუხისმგებლობის

სტანდარტის საკითხს (გსკ-ის 1664-ე პარაგრაფი) ქვემოთ განვიხილავთ.

¹¹² BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 210/18 - VersR 2021, 452, juris Rn. 8 f.; BGH, Beschluss vom 17. Juli 2019 -XII ZB 425/18 - BGHZ 222, 376, juris Rn. 12.

ურთიერთობაში (მათ შორის დელიქტური პასუხისმგებლობისთვისაც) ძირითადად რეგულირდება გსკ-ის 1664-ე პარაგრაფის მიხედვით:

„(1) მშობლები ვალდებული არიან ბავშვის მიმართ მშობლის მზრუნველობის განხორციელებისას გამოიჩინონ ისეთი მზრუნველობა, რომელსაც საკუთარი საქმეების შესრულებისას ჩვეულებრივ იჩენენ.

(2) თუ ზიანზე ორივე მშობელია პასუხისმგებელი, ისინი პასუხს აგებენ სოლიდარული მოვალის წესების შესაბამისად.“

გსკ-ის 277-ე პარაგრაფის მიხედვით, *diligentia quam in suis*-ის სიფრთხილის სტანდარტი მშობლებს არ ათავისუფლებს უხეში გაუფრთხილებლობის გამო პასუხისმგებლობისგან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის ამგვარი სტანდარტი მოიცავს მხოლოდ ზიანის გამომწვევ ქმედებებს მეთვალყურეობის ვალდებულების დარღვევის ფარგლებში (როგორც მშობლის მზრუნველობის განხორციელების ნაწილს), მაგრამ არ მოიცავს ბავშვის დაზიანებას მოძრაობის უსაფრთხოების შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც ბავშვი მშობლის მართულ ავტომობილში მგზავრობისას იღებს დაზიანებას.¹¹³ სადავოა, სხვა საჯარო ღონისძიებებსა და ზოგად საჯარო სივრცეებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მშობლის პასუხისმგებლობა ექვემდებარება თუ არა გსკ-ის 1664-ე პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობის შეზღუდვას.¹¹⁴

(2) მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობა მესამე პირებთან მიმართებით:

როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვის მიმართ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობა დელიქტური სამართლის ზოგად დებულებებს ემყარება. შესაბამისად, აღნიშნული კავშირში არ არის გსკ-ის 832-ე პარაგრაფთან

(შინაარსით შედარებადია სკ-ის 994 I და II მუხლთან). ეს ნორმა ეხება მხოლოდ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობას ბავშვის მიერ დაზარალებული მესამე პირებთან მიმართებით და არა ბავშვის მიერ თავად მიღებული ზიანის მოთხოვნებს.¹¹⁵ თუ ზიანის შემთხვევის შედეგად, განსაკუთრებით საგზაო მოძრაობის შემთხვევებში, ზიანს იღებს როგორც ბავშვი, ისე მესამე პირი, მაშინ მესამე პირთან მიმართებით მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობა რეგულირდება გსკ-ის 832-ე პარაგრაფის შესაბამისად, ხოლო ბავშვის მიმართ - გსკ-ის 823-ე პარაგრაფის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში გსკ-ის 1664-ე პარაგრაფთან კავშირში.

ბბ) ცალკეული საკითხები:

(1) სოლიდარული მოვალეობა:

თუ მეთვალყურეობაზე ვალდებული პირიც და მესამე პირიც თანაბრად პასუხისმგებელნი არიან, მათ შორის ჩამოყალიბდება გსკ-ის 840 I პარაგრაფის მიხედვით სოლიდარული ვალდებულება;¹¹⁶ და ეს ვრცელდება ასევე გსკ-ის 1664-ე პარაგრაფის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, მიუხედავად მისი საოჯახო-სამართლებრივი ხასიათისა.¹¹⁷

(2) თანაბრალეულობის გამორიცხვა:

მესამე პირის (*Drittschädiger*) მიმართ დაზარალებული ბავშვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას (სახელშეკრულებო სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობის მიღმა, ამასთან დაკავშირებით გსკ-ის 254 II პარაგრაფსა და 278-ე პარაგრაფთან ურთიერთკავშირში) მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის ბრალეულობა არ იწვევს პასუხისმგებლობის შემცირებას.¹¹⁸ ამასთან მშობლები, როგორც კანონიერი

¹¹³ OLG Karlsruhe, Urteil vom 3. Mai 2012 - 1 U 186/11 - NJW 2012, 3043, juris Rn. 25; შდრ. მეულლისთვის ზიანის მიყენების შესახებ: BGH, Urteil vom 24. März 2009 - VI ZR 79/08 - NJW 2009, 1875, juris Rn. 11.

¹¹⁴ შდრ. მოსაზრების თაობაზე: BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 8.

¹¹⁵ BGH, Urteil vom 17. Oktober 1995 - VI ZR 358/94 - NJW 1996, 53, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 16. Januar 1979 - VI ZR 243/76 - BGHZ 73, 190, juris Rn. 13.

¹¹⁶ Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 219; Schmidt in: Freymann/Wellner, jurisPKStraßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 832 BGB (Stand: 23.07.2024), Rn. 44.

¹¹⁷ BGH, Urteil vom 16. Januar 1979 - VI ZR 243/76 - BGHZ 73, 190, juris Rn. 11 ff..

¹¹⁸ BGH, Urteil vom 1. März 1988 - VI ZR 190/87 - BGHZ 103, 338, juris Rn. 12 f.; BGH, Urteil vom 16. Januar 1979 - VI ZR 243/76 - BGHZ 73, 190, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 29. Oktober 1974 - VI ZR 159/73 - MDR 1975, 219,

წარმომადგენლები, დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში არ ითვლებიან ბავშვის დამხმარე პირებად (*Verrichtungsgehilfen*) გსკ-ის 831-ე პარაგრაფის მიხედვით (შდრ. სსკ-ის 997-ე მუხლი).¹¹⁹ ასევე, გსკ-ის 278-ე პარაგრაფის გამოყენებისათვის სპეციალური სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება დაეფუძნოს იმას, რომ მშობლებმა არ დაიცვეს მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულების მქონე პირის მიერ დადგენილი გამოყენების წესები (*Benutzungsbedingungen*), სანამ კონკრეტული ზიანის შემთხვევა მოხდებოდა. ფედერალური სასამართლო ბავშვთა სათამაშო მოედანზე შესაბამისი „გამოყენების წესების“ (*Benutzungsbedingungen*) დარღვევის შედეგად მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს:¹²⁰

„ასევე, რევიზია არ აყენებს ეჭვქვეშ იმ ფაქტს, რომ მოსარჩელეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეცალება მამის თანაბრალეულობა გსკ-ის 254 I და 278-ე პარაგრაფების მიხედვით, თუ შემთხვევის მომენტში უკვე არსებობდა ვალდებულებითი ურთიერთობა, ან ვალდებულებითი ურთიერთობის მსგავსი განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობა მოპასუხესთან (შდრ. *Senatsurteil vom 20. Mai 1980 - VI ZR 185/78 = NJW 1980, 2090 ...*). მოპასუხე მიიჩნევს, რომ ასეთი განსაკუთრებული კავშირი ზიანის წარმოქმნის დროს არსებობდა, რადგან სათამაშო მოედანზე განთავსებულმა ნიშნულმა განსაზღვრა დაშვებულ პირთა წრე და აკრძალა გარკვეული ქცევები. ამით, გამოყენებითი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ეს გარე-

მოება საკმარისი არ იყო, რათა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ზოგადი დელიქტური უფლებებისა და მოვალეობების მიღმა სპეციალური ვალდებულებით-სამართლებრივი ან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მსგავსი ურთიერთობები ჩამოყალიბებულიყო, რაც სენატის პრაქტიკასთან თანხვედრაშია (...). თუკი სათამაშო მოედნის გამოყენებისთვის რაიმე წესი მართლაც არსებობდა, ამით მარტო არ შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მსგავსი გამოყენებითი ურთიერთობა (...). არ არსებობს ისეთი განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც გაამართლებდა ორივე მხარისთვის განსაკუთრებულ უფლებათა და ვალდებულებათა არსებობას. ამის ნაცვლად, ორივე მხარის ინტერესები საკმარისადაა დაცული საერთო დელიქტური ურთიერთობებით.

გ) ზედამხედველობის ვალდებულების შინაარსი და მოცულობა:

გამოქვეყნებისათვის განკუთვნილი სტატიის მე-2 ნაწილში დეტალურად იქნება განხილული მეთვალყურეობის ვალდებულების წინაპირობები და მოცულობა, ისევე როგორც სამართლებრივი მდგომარეობა ზიანის მიმყენებელ პირთა სიმრავლის შემთხვევაში. მეთვალყურეობის ვალდებულების მოცულობის ცალკეული ასპექტები კი უკვე აისახა ფედერალური სასამართლოს 2021 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებაში¹²¹, რომელიც განხილულია B. II. 2. ა) ბბ) (1) პუნქტში.

juris Rn. 14 ff.; Staudinger/Bernau (2022) BGB § 832, Rn. 221; Schmidt in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 832 BGB (Stand: 23.07.2024), Rn. 46).
¹¹⁹ Ebert in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 254 BGB, Rn. 77.

¹²⁰ BGH, Urteil vom 1. März 1988 - VI ZR 190/87 - BGHZ 103, 338, juris Rn. 13.
¹²¹ BGH, Urteil vom 19. Januar 2021 - VI ZR 194/18 - NJW 2021, 1090, juris Rn. 8 ff.

პირობადებული საკუთრებიდან ნაწარმოები მოლოდინის უფლების სამართლებრივი ბუნება

გელა ჩილოშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონვეული ლექტორი, დოქტორანტი

I. შესავალი

ქართული სამართლებრივი სივრცისთვის, როგორც დოქტრინალურ დონეზე, ისე - პრაქტიკაში მოლოდინის უფლება არ არის სანივთო უფლების ნაცნობი სახელდება, თუმცა ხსენებული უფლების წარმოშობის საფუძველი, რომელსაც პირობადებული საკუთრება წარმოადგენს, ქართული კერძო სამართლისთვის კარგად ნაცნობი ინსტიტუტია და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან დღემდე უცვლელი სახით არის რეგლამენტირებული სანივთო სამართლის კარში.¹ ამდენად, პირობადებული საკუთრება განეკუთვნება სანივთო სამართლის ინსტიტუტს, რომელიც თავისი არსიდან და სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კერძო სამართლის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას შეთანხმდნენ საკუთრების უფლების გადასვლის სპეციალურ წესზე, რაც გულისხმობს საკუთრების გადასვლას შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ.

იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში პირობადებულ საკუთრებას საკუთრების გადასვლის ზოგადი წესიდან გამონაკლის საშუალებად

მიიჩნევენ, რომლის დროსაც საკუთრება მყიდველზე გადადის მხოლოდ პირობის დადგომის შემდეგად. უნდა აღინიშნოს, რომ პირობადებული საკუთრება თავისი არსისა და კონსტრუქციის გათვალისწინებით, წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის პირობებშიც, გამყიდველი, ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე, საკუთრების უფლების შენარჩუნებით ახდენს თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფას. წინამდებარე სტატიის ფარგლებში დეტალურად არის განხილული პირობადებული საკუთრების კონსტრუქცია, რომელიც ადასტურებს რომ მას აქვს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისთვის დამახასიათებელი ნიშნები. აღნიშნულს ცხადყოფს ისიც, რომ მას ევროპის კომერციულ ბაზარზე აქტიურად იყენებენ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, რამაც განაპირობა პრაქტიკაში მისი მრავალი ვარიანტების შემუშავება. ნასყიდობის დროს, როგორც წესი, მხარეები ნივთის გადაცემასთან ერთად თანხმდებიან საკუთრების გადაცემაზეც, რომლის საფუძველზეც შემძენი საკუთრების მიღებით იძენს საკუთრების ობიექტის თავისუფლად განკარგვის უფლებას, რადგან საკუთრება ქო-

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლი ახდენს პირობადებული საკუთრების მოწესრიგებას, რო-

მლის თანახმადაც, მხარეთა მიერ პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმებისას, საკუთრების უფლება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებაზე „სრული ბატონობის“ გამომხატველი აბსოლუტური უფლებაა და მესაკუთრეს ანიჭებს უფლებამოსილებას ქონებას მოექცეს თავისი შეხედულებისამებრ.²

ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე საკუთრების გადაცემისას მოვალის მიერ ვალდებულის შეუსრულებლობის რისკი საკმაოდ მაღალია, რადგან არსებობს მყიდველის მიერ საფასურის გადაუხდელობის რისკი და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სწორედ მხარე ატარებს კონტრაქტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის რისკს.³ აღნიშნული საფრთხის გამო სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს კრედიტორის ინტერესს.⁴ მოთხოვნის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კრედიტორს უქმნის რწმენას, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც კი, ამ სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით, შეძლებს საკუთარი მატერიალური უფლების დაცვას და მოთხოვნის დაკმაყოფილებას.⁵

აღნიშნულის გასაწინააღმდეგებლად კრედიტორს შეუძლია უზრუნველყოფის რელევანტურ საშუალებაზე შეთანხმება, რომლითაც დაცული იქნება მისი ინტერესი შესრულების მიღებასთან მიმართებით. უზრუნველყოფის საშუალებაზე შეთანხმებისას მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მოსალოდნელი რისკები, რამაც შეიძლება შეაფერხოს ან გარკვეული სახით შეუქმნას დაბრკოლება ვალდებულების შესრულებას და მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს რამდენად აზღვევს არსებულ რისკებს შესთანხმებული უზრუნველყოფის საშუალება. მოთხოვნის უზრუნველყოფის გავრცელებული საშუალებები, როგორცაა იპოთეკა ან გირავნობა,

ყოველდღიურ ურთიერთობებში, საყოფაცხოვრებო ნივთებზე ნასყიდობის გარიგებებისათვის არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ეფექტურ და მოქნილ საშუალებას.⁶ ასეთ შემთხვევებში მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, ყველაზე ეფექტურ საშუალებას პირობადებული საკუთრება წარმოადგენს, რომლის დროსაც ხდება ნივთის გადაცემა უზრუნველყოფის ფარგლებში.⁷ შემძენს ნივთი უკვე გადაცემული აქვს და შეუძლია ისარგებლოს, გამყიდველი კი საფასურის სრულად მიღებამდე ინარჩუნებს ნასყიდობის ობიექტზე საკუთრების უფლებას,⁸ რაც ემსახურება გამყიდველის ინტერესთა დაცვას.⁹ ნასყიდობის ფასის დაუყოვნებლივ გადახდაზე უარი, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოადგენს კრედიტის გაცემას, რომლის უზრუნველყოფასაც ემსახურება პირობადებული საკუთრების ინსტიტუტი.¹⁰ ამდენად, საფასურის სრულად გადახდამდე საკუთრების შენარჩუნებით გამყიდველი თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფას ახდენს.¹¹ სხვა უზრუნველყოფის საშუალებებთან შედარებით, პირობადებული საკუთრება მეტად მოქნილი და ეფექტური რეალიზების მექანიზმით ხასიათდება, რაც გამოიხატება გამყიდველის მიერ ნასყიდობის ობიექტზე საკუთრების შენარჩუნების შედეგად მოთხოვნის უზრუნველყოფაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ინსტიტუტის პოპულარობას მისი საიმედოობა განაპირობებს, რამაც ხელი შეუწყო ევროპულ ბაზარზე მის ხშირად გამოყენებას, განსაკუთრებით სამრეწველო ბრუნვაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ხელშეკრულების მონაწილე პირთა მიერ მოთხოვნის

² *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 220.

³ *Grath*, The Handbook of International Trade and Finance: The Complete Guide to Risk Management, International Payments and Currency Management, Bonds and Guarantees, Credit Insurance and Trade Finance, London 2005, 122.

⁴ *რობაქიძე*, ნიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე-სვანიძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014, 539.

⁵ იხ. სუსგ #ას-1300-1320-2011, 2012 წლის 27 მარტი.

⁶ *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2012, 166.

⁷ *Kieninger*, Security Rights in Movable Property in European Private Law, Cambridge 2004, 12.

⁸ *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი 2003, 151.

⁹ იქვე.

¹⁰ *ვოლფი/ველენჰოფერი*, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 248.

¹¹ *Cahir/Comyn/Holohan/Connor/Grady/Neill/Quinn/Smith*, Insolvency Law Professional Practice Guide, London 2003, 23.

პირობადებული საკუთრებით უზრუნველყოფა.¹² ამრიგად, პირობადებული საკუთრების არსიდან და კონსტრუქციიდან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ განსახილველი სანივთო სამართლებრივი ინსტიტუტი წარმოადგენს საკუთრების უფლების გადასვლის არასტანდარტულ წესს, იგი თავისი არსით, განეკუთვნება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას.

ბოლო წლების განმავლობაში, ევროპულ ბაზარზე საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ ისეთ პირობას, რომლის მიხედვითაც, გამყიდველი ფასის სრულად გადახდამდე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას გაყიდულ ნივთზე. აღნიშნული შეთანხმება სწორედაც რომ წარმოადგენს პირობადებული საკუთრების თაობაზე შეთანხმებას, რომლის პრაქტიკულ გამოყენებასა და ეფექტურობას სათანადოდ აცნობიერებს ევროპის სახელმწიფოთა სამართლის სისტემები.¹³ მას ბანკის მიერ გაცემულ კრედიტებზე უფრო ეფექტურ დაკრედიტების საშუალებად მიიჩნევენ.¹⁴ მაგალითად, გერმანიაში პირობადებული საკუთრების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს, რაც განპირობებულია მისი სიმარტივით, კერძოდ, გერმანული სამართლის მიხედვით, მასზე შეთანხმება არ საჭიროებს რეგისტრაციასა და სხვა ფორმალური მოთხოვნების დაცვას და აღნიშნულის გათვალისწინებით, პირობადებული საკუთრება საქონლის საბაზრო მიმოქცევაში მიიჩნევა კრედიტის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს საშუალებად.¹⁵

საგულისხმოა, რომ პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმებისას აბსოლუტური საკუთრების უფლების გადაცემამდე, შემძენი მხარე შეთანხმებული პირობის დადგომამდე იკავებს გარკვეულ სანივთო პოზიციას და მესაკუთრედ გახდომამდე იძენს იმგვარ უფლებას, რომელიც შემძენს გარანტირებულად ანიჭებს, მომავალში

პირობის დადგომის შედეგად, საკუთრების უფლებას. სწორედ აღნიშნულ უფლებას წარმოადგენს მოლოდინის უფლება, რომელსაც საფუძვლად უდევს პირობადებული საკუთრება.

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სწორედ პირობადებულ საკუთრებასა და მისგან ნაწარმოებ მოლოდინის უფლებას. ნაშრომში განხილულია მოლოდინის უფლების სამართლებრივი ბუნება, მის განკარგვასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და დამდგარი სამართლებრივი შედეგები.

II. პირობადებული საკუთრების კონსტრუქცია

პირობადებული საკუთრების განხილვისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მის სამართლებრივ ბუნებაზე. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ პირობადებული საკუთრება არ არის სრული საკუთრება და მისი აბსოლუტური საკუთრებად გარდაქმნა გარკვეული პირობების დადგომაზეა დამოკიდებული.¹⁶ აღნიშნულის გათვალისწინებით, პირობადებული საკუთრება მიიჩნევა სრული საკუთრების უფლების წინარე საფეხურად.¹⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირობადებული საკუთრების შესახებ მომწესრიგებელი ნორმა რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია პირობადებული საკუთრების არსი. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ნორმით დადგენილია საკუთრების გადასვლის განსხვავებული წესი, კერძოდ, საფასურის სრულად გადახდამდე შემძენი ვერ მოიპოვებს გარიგების ობიექტზე საკუთრებას. პირობადებული საკუთრება წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის ფარგლებშიც ხდება გამყიდველის მოთხოვნის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატება იმით, რომ შემძენის მიერ საფასურის

¹² ბზეკალავა, პირობადებული საკუთრება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (შედარებითი ანალიზი), ბესარიონ ზოიძე 60, თბილისი 2013, 15.

¹³ Pennington, Retention of Title to the Sale of Goods under European Law, International and Comparative Law Quarterly 1978/04 Vol. 27; Iss. 2, 277.

¹⁴ Ziegler, Transfer of Ownership in International Trade, 2011, 285.

¹⁵ კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014, § 925, 344.

¹⁶ ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი 2012, 170.

¹⁷ იქვე, 168.

სრულად გადახდამდე შემძენი ვერ მოიპოვებს საკუთრებას.¹⁸ ამდენად, პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმებისას, გამყიდველის ინტერესი დაცულია ნივთზე საკუთრების შენარჩუნებით, რადგან იმ შემთხვევაში თუ შემძენი არ გადაიხდის სრულად საფასურს, მასზე არ გადავა სრული საკუთრება.¹⁹

პირობადებული საკუთრების, ისევე როგორც ნებისმიერი სამართლებრივი ინსტიტუტის, კვლევისას მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი ბუნებისა და სტრუქტურის განხილვა. თავად სახელწოდებიდან გამომდინარე, განსასაზღვრია, თუ რომელ გარიგებას ედება პირობა. საკითხავია, პირობა ედება იმ ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც საფუძვლად უდევს პირობადებულ საკუთრებას თუ - სხვა რაიმეს. იმ შემთხვევაში თუ განვიხილავთ, რომ პირობა ედება თავად ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც საფუძვლად უდევს პირობადებულ საკუთრებას, გამოდის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება პირობის დადგომამდე არ იქნება იურიდიული ძალის მქონე და თანმდევი სამართლებრივი შედეგებიც გადაიწვეს პირობის შესრულების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში პირობის დადგომამდე მხარეებს არ ექნებათ ერთმანეთის მიმართ საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლება, რაც არ არის გარიგების მხარეთა ნებისა და ინტერესის შესატყვისი, რადგან პირობადებული საკუთრების მიზანი სწორედაც ის არის, რომ ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე მყიდველმა მოიპოვოს გარიგების ობიექტზე მფლობელობა, ხოლო გამყიდველს წარმოემყვას საფასურის მოთხოვნის უფლება.²⁰ გარდა ამისა, მფლობელობის გადაცემა არის ფაქტობრივი ხდომილება-რეალაქტი, რომელსაც ვერ დაედება პირობა, რადგან ხდომილება ხდება ან არ ახდება, თუმცა ვერ განხორციელდება ისე, რომ

ფაქტობრივად მოხდეს დროის გარკვეულ მომენტში და ძალაში მოგვიანებით შევიდეს.²¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულება პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმების მიუხედავად უპირობოდ იდება,²² თუმცა საკუთრების გადაცემა ხდება პირობის დათქმით.

ამდენად, პირობა ედება არა ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას, არამედ სანივთო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობას. აღნიშნულს განამტკიცებს ისიც, რომ პირობადებული საკუთრების მომწესრიგებელი ნორმა (სსკ-ის 188-ე მუხლი) რეგლამენტირებულია სანივთო სამართალში. ამდენად, შესაძლებელია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის უპირობოდ დადების თაობაზე, რომლის შედეგადაც ერთმანეთის მიმართ წარმოეშვებათ შესაბამისი უფლებები და მოვალეობები, ხოლო თუ სურთ, რომ საფასურის სრულად გადახდამდე გამყიდველმა შეინარჩუნოს გადაცემულ ნივთზე საკუთრების უფლება, სანივთო გარიგების ფარგლებში შეუძლიათ, შეთანხმდნენ საკუთრების პირობადებული სახით გადასვლაზე.²³ სანივთო გარიგების პირობებში ნასყიდობა და საკუთრების გადასვლის მომენტი ერთმანეთისგან გამიჯნულია არა მხოლოდ ნივთის გადაცემის აუცილებლობით, არამედ ასევე სანივთო შეთანხმების აუცილებლობით, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ნასყიდობა დაიდოს უპირობოდ, ხოლო საკუთრების გადაცემა მოხდეს პირობადადებულად.²⁴

პირობადებული საკუთრების დათქმის პირობებში, გამყიდველი მყიდველისთვის ნივთის მფლობელობაში გადაცემით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების განმავლობაში გამყიდველმა არ უნდა შეუშალოს ხელი პირობის დადგომას, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო

¹⁸ *Faber/Lurger, National Reports on the Transfer of Movable in Europe, May 2008, 21.*

¹⁹ *Singleton, Retention of Title How to keep ownership Of Your Goods And Recover Them When A Buyer Goes Under, 2010, 16.*

²⁰ *Voksul/Wade, Hague-Zagreb Essays 5: On the Law of International Trade: Reservation of International Trade, 1985, 32.*

²¹ *რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 153.*

²² იქვე, 151.

²³ *Virgos/Soriano/Garcimartin/Alferez, The European Insolvency Regulation: Law and Practice, 2004, 109.*

²⁴ *რუსიაშვილი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015, 246.*

ლაქო კოდექსის 98-ე | მუხლის მიხედვით, პირობა დამდგარად ჩაითვლება.²⁵ მაგალითად, პირობადებული საკუთრების შემთხვევაში გამყიდველის მიერ თავის არიდება ნასყიდობის საფასურის მიღებისგან წარმოადგენს პირობის დადგომის დამაბრკოლებელ გარემოებას და დასახელებული ნორმის მიხედვით, ასეთ დროს პირობა დამდგარად მიიჩნევა. მოცემული დისპოზიციის მიზანია იმ პირთა დაცვა, რომელთა უფლებებიც შეილახა იმის გამო, რომ გარიგების მეორე მონაწილემ არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი პირობის დადგომას.²⁶ აღნიშნულიდან გამომდინარე, მყიდველი თუ შეასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ პირობას და დროულად გადაიხდის ნასყიდობის საფასურს, გამყიდველს არ წარმოეშვება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება და შესაბამისად ვერ დააბრკოლებს შემდგომში საკუთრების გადაცემას.²⁷ ამგვარად, პირობადებული საკუთრების დროს სახეზეა უპირობო ნასყიდობა იმ დათქმით, რომ გამყიდველმა შეთანხმებული ნივთი ფასის სრულად გადახდამდე უნდა გადასცეს მყიდველს, თუმცა ამ უკანასკნელზე საკუთრება მხოლოდ ფასის სრულად დაფარვის შემდეგ უნდა გადავიდეს. ამდენად, პირობა ედება სანივთო შეთანხმებას.²⁸ ამდენად, ქართულ სამართალში სანივთო გარიგების აღიარების გარეშე შეუძლებელია ზემოაღნიშნული სახით პირობადებული საკუთრების კონსტრუირება.²⁹ ამასთან, საკუთრების გადასვლასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ფასის გადახდის შემდეგ საკუთრების უფლება გადადის მყიდველზე *ex nunc* ძალით.

1. სანივთო გარიგების ადგილი პირობადებული საკუთრების კონსტრუქციაში

როგორც დოქტრინალური, ისე პრაქტიკული მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც მიიღწევა პირობადებული საკუთრების გადაცემის თაობაზე შეთანხმება. როგორც ზემოთ აღინიშნა, პირობა ედება არა ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას, არამედ - სანივთო-სამართლებრივ ურთიერთობას, ამდენად პირობადებული საკუთრების კონსტრუირება სანივთო გარიგების აღიარების გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, რელევანტურია პირობადებული საკუთრების კონსტრუქციის განხილვისას გაანალიზებულ იქნეს სანივთო გარიგების როლი პირობადებულ საკუთრებასთან მიმართებით.

საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით, კერძო სამართალში მოქმედ ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს გამიჯვნის პრინციპი, რომლის თანახმადაც, არსებობს არა მხოლოდ ვალდებულებითი გარიგება, არამედ - ასევე სანივთო გარიგებაც და საკუთრების გადაცემა ხდება სწორედ ამ სანივთო გარიგების ფარგლებში. მიმართება სანივთო და ვალდებულებით გარიგებებს შორის წარმოადგენს კაუზალობისა და აბსტრაქციის ერთმანეთისგან გამიჯვნის მიზეზს.³⁰ კაუზალობის პრინციპის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სანივთო გარიგება გამიჯნულია ვალდებულებითისაგან, ეს უკანასკნელი მაინც არის მისი ნამდვილობის წინაპირობა, მისი კაუზა – ვალდებულებითი გარიგების ნამდვილობის გარეშე შეუძლებელია საკუთრების გადაცემა.³¹ აბსტრაქციის პრინციპი კი სანივთო გარიგებისა და ვალდებულებითი გარიგების

²⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 98 | მუხლის თანახმად, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება.

²⁶ *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ნიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), თბილისი 2017, მუხ. 98, 548.

²⁷ *Leible/Sosnitzer*, JuS (2001), 341.

²⁸ *რუსიაშვილი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი 2015, 246.

²⁹ *რუსიაშვილი/სირდაძე/გენატაშვილი*, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 158.

³⁰ *რუსიაშვილი*, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, *შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი* 1/2019, თბილისი 2019, 20.

³¹ *რუსიაშვილი/სირდაძე/გენატაშვილი*, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 110.

ნამდვილობას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავს. აღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს გსკ-ის § 929-ე პარაგრაფი, რომლის თანახმადაც მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. ამასთან, სანივთო გარიგება, როგორც აბსტრაქტული შეთანხმება, გამიჯნულია ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებისგან, შესაბამისად, ის არის დამოუკიდებელი გარიგება.³² ამრიგად, გერმანული სამართლის მიხედვით, საკუთრების შესაძენად არა მარტო ვალდებულებითი ხელშეკრულების დადებაა საჭირო, არამედ, აუცილებელია, საკუთრების გადაცემის თაობაზე მხარეთა შეთანხმება.³³

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 186-ე მუხლი, რომელიც ეხება მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემას, ცალსახად გამორიცხავს აბსტრაქციის პრინციპის მოქმედებას. გათვალისწინებით იმისა, რომ დასახელებული ნორმა არ შეიცავს სანივთო გარიგების შესახებ პირდაპირ მითითებას, საკითხავია, აბსტრაქციის პრინციპის მსგავსად, ერთმნიშვნელოვნად გამოირიცხება თუ არა გამიჯვნის პრინციპის მოქმედება ქართულ კერძო სამართალში. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, განხილულ იქნეს სსკ-ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს სამართლებრივი სიკეთეების განკარგვის საკითხებს. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 477-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გამყიდველის ვალდებულებას მფლობელობის გადაცემის გარდა, წარმოადგენს საკუთრების გადაცემაც. აღნიშნული გულისხმობს, რომ ნასყიდობის დადება და მის შესასრულებლად მფლობელობის გადაცემა არ არის საკმარისი საკუთრების უფლების გადასვლისთვის, არამედ ეს

დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტით, სანივთო გარიგების დადებით უნდა მოხდეს.³⁴

გამომდინარე იქიდან, რომ პირობადებული საკუთრებაზე შეთანხმების ფარგლებში ხდება საკუთრების განკარგვა, რელევანტურია, სანივთო გარიგების მნიშვნელობაზე ყურადღება გამახვილდეს პირობადებული საკუთრების ქრილში. აღსანიშნავია, რომ პირობადებული საკუთრების შემადგენლობაც (სსკ-ის 188-ე მუხლი) სანივთო გარიგების არსებობაზე მიუთითებს, კერძოდ, უდავოა, რომ პირობა ედება გარიგებას, რადგან გადადების პირობით შეიძლება დაიდოს მხოლოდ გარიგება და არა - მფლობელობის გადაცემის რეალაქტი.³⁵ პირობადებულად ვალდებულებითი გარიგება რომ იქნეს მიჩნეული, პირობის დადგომამდე ის არ იქნება იურიდიული ძალის მქონე, რაც გულისხმობს, რომ დათქმული პირობის დადგომამდე ხელშეკრულების მხარეებს ერთმანეთის მიმართ არ წარმოეშვებათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნები. აღნიშნული კონსტრუქცია კი არ შეესაბამება პირობადებული საკუთრების არსს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა ნების გათვალისწინებით, საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტას წარმოადგენს ნასყიდობის - უპირობოდ და სანივთო გარიგების პირობადებული სახით დადება, რომლის ფარგლებშიც საკუთრება შემძენზე გადავა მხოლოდ პირობის შესრულების შედეგად.

ქართულ სამართალში სანივთო გარიგების არსებობის საჭიროებას მონინაალმდეგეებიც ჰყავს,³⁶ რომლებიც აღნიშნავენ, რომ თავად ვალდებულებითი გარიგების ფარგლებში დგება სანივთოსამართლებრივი შედეგები და ამისთვის არაა აუცილებელი ორი გარიგების შეთანხმება. ამ მოსაზრების მომხრეები აპელირებენ იმ გარემოებაზე, რომ სანივთო გარიგება მეტად

³² კროპპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014, § 929, 700.

³³ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი 2003, 147.

³⁴ რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2019, თბილისი 2019, 22; რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 114.

³⁵ რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 1/2019, თბილისი 2019, 22.

³⁶ თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, ჭანტურია (რედ.), თბილისი 2018, მუხ. 186 მე-8 ველი, 124.

ართულებს საკუთრების გადაცემას. აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ საკუთრების გადასვლის კონსტრუქციის სირთულის მოტივით სანივთო გარიგების უკუგდება არ არის მიზანშეწონილი. მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს ის სამართლებრივი შედეგები, რომლის მიღწევაც არის შესაძლებელი სანივთო გარიგების ფარგლებში. საგულისხმოა, რომ სამოქალაქო ბრუნვაში კერძო სამართლის სუბიექტთა მიერ საკუთრების გადაცემის განსხვავებულ წესზე შეთანხმებისას (პირობადებული საკუთრება, გადაცემის მომენტის სხვაგვარად გადანევა, გამსხვივების ან შემძენის ნების ნაკლი და ა. შ.) „მხოლოდ სანივთო გარიგება იძლევა ჩახლართული ფაქტობრივი კვანძის მეტ-ნაკლებად მისაღებად გახსნის შესაძლებლობას.“³⁷

სანივთო გარიგებებთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა სანივთო გარიგებას აღიარებს³⁸ და რიგ გადანევიტილებებში ყურადღებას ამახვილებს მის სამართლებრივ ბუნებაზე. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულებითი და სანივთო გარიგებები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. სანივთო გარიგებებში კანონის ნორმატიული ნება ბატონობს და ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ იმის გადანევიტა, სურთ თუ არა სანივთო უფლებების წარმოშობა (ხელშეკრულების დადების თავისუფლება), მაგრამ მისი შინაარსის განსაზღვრაში ძირითადად კანონის იმპერატიულ დანაწესებს ემორჩილებიან (ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის შეზღუდვა).³⁹

ამრიგად, სანივთო გარიგებას არამხოლოდ დოგმატური დანიშნულება აქვს, არამედ მისი არსებობა პრაქტიკული საჭიროებითაც არის განპირობებული, რასაც ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს პირობადებული საკუთრების კონსტრუქცია.

2. პირობადებული საკუთრების ობიექტი

პირობადებული საკუთრების განხილვისას, რელევანტურია განისაზღვროს, განსახილველი უზრუნველყოფის საშუალების ობიექტი და მისი მოქმედების სფერო. გამომდინარე იქიდან, რომ სანივთო სამართალში მოქმედებს სპეციალურობის პრინციპი,⁴⁰ ნივთების ერთობლიობაზე პირობადებული საკუთრების გავრცელება შეუძლებელია რადგან, აღნიშნული პრინციპის თანახმად, აუცილებელია, ნივთი იმდენად ზუსტად იყოს განსაზღვრული, რომ ყველა პირს, ვინც იცნობს ხელშეკრულებას, შეეძლოს საკუთრების გადაცემის მომენტში გადასაცემი ნივთის იდენტიფიცირება. შეცნობადობა მხოლოდ გარეგანი გარემოებების საფუძველზე არასაკმარისია.⁴¹ ამდენად, აუცილებელია ნივთი იყოს იდენტიფიცირებადი, რათა გახდეს პირობადებული საკუთრების ობიექტი. თუმცა შესაძლებელია, რომ ნივთების ერთობლიობაში თითოეულ ნივთზე წარმოიშვას პირობადებული საკუთრება. ამასთან, შესაძლებელია, რომ პირობადებული საკუთრება წარმოიშვას სასაქონლო საწყობაში არსებულ საქონელზე მთლიანად, იმ შემთხვევაში თუ იგი საწყობაში არსებულ ყველა ნივთზე გავრცელდება.⁴²

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, პირობადებული საკუთრება ვრცელდება მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ.⁴³ უძრავ ნივთებზე

³⁷ რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 113.

³⁸ შეადრ. სუსგ. #ას-1283-1538-09 განჩინება, 2010 წლის 25 მაისი; სუსგ. #ას-483-457-2012 გადანევიტილება, 2012 წლის 20 სექტემბერი; სუსგ. # ას-304-289-2013 განჩინება, 2013 წლის 25 ოქტომბერი; სუსგ. # ას-1504-1424-2017 განჩინება, 2018 წლის 9 თებერვალი.

³⁹ იხ. სუსგ. # ას-1147-1094-2013 განჩინება, 2017 წლის 14 ივლისი.

⁴⁰ *Timmerbeil/Pfeiffer/Johannesdotter*, international Asset Transfer: An Overview of the Main Jurisdictions. A Practitioner's Handbook, 2009, 263.

⁴¹ რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 164.

⁴² *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი II, ტანტურია (რედ.), თბილისი 2018, მუხ. 188, ველი 7, 146.

⁴³ ბზეკალავა, პირობადებული საკუთრება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით (შედარებითი ანა-

მის გამოყენებას გამოორიცხავენ იმ არგუმენტებით, რომ პირობადებული საკუთრების დისპოზიცია რეგლამენტირებულია მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის თავში და უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის მომწესრიგებელი ნორმა, სსკ-ის 183-ე მუხლი, საჯარო რეესტრში საკუთრების პირობით რეგისტრაციას არ იცნობს.⁴⁴ აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია ასევე განპირობებული იყოს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის გავლენით, რადგან გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, იმპერატიული დანაწესით, ზღუდავს საკუთრების გადაცემას უძრავ ნივთებზე პირობის დათქმით.⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი მსგავს ნორმატიულ დანაწესს არ შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო სამართალი ერთმნიშვნელოვნად არ გამოორიცხავს უძრავ ნივთებზე პირობადებული საკუთრების გავრცელების შესაძლებლობას.

3. უძრავი ნივთების მიმართ პირობადებული საკუთრების გამოყენება

მიუხედავად იმისა, რომ სანივთო სამართლის აღნიშნული ინსტიტუტი მოთავსებულია მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის თავში, აღნიშნული თავისთავად არ გულისხმობს, რომ უძრავი ნივთების მიმართ მისი გამოყენება აკრძალულია. გარდა ამისა, ბოლო დროს განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როდესაც კერძო სამართლის სუბიექტთა მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის შესახებ შეთანხმება გარკვეული პირობის დათქმითა და შესაბამისი ვალდებულების დარეგისტრირებით ხორციელდება საჯარო რეესტრში, კერძოდ, მხარეები დებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც თანხმდებიან, რომ მყიდველი გარიგების დადებისთანავე არ ხდება უძრავი ნივთის

მესაკუთრე და ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე მომავალი მესაკუთრის სახით რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

3.1. საჯარო რეესტრში პირობადებული საკუთრების დარეგისტრირება

საყურადღებოა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა საჯარო რეესტრში უძრავ ნივთზე აღნიშნული სახით დარეგისტრირების შესაძლებლობას იძლევა, რასაც მოწმობს საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, რომლის მე-11 მუხლის მიხედვით,⁴⁶ დადგენილია რეესტრში უძრავ ნივთებზე დასარეგისტრირებელ უფლებათა და ვალდებულებათა ჩამონათვალი, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. აღნიშნული ნორმის ჩანაწერი არის ზოგადი ხასიათის და ტელეოლოგიურად განმარტების შედეგად, მასში მოიაზრება ნებისმიერი ხასიათის ვალდებულება, რაც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან. პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმება სინალაგმატიური ხასიათისაა⁴⁷ და მასზე შეთანხმება შესაბამისი ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს, მათ შორისაა, მყიდველის მიერ თანხის სრულად დაფარვის ვალდებულება.⁴⁸ შესაბამისად, დასახელებული ნორმის ფარგლებში შესაძლებელია, უძრავ ქონებაზე საკუთრება დარეგისტრირდეს შესაბამისი პირობის დათქმით - ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე მყიდველი დარეგისტრირდება მომავალი მესაკუთრის სახით და მას ამ პერიოდის განმავლობაში შეეზღუდება გარიგების ობიექტის განკარგვის უფლებამოსილება. ამგვარად, მოცემული პირობა თავისი არსით წარმოადგენს ვალდებულებას და შეესატყვისება პირობადებული

ლიზი), ბესარიონ ზოიძე 60, თბილისი 2013, 32; თოთლაძე ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი II, ჭანტურია (რედ.), თბილისი 2018, მუხ. 188, ველი 5, 145.

⁴⁴ თოთლაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი II, ჭანტურია (რედ.), თბილისი 2018, მუხ. 188, ველი 5, 145.

⁴⁵ კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014, § 925, 696.

⁴⁶ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

⁴⁷ Storme, Property Law in a Comparative Perspective, (Spring 2004), 82.

⁴⁸ Hugh, The Law of Contract (Fourth edition), 2003, 383.

საკუთრების დისპოზიციას, რაც თავის მხრივ, მიუთითებს, რომ პირობადებული საკუთრება შესაძლებელია, გავრცელდეს უძრავი ნივთების მიმართაც, რომელიც პრაქტიკაში არც თუ იშვიათად გამოიყენება.

საჯარო რეესტრში აღნიშნული ვალდებულების დარეგისტრირებით ხდება ორივე მხარის ინტერესის დაცვა. ამასთან, მხარეებს ეზღუდებათ განკარგვის უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში რეგისტრაციის სოციალური მიზანი, რომელსაც წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის შენარჩუნება, გარიგებაში მონაწილე მხარეებისა და მესამე პირთა უფლებების დაცვა, ასრულებს თავის ფუნქციას. ყოველივე აღნიშნულით ქარწყლება ზემონახსენები არგუმენტი, რომელიც მიუთითებს, რომ პირობადებული სახით საჯარო რეესტრში ვერ მოხდება უძრავ ნივთზე საკუთრების რეგისტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის მარეგულირებელი ნორმა პირდაპირ არ განსაზღვრავს საჯარო რეესტრში პირობის დათქმით საკუთრების შექმნის წესს, აღნიშნული დაბრკოლებას არ წარმოადგენს კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისთვის, რადგან კერძო სამართალში მოქმედი კერძო ავტონომიის ფარგლებში, ყველაფერი დაშვებულია, რაც კანონით აკრძალული არ არის.⁴⁹ ამდენად, კერძო სამართლის სუბიექტებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ისეთ პირობებზე, რომლებიც კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. შესაბამისად, კერძოსამართლებრივ სივრცეში პირებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლიათ სურვილისამებრ შეთანხმდნენ უძრავ ნივთზე, გარკვეული პირობის დათქმით საკუთრების გადასვლის შესახებ.

3.2. პირობის შესრულებით უპირობო საკუთრების დარეგისტრირება

ამასთან, რელევანტურია, აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის შედეგად დგება პირობა, საკუთრება აბსოლუტური სახით ყოველგვარი დამატებითი ქმედების გარეშე გადადის გამყიდველიდან მყიდველზე,⁵⁰ თუმცა უძრავი ნივთების შემთხვევაში, გათვალისწინებით იმისა, რომ მათზე საკუთრების გადასვლა სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება, მესაკუთრის ცვლილებაც შესაბამისად უნდა აისახოს საჯარო რეესტრში, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებათა რეგისტრაცია.⁵¹ რელევანტურია, განხილულ იქნეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრაქტიკა. მესაკუთრის ცვლილებისთვის, როგორც წესი, საჯარო რეესტრი ითხოვს ორივე მხარის ნების გამოვლენას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეესტრი იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, იმ საფუძველით რომ განცხადება არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.⁵² აღნიშნული რეგულირება ერთი მხრივ გამართლებულია, რადგან ნებისმიერი ხელშეკრულების დადებისთვის საჭიროა ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, რადგან მხოლოდ ერთი პირის ნების გამოვლენით ვერ დადგება სამართლებრივი შედეგი.⁵³ თუმცა იმ მოცემულობაში, როდესაც მხარეები შეთანხმებულნი არიან პირობადებულ საკუთრებაზე და მყიდველი, რომელიც საფასურის სრულად გადახდამდე მომავალი მესაკუთრის სახით არის დარეგისტრირებული, ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მესაკუ-

⁴⁹ ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი 2017, 85.

⁵⁰ Sean, The Role of Authorization in Title Conflicts Involving Retention of Title Clauses: Some American Lessons, Common Law World Review 2014/03 Vol. 43; Iss. 1, March, 2014, 45.

⁵¹ ლაფაჩი, საჯარო რეესტრი - უძრავ ნივთებზე უფლებათა მარეგისტრირებელი ორგანო და ამ სფეროში განხორციელებული რეფორმები, სამართლის ჟურნალი # 2, 2011, თბილისი 2012, 79.

⁵² „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით.

⁵³ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი 2009, 241.

თრის ცვლილების თაობაზე მას უნდა გააჩნდეს საჯარო რეესტრისთვის ცალმხრივად მიმართვის უფლება, რადგან საჯარო რეესტრისთვის აღქმადია ორივე მხარის გამოვლენილი ნება პირობის დათქმით საკუთრების გადასვლის თაობაზე, რასაც მოწმობს რეესტრში არსებული ჩანაწერიც. თავის მხრივ, თანხის გადახდა კი წარმოადგენს პირობის შესრულებას. ამდენად, თუ მყიდველი წარადგენს სათანადო დოკუმენტაციას (მაგ: საბანკო ანგარიშის ამონაწერი) ნასყიდობის საფასურის გამყიდველისთვის სრულად გადახდის შესახებ, რეესტრმა უნდა მოახდინოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მესაკუთრის ცვლილება. საკითხის აღნიშნული გადაწყვეტა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამოქალაქო ბრუნვაში პირობადებული საკუთრების მოქნილობასა და ეფექტურობას.

პირობადებული საკუთრების ობიექტის განხილვისას მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებთან ერთად საყურადღებოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე იმსჯელა პირობადებული საკუთრების არსზე და განმარტა, რომ გამსხვისებლის მოთხოვნას მიუღებელი ნასყიდობის საფასურზე, გასხვისებულ ნივთზე შენარჩუნებული მისი მესაკუთრის ტიტული უზრუნველყოფს. კასაციამ ასევე მიუთითა, რომ მართალია, აღნიშნული მოთხოვნის უზრუნველყოფა მხოლოდ მოძრავ ნივთებს ეხება, მაგრამ ამ შინაარსის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება არც უძრავ ნივთებზე იკრძალება. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სამოქალაქო ბრუნვის ეფექტურობის მიზნით, სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭირო ქონების არ არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის სხვა საშუალებების გამოყენებითაც ხელმისაწვდომი გახდეს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა.⁵⁴

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ პირობადებული საკუთრების მომწესრიგებელი ნორმა წარმოდგენილია მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის ნაწილში, თავისთავად არ გულისხმობს, რომ მისი გამოყენება დაუშვებელია უძრავი ნივთების მიმართ.

III. მოლოდინის უფლების წარმოშობა

პირობადებული საკუთრება უზრუნველყოფს მყიდველის ინტერესების დაცვას გამყიდველის მიერ ცალმხრივი ზემოქმედებისგან, ხოლო გამსხვისებელი განიხილება უზრუნველყოფილ კრედიტორად, რომელიც აღჭურვილია დაცვითი გარანტიით, იმ შემთხვევაში თუ არ შესრულდება პირობა გამყიდველი აღიდგენს პირდაპირ მფლობელობას გადაცემულ ნივთზე. მართალია, პირობის დათქმით გამყიდველი ახდენს საკუთარი მოთხოვნის უზრუნველყოფას,⁵⁵ თუმცა, საკითხავია, მყიდველი პირობადებული საკუთრების გადაცემით რა სამართლებრივ მდგომარეობას იძენს საფასურის სრულად გადახდამდე.

საყურადღებოა, რომ პირობადებული საკუთრების ფარგლებში მყიდველს ენიჭება ნივთის ფლობისა და სარგებლობის უფლება.⁵⁶ ამასთან, მას აკისრია ვალდებულება საკუთრების უფლების მოპოვებისთვის ნასყიდობის საფასურის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით გადახდა. ამდენად, მყიდველზეა დამოკიდებული გადახდის გზით საკუთრების უფლებას მოიპოვებს თუ არა ისე, რომ გამსხვისებელს აღარ შეეძლოს აღნიშნულზე ზემოქმედება. მყიდველი, რომელსაც ნივთი უკვე მფლობელობაში აქვს, იკავებს ისეთ სანივთოსამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც საკუთრების უფლების შექმნის წინარე ეტაპად.⁵⁷ მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების გადაცემა დამოკიდებულია პირობის დადგომაზე, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ შემძენი ვერ მოიპოვებს

⁵⁴ იხ. სუსგ. #ას-1300-1320-2011 განჩინება, 2012 წლის 27 მარტი.

⁵⁵ *Stanescu, Self-Help, Private Debt Collection and the Concomitant Risks: A Comparative Law Analysis*, 2015, 29.

⁵⁶ *Sigman/Kieninge, Cross-Border Security over Tangibles*, 2007, 83.

⁵⁷ *ვოლფი/ველენჰოფერი*, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 258.

ვერანაირ სანივთო პოზიციას. მართალია გამყიდველი ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას, თუმცა მას ეკრძალება, განკარგოს ნივთი იმგვარად, რომ ხელი შეუშალოს შემძენის მიერ საკუთრების მოპოვებას. გამომდინარე იქიდან, რომ პირობადებული საკუთრება პირობით გარიგებას წარმოადგენს, მასზეც გავრცელდება ის ნორმები, რაც პირობითი გარიგებების მიმართ არის გათვალისწინებული (სსკ-ის 90-98-ე მუხლები) იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის მხრიდან მოხდება საკუთრების უფლების გადასვლაში ხელის შეშლა, სსკ-ის 95 II მუხლის საფუძველზე, მყიდველს წარმოეშვება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აღსანიშნავია, რომ დასახელებული მუხლის პირველი ნაწილი არ შეიცავს კონკრეტული ქმედებების ჩამონათვალს, რომელიც ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება, ხელის შეშლად იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური გარემოებების შეფასების შედეგად, უნდა გადაწყდეს არის თუ არა გამყიდველის მხრიდან ხელის შეშლის ფაქტი.

პირობადებულ საკუთრების დროს ხელის შეშლის ფაქტს შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველის მიერ ხდება მესამე პირისადმი ნივთის განკარგვა. როგორც უკვე აღინიშნა, მოცემული დანაწესი გერმანიის სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, გარდამავალ პერიოდში განხორციელებულ განკარგვას ბათილად არ მიიჩნევს და უფლებამოსილ პირს ანიჭებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.⁵⁸ სსკ-ის 95 II მუხლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ვალდებულების დარღვევით განხორციელებული ქმედების სამართლებრივ შედეგს არ წარმოადგენს მისი ბათილობა.⁵⁹ ამ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს ენიჭება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთ-

ხოვნის უფლება. ამდენად, მყიდველის მიერ მოპოვებული სანივთო მდგომარეობა არის უზრუნველყოფილი, იმით, რომ ფასის სრულად გადახდის შედეგად გამყიდველისგან ყოველგვარი დამატებითი ქმედების გარეშე მოიპოვებს აბსოლუტურ საკუთრების უფლებას.⁶⁰ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი ხელს შეუშლის პირობის დადგომას, მყიდველისთვის დაცვითი გარანტიის ფუნქციას ასრულებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება.

რელევანტურია, განხილულ იქნეს ისეთი შემთხვევა, როდესაც გამყიდველის ხელის შეშლა პირობის დადგომასთან მიმართებით გამოხატულია მყიდველის მიერ გადახდილი საფასურის მიღებაზე უარით. გათვალისწინებით იმისა, რომ მსგავსი ქმედება წარმოადგენს არაკეთილსინდისიერების მაგალითს სსკ-ის 98-ე მუხლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, პირობა ობიექტურად შესრულებულია თუ არა ის დამდგარად მიიჩნევა. ამ თვალსაზრისითაც, მყიდველის ინტერესი დაცულია. ამგვარად, ეს ნორმები მყიდველს ანიჭებენ ფასის სრულად დაფარვის შემთხვევაში საკუთრების შეძენის სამართლებრივად უზრუნველყოფილ გარანტიას, რომელსაც გამყიდველი ცალმხრივად ველარ წაართმევს. ეს გარანტია სამართლებრივად გამყარებულია ე. წ. „მოლოდინის უფლების“ ფორმით, რომელიც, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სანივთო უფლებათა რიცხვს განეკუთვნება.⁶¹

1. მოლოდინის უფლების სანივთოსამართლებრივი ბუნება

მოლოდინის უფლების, როგორც იურიდიული ტერმინის, წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია იურიდიულ მეცნიერებაში წარმოებულ კვლევებთან და ამ საკითხის გარშემო გავითარებულ სასამართლო პრაქტიკასთან.⁶²

⁵⁸ გსკ-ს § 161-ე მუხლის მიხედვით, მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში განხორციელებული განკარგვა სამართლებრივი ძალის არმქონეა.

⁵⁹ *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), თბილისი 2017, მუხ. 95, ველი 13, 543.

⁶⁰ *Hubner/Cork*, *European Insolvency Practitioners' Handbook: The AEPPC Compendium of Insolvency Law and Practice*, 1984, 141.

⁶¹ *რუსიაშვილი/სირდაძე/გენატაშვილი*, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 161.

⁶² *Cork/Weiss*, *European Insolvency Practitioners' Handbook The AEPPC Compendium of Insolvency Law*

მოლოდინის უფლება წარმოადგენს უფლების მოპოვების წინარე საფეხურს.

ზოგადად, რაიმეს მოლოდინი სამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს უფლების შექმნის გარანტირებულ წინაპირობას, განსხვავებით მოლოდინის უფლებისგან, რომელიც არსებობს მაშინ, როდესაც უფლების მოპოვების მრავალაქტიანი ელემენტებიდან შესრულებულია თითქმის ყველა პირობა და მხოლოდ კონკრეტული პირობის დადგომა აუცილებელი აბსოლუტური უფლების მოსაპოვებლად.⁶³ პირობადებული საკუთრების არსებობისას, გამსხვივების მესაკუთრედ დარჩენისა და მისი სამართლებრივი პოზიციის მიუხედავად, არ აქვს უფლება შეუშალოს ხელი პირობის დადგომას ცალმხრივად. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირობადებული საკუთრებიდან წარმოშობილი მოლოდინის უფლება იცავს პირობადებულ მესაკუთრეს გამყიდველის არაკეთილსინდისიერი ქმედებებისგან.⁶⁴ რელევანტურია, აქვე აღინიშნოს ისიც, რომ პირობადებული შემთხვევების გარდა, შემძენის მოლოდინის მიღების უფლება წარმოიშობა ასევე უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემისას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფის მიზნით გადაცემული საკუთრება ვალდებულების შესრულების შემდეგ უზრუნველყოფის გამცემს უბრუნდება.⁶⁵

პირობადებული მესაკუთრის მოლოდინის უფლება რამდენად არის სამართლებრივად დაცვის ღირსი სიკეთე დიდი ხნის მანძილზე იყო საკამათო. კამათის საგანს წარმოადგენდა საკითხი, მოლოდინის უფლება მიეკუთვნებოდა სანივთო უფლებათა კატეგორიას თუ უნდა განხილულიყო ვალდებულებითი სამართლის ფარგლებში. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, პირობადებული მესაკუთრის მოლოდინის უფლება წარმოადგენს სანივთო სამართლის უფლებას, რომელსაც „ერთი საფეხური“ აკლია აბ-

სოლუტურ საკუთრებად გარდაქმნამდე. მოლოდინის უფლების შინაარსის დამდგენი მხოლოდ (პირობადებული) სანივთო გარიგება შეიძლება იყოს. საყურადღებოა, მოლოდინის უფლების სანივთო უფლებათა ჭრილში განხილვით ირღვევა თუ არა სანივთო სამართალში მოქმედი *numerus clausus*-ის პრინციპი. აღნიშნული პრინციპის თანახმად, არსებობს იმდენი სანივთო უფლება, რამდენიც კანონითაა აღიარებული.⁶⁶ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ პრინციპი კრძალავს შეთანხმების შედეგად სანივთო უფლების შექმნას, მაგრამ არა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე.⁶⁷ სანივთო უფლებებს არ აქვთ ყოველთვის საკუთრების მსგავსი სტრუქტურა, შესაძლებელია ისინი წარმოდგენილი იყვნენ შეზღუდული სახითაც. ამასთან, გამყიდველის მიერ მყიდველისთვის ნასყიდობის ობიექტის გადაცემით სახეზეა საკუთრების მოპოვებისთვის აუცილებელი წინაპირობები. ორივე მხარე თანხმდება, რომ ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის შემთხვევაში საკუთრება გადადის მყიდველზე. ამდენად, მყიდველზეა დამოკიდებული მოლოდინის უფლება გადაიზრდება თუ არა სრულ საკუთრებაში.⁶⁸ თუ ის შეასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ პირობას და დროულად გადაიხდის ნასყიდობის საფასურს, გამყიდველი ვერ გავა ხელშეკრულებიდან და ვერ დააბრკოლებს შემძენზე საკუთრების გადაცემას. ამგვარად, მყიდველს აქვს ისეთი სამართლებრივი პოზიცია, რომელიც ახლოს დგას საკუთრებასთან. მას აქვს, არა მხოლოდ წინასწარი იმედი უფლების შექმნასთან დაკავშირებით, არამედ მისი მოლოდინი დაცულია სამართლებრივად, როგორც გამყიდველის ქმედებებისგან, ასევე - მესამე პირთაგანაც. შესაბამისად, აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა შეიძლება, განხილულ იქნეს, როგორც “საკუთრების წინარე საფეხური” რომლის ეკონომიკური ღირებულება ნასყიდობის ფასის

and Practice, 1984, 141; Stanescu C., Self-Help, Private Debt Collection and the Concomitant Risks: A Comparative Law Analysis, 2015, 37.

⁶³ Leible/Sosnitza, JuS (2001), 341.

⁶⁴ Pannen, European Insolvency Regulation: Commentary, 2007, 433.

⁶⁵ ვოლფი/ველენჰოფერი, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 258.

⁶⁶ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი 2003, 5.

⁶⁷ რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 161.

⁶⁸ Faber/Lurge, National Reports on the Transfer of Movables in Europe Volume 1: Austria, Estonia, Italy, Slovenia, 2008, 173.

ნილების გადახდასთან ერთად იზრდება. გამომდინარე აქედან, მოლოდინის უფლება საკუთრებასთან მიმართებით „არასრულ საკუთრებად“ მოიხსენიება – უფლება, რომლის სრულ საკუთრებაში გადაზრდასაც ერთი წინაპირობა აკლია.⁶⁹

იმის გათვალისწინებით, რომ მოლოდინის უფლებას სრულ საკუთრებად გარდაქმნამდე მხოლოდ პირობის დადგომა ამორებს, საკითხავია, მყიდველს აქვს თუ არა მესაკუთრისათვის გათვალისწინებული ვინდიკაციური მოთხოვნის უფლება. მართალია, დასახელებული ნორმა ცალსახად განსაზღვრავს უფლებამოსილ პირად მესაკუთრეს, რომელსაც შეუძლია უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. თუმცა გამართლებულია, აღნიშნული ნორმა გავრცელდეს პირობადებული საკუთრების შემძენის მიმართაც, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არ ფლობს აბსოლუტურ საკუთრებას, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მისი სამართლებრივი მდგომარეობა განიხილება საკუთრების უფლების წინარე საფეხურად. აღნიშნული საფუძვლით, პირობადებული საკუთრების შემძენზე ასევე გავრცელდება საკუთრების ხელშეშლისა ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლება.⁷⁰ შესაბამისად, ვინდიკაციური მოთხოვნის უფლების სუბიექტად პირობადებული შემძენიც უნდა იქნეს განხილული მისი სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე. ამრიგად, მოლოდინის უფლება პირობადებულ მესაკუთრეს უზრუნველყოფს არამართლზომიერი მფლობელის მიმართ მესაკუთრისათვის განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნის უფლებების მინიჭებით.⁷¹

IV. პირობადებული მესაკუთრისთვის მოლოდინის უფლების გადაცემით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება

გამომდინარე იქიდან, რომ მოლოდინის უფლების მიღებით პირობადებული საკუთრების შემძენი მესაკუთრის მსგავს სამართლებრივი დაცვის რეჟიმის ფარგლებში ექცევა,⁷² მნიშვნელოვანია დადგინდეს, ნივთის მესამე პირის მიერ დაზიანების შემთხვევაში, იქნება თუ არა პირობადებული მესაკუთრე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი თუ მხოლოდ მესაკუთრეს წარმოეშვება აღნიშნული მოთხოვნის უფლება. აღნიშნული საკითხი, მნიშვნელოვანია ასევე ზიანის მიმყენებლისთვისაც თუ ვის წინაშეა პასუხისმგებელი მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში. გათვალისწინებით იმისა, რომ მოლოდინის უფლებასთან შედარებით საკუთრების უფლება წარმოადგენს აბსოლუტური ხასიათის სანივთო უფლებას, უფრო გამართლებული იყოს მესაკუთრის მიჩნევა მოთხოვნის სუბიექტად.⁷³ თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ნივთის გადაცემით გადადის შემძენზე შემთხვევითი დალუპვის რისკი. ამასთან, ნივთის დაზიანების მიუხედავად, მყიდველის ვალდებულება ნასყიდობის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით არ ქარწყლდება.⁷⁴ ამდენად, მყიდველს უფრო მეტად ადგება ზიანი, რადგან გამყიდველის ზიანი გამოიხატება მხოლოდ უზრუნველყოფის ფარგლებში გადაცემული ნივთის დაკარგვაში.

აღნიშნულთნ დაკავშირებით, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, მესაკუთრეც და პირობადებული შემძენიც განიხილებიან კრედიტორებად და უფლებამოსილი არიან ანაზღაურება მოითხოვონ ზიანის

⁶⁹ *რუსიამშვილისირდაძე/ვენატაშვილი*, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 161.

⁷⁰ *თოთლაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი II, ტანტურია (რედ.), თბილისი 2018, მუხ. 172, 81.

⁷¹ *ვოლფი/ველენჰოფერი*, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 268.

⁷² *Faber/Lurger*, Rules for the Transfer of Movables: A Candidate for European Harmonisation or National Reforms, 2007, 209.

⁷³ *ვოლფი/ველენჰოფერი*, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 269.

⁷⁴ *Faber/Lurger*, National Reports on the Transfer of Movables in Europe Volume 3: Germany, Greece, Lithuania, Hungary, 2011, 281.

მიყენების მომენტში მყიდველის მიერ გადახდილი საფასურის პროპორციულად. თუმცა აღნიშნული გადაწყვეტა ზიანის მიმყენებლისთვის არ არის მოხერხებული, რადგან მას ავალდებულებს თავად დაადგინოს ორივე კრედიტორის წილი.

მესამე მოსაზრების თანახმად, მესაკუთრე და პირობადებული შემძენიც განიხილებიან თანაკრედიტორებად, რომლის ფარგლებშიც ზიანის მიმყენებელი ვალდებულია ორივეს მიმართ ანაზღაუროს ზიანი. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს მეოთხე მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მხოლოდ პირობადებული შემძენი, რადგან ზიანი სწორედ მას ადგება, რადგან ველარ ახორციელებს ნივთზე სარგებლობას. ხოლო, პირობადებული საკუთრების ფარგლებში ნივთის მესაკუთრეს ზიანი მხოლოდ მაშინ ადგება, როდესაც მყიდველი ნაკისრი თანხის გადახდის ვალდებულებას არ ასრულებს.⁷⁵ ნივთის დაზიანების მიუხედავად, მყიდველის ვალდებულება გამყიდველისთვის საფასურის გადახდის ნაწილში ძალაშია. შესაბამისად, მას უწევს იმ ობიექტზე საკუთრების მოპოვება, რომელიც დაზიანებულია ან უარეს შემთხვევაში განადგურებულია სხვა პირის ქმედების შედეგად. აღნიშნული პოზიციის მართებულებას განამტკიცებს ისიც, რომ პირობადებული შემძენი პირდაპირ მფლობელობას ახორციელებს ნივთზე და მოვალის წინაშე აღიქმება, როგორც ზიანის ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილ პირად, შესაბამისად, მას უნდა ჰქონდეს დელიქტური სამართლის დაცვითი გარანტიებით სარგებლობის უფლება.⁷⁶ ამდენად, ნივთის დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირად მიჩნეულ უნდა იქნეს პირობადებული შემძენი.⁷⁷

მოლოდინის უფლების განხილვისას რელევანტურია, განისაზღვროს მისი მოქმედების ფარგლებიც. აღსანიშნავია, პირობადებული მესაკუთრის მოლოდინის უფლება არსებობს დათქმული პირობის დადგომამდე და შემძენს ანიჭებს დაცვით გარანტიებს, როგორც მესაკუთრის, ისე მესამე პირთა წინაშე.⁷⁸ მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის შედეგად მოლოდინის უფლება გადაიზრდება სრულ საკუთრებაში.⁷⁹ აღნიშნულის საპირისპიროდ, თუ შემძენი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რაც გულისხმობს დათქმული პირობის შეუსრულებლობას, მყიდველს უფლება აქვს ნივთის უკან დაბრუნების, რითაც მოლოდინის უფლებაც გაუქმდება.⁸⁰

V. მოლოდინის უფლების განკარგვის სამართლებრივი შედეგები

საკითხავია, მოლოდინის უფლება არის თუ არა ბრუნვაუნარიანი და შესაბამისად, შემძენ მხარეს (პირობადებულ მესაკუთრეს) აქვს თუ არა მისი განკარგვის შესაძლებლობა. ვინაიდან მოლოდინის უფლება განეკუთვნება სანივთო უფლებათა რიცხვს, რომლებიც გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ექვემდებარებიან განკარგვას, პირობადებულ მესაკუთრესაც, რომელსაც ეკუთვნის მოლოდინის უფლება, აქვს მისი განკარგვის შესაძლებლობა.⁸¹ აღსანიშნავია, რომ მოლოდინის უფლების გადაცემა და კეთილსინდისიერად მოპოვება ხდება იმავე წესების შესაბამისად, როგორც სრული საკუთრების შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ მოლოდინის უფლება საკუთრებასთან მიმართებით „არასრულ საკუთრებად“ მოიხსენიება –

⁷⁵ *ვოლფი/ველენჰოფერი*, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 269.

⁷⁶ *Bar*, Non-contractual Liability Arising Out of Damage Caused to Another, 2009, 499.

⁷⁷ *Faber/Lurger*, National Reports on the Transfer of Movables in Europe Volume 3: Germany, Greece, Lithuania, Hungary, 2011, 281.

⁷⁸ *Faber/Lurger*, Principles of European Law Acquisition and Loss of Ownership of Goods, 2011, 884.

⁷⁹ *Kieninge*, Security Rights in Movable Property in European Private Law, Cambridge 2004, 529.

⁸⁰ *Cork/Weiss*, European Insolvency Practitioners' Handbook The AEPPC Compendium of Insolvency Law and Practice, 1984, 142.

⁸¹ *Sigman/Kieninge*, Cross-Border Security over Tangibles, 2007, 199; *Stanescu C.*, Self-Help, Private Debt Collection and the Concomitant Risks: A Comparative Law Analysis, 2015, 38.

უფლება, რომლის სრულ საკუთრებაში გადაზრდასაც ერთი წინაპირობა აკლია.⁸² შესაბამისად, მოლოდინის უფლების გადაცემისას გამოიყენება საკუთრების უფლების შექმნის მიმართ მოქმედი ნორმები.⁸³

ამდენად, მოლოდინის უფლების გადაცემისათვის, ისევე, როგორც საკუთრების გადაცემისათვის, აუცილებელია მფლობელობის გადაცემა ნივთზე სსკ-ის 186 II მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც პირობადებული მესაკუთრე მოახდენს მოლოდინის უფლების განკარგვას, ახალი შემძენი დაიკავებს პირობადებული მესაკუთრის მდგომარეობას და საფასურის სრულად გადახდის შედეგად მოიპოვებს საკუთრების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ პირობადებულ მესაკუთრეს, პირობის შესრულებამდე, არ აქვს ნივთის გასხვისების უფლებამოსილება, გასხვისების რისკი, მოძრავი ნივთების შემთხვევაში, მაინც არსებობს, რადგან მოძრავი ნივთების მიმართ არსებული მესაკუთრის პრეზუმფციით შესაძლებელია ისარგებლოს პირობადებულმა მესაკუთრემ და მესამე პირთან დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, თუ შემძენი იქნება კეთილსინდისიერი ის მოიპოვებს ნივთზე საკუთრების უფლებას,⁸⁴ თუმცა იმ პირობებში, როდესაც შემძენმა იცის პირობადებული საკუთრების შესახებ და მიუხედავად ამისა, მაინც სურს ნივთის შექმნა, მასზე საკუთრება გადავა პირობადებული სახით. უნდა აღინიშნოს, რომ მოლოდინის უფლების განკარგვა არ გულისხმობს საკუთრების გადაცემას და მის ფარგლებში ხდება მხოლოდ მოლოდინის უფლების გადასვლა შემძენზე,⁸⁵ რომლის მიერაც პირობის შესრულების შემთხვევაში მოლოდინის უფლება გადაიზრდება სრულ საკუთრებაში.⁸⁶

გათვალისწინებით იმისა, რომ მოლოდინის უფლება, საკუთრების უფლების მსგავსად, ექვემდებარება განკარგვას, შესაძლებელია იგი გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის ობიექტადაც.⁸⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით, რელევანტურია განხილულ იქნეს შემთხვევა, როდესაც პირობადებული მესაკუთრე მოლოდინის უფლებას იყენებს უზრუნველყოფის საშუალებად, ისე რომ უზრუნველყოფის მიმღებისთვის არ არის ცნობილი საკუთრების პირობადებულობის შესახებ და განიხილავს, როგორც აბსოლუტურ საკუთრებად.

ზემოგანხილულ შემთხვევაში სახეზეა სრული საკუთრების ჩაშლა, თუმცა, დასადგენია, სრული საკუთრების გადაცემის ჩაშლა უნდა განიშარტოს, როგორც მოლოდინის უფლების გადაცემა, თუ მოხდეს ამ გარიგებად მისი კონვერსია სსკ-ის მე-60 მუხლის შესაბამისად. აღნიშნულის სასარგებლოდ მეტყველებს ის მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის მიმღებს, როგორც წესი, აქვს ინტერესი, ის „ნაკლები“ უზრუნველყოფა მაინც მიიღოს, რომელსაც სთავაზობს მას უზრუნველყოფი პირი, თუ მეტის მიღება შეუძლებელია. უზრუნველყოფი პირს ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ეკრძალება საწინააღმდეგო ნებაზე მითითება – თუ ის მზად იყო, გადაეცა სრული საკუთრება, ასევე მზად უნდა იყოს, გადასცეს „არასრული“. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ხერხს აირჩევს კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის შემფარდებელი (განმარტება თუ კონვერსია), ცალსახადაა აღიარებული, რომ ჩაშლილი საკუთრების გადაცემის შემთხვევაში მოლოდინის უფლების გადაცემა ითვლება ნასურვებად.⁸⁸

მოლოდინის უფლების განკარგვის დროს, გამომდინარე იქიდან, რომ მოლოდინის უფლებისა

⁸² რუსიაშვილი/სირდაძე/ევგენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 161.

⁸³ Cork/Weiss, European Insolvency Practitioners' Handbook The AEPCC Compendium of Insolvency Law and Practice, 1984, 142.

⁸⁴ Faber/Lurger, National Reports on the Transfer of Movable in Europe Volume 1: Austria, Estonia, Italy, Slovenia, 2008, 176; Cork k/Weiss G., European Insolvency Practitioners' Handbook The AEPCC Compendium of Insolvency Law and Practice, 1984, 142.

⁸⁵ Sigman/Kieninge, Cross-Border Security over Tangibles, 2007, 82.

⁸⁶ Kieninge, Security Rights in Movable Property in European Private Law, Cambridge 2004, 489.

⁸⁷ Faber/Lurger, Rules for the Transfer of Movable: A Candidate for European Harmonisation or National Reforms, 2007, 209.

⁸⁸ რუსიაშვილი/სირდაძე/ევგენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 173.

და საკუთრების გადაცემისთვის აუცილებელია მფლობელობის გადაცემა, მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვროს პირობადებული მესაკუთრე ნივთის მესამე პირზე გადაცემით ახორციელებს მოლოდინის უფლების თუ ნივთზე საკუთრების უფლების გასხვისებას, რაც უნდა დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად. პირობადებული მესაკუთრის მიერ განკარგული მოლოდინის უფლების შემძენი საკუთრებას მოიპოვებს იმავე წესების მიხედვით, როგორც პირობადებული მესაკუთრე, რაც გულისხმობს, რომ მოლოდინის უფლების (მეორე) ახალ შემძენზე პირობის შესრულება განაპირობებს საკუთრების მოპოვებას.⁸⁹

გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მოლოდინის უფლების საკუთრებაში გადასაზრდელად მნიშვნელობა არ აქვს, ვის მიერ უნდა მოხდეს ნასყიდობის საფასურის გადახდა პირობადებული მესაკუთრისგან, რომელიც ვალდებულია გამყიდველის წინაშე, თუ (მეორე) ახალი შემძენისგან, როგორც მესამე პირისგან.⁹⁰ საინტერესოა, თუ როგორ უნდა მონესრიგდეს შემთხვევა, როდესაც თავდაპირველი მესაკუთრე უარს აცხადებს მესამე პირისგან (ახალი შემძენისგან) ნასყიდობის საფასურის მიღებაზე. აღსანიშნავია, რომ პირობადებული საკუთრების ფარგლებში, ისევე როგორც სხვა გარიგების დროს, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.⁹¹

სსკ-ის 98 I მუხლი პირობას დამდგარად მიიჩნევს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად აბრკოლებს მხარე. მართალია, სწორედ აღნიშნულ გარემოებას აქვს ადგილი გამყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის მიუღებლობისას, თუმცა მითითებული ნორმის ობიექტური შემადგენლობა მაშინ იარსებებს, როდესაც გამყიდველი ვალდე-

ბული იქნებოდა მიელო მესამე პირისგან შესრულება და უარს აცხადებს მის მიღებაზე. მოცემულ საკითხთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს სსკ-ის 371-ე მუხლი, რომლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ თუ მოვალე წინააღმდეგი არ არის მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებაზე, კრედიტორმა უნდა მიიღოს მესამე პირის შესრულება. ამდენად, გასათვალისწინებელია პირობადებული მესაკუთრის პოზიცია, თუ მას აქვს ინტერესი, რომ უშუალოდ შეასრულოს ვალდებულება გამყიდველის წინაშე, საკუთრების მოპოვება მოხდება მის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირობადებული მესაკუთრე აჭიანურებს ვალდებულების შესრულებას, ვადის დადგომის მიუხედავად არ იხდის ნასყიდობის საფასურს და ასევე წინააღმდეგია მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებაზე, აღნიშნულ უარს არ უნდა მიენიჭოს იურიდიული ძალა, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ვადამოსულობასთან (მისი დაფარვის დაყოვნებასთან ერთად) მოვალის უარი აღარ არის ყურადსაღები, შესაბამისად, ის აღარ იმსახურებს დაცვას.⁹²

სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, მყიდველის კუთვნილი მოლოდინის უფლება შეიძლება, თავის მხრივ, მესამე პირს გადაეცეს ასევე პირობის დათქმით, რაც გულისხმობს მოლოდინის უფლების მოპოვებას ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის გადადების პირობით.⁹³ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ორმაგი მოლოდინის უფლების არსებობა: პირველი მოლოდინის უფლება - საკუთრების უფლების მიღებაზე და მეორე - პირობადებული მესაკუთრის კუთვნილი მოლოდინის უფლების მიღებაზე.⁹⁴

⁸⁹ *Sigman/Kieninger, Cross-Border Security over Tangibles, 2007, 83.*

⁹⁰ *ვოლფი/ველენჰოფერი, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 275.*

⁹¹ *Bar/Swann, Principles of European law: Unjustified enrichment, 2010, 235; Sigman/Kieninger, Cross-Border Security over Tangibles, 2007, 86.*

⁹² *რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 175.*

⁹³ *Cork/Weiss, European Insolvency Practitioners' Handbook The AEPPC Compendium of Insolvency Law and Practice, 1984, 142.*

⁹⁴ *ვოლფი/ველენჰოფერი, სანივთო სამართალი, თბილისი 2016, 269.*

VI. მოლოდინის უფლებით დატვირთული ნივთის მესაკუთრის მიერ გასხვისება

მოლოდინის უფლება სხვა სანივთო უფლებების მსგავსად, აქცესორული ხასიათის მქონე და ბრუნვაუნარიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც ნივთზე პირობადებული საკუთრება არის შეთანხმებული ის წარმოადგენს უფლებრივ ტვირთს და ნივთის განკარგვისას თან გადაჰყვება. თუმცა ზუსტად ისევე, როგორც შესაძლებელია არაუფლებამოსილი პირისაგან საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვება, ასევე შესაძლებელია სანივთო უფლებით დატვირთულ ნივთზე დაუტვირთავი საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვება. გათვალისწინებით იმისა, რომ მოლოდინის უფლებასთან მიმართებით სსკ სპეციალურ დანაწესს არ შეიცავს, ანალოგიის სახით, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს სსკ-ის 187-ე მუხლი.⁹⁵

მოცემულ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე, შემძენის კეთილსინდისიერებაზე, რომელიც უნდა დადგინდეს სსკ-ის 187-ე მუხლის მიხედვით. როდესაც შემძენმა იცის პირობადებული საკუთრების შესახებ და იძენს ნივთს მასზე გადადის მოლოდინის უფლებით დატვირთული საკუთრება, ხოლო, როდესაც მისთვის უცნობია და არც შეიძლება სცოდნოდა აღნიშნულის თაობაზე, ის არის კეთილსინდისიერი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოძრავ ნივთზე უფლების (ამ შემთხვევაში დაუტვირთავი საკუთრების) კეთილსინდისიერად მოპოვებისათვის 187 I 3 მუხლის მიხედვით აუცილებელია ნივთის გადაცემა, რის ქვეშაც იგულისხმება შემძენისათვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში ჩაბარება.⁹⁶

იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენს ნივთი არაპირდაპირ მფლობელობაში აქვს გადაცემული და დადგინდება, რომ განმკარგავი იყო არაუფლებამოსილი პირი, 186 II, ვარ. 2 მუხლის მიხედვით გასხვისებისას გაუმართლებელია, რომ

მესაკუთრის (საკუთრების) შენარჩუნების ინტერესმა უკან დაიხიოს შემძენის საკუთრების (კეთილსინდისიერად) მოპოვების ინტერესთან მიმართებით.⁹⁷ ამდენად, მოძრავ ნივთზე საკუთრების კეთილსინდისიერად მოსაპოვებლად, აუცილებელია პირდაპირ მფლობელობაში მისი გადაცემა.

პირობადებული საკუთრებაზე შეთანხმების დროს, როგორც წესი, ნივთი პირდაპირ მფლობელობაში პირობადებულ მყიდველს აქვს გადაცემული, შესაბამისად მესამე პირს ნივთი ვერ გადაეცემა პირდაპირ მფლობელობაში მყიდველის ნების გარეშე. პირობადებული საკუთრების არარსებობასთან დაკავშირებით, მიუხედავად მესამე პირის კეთილსინდისიერებისა, სახეზე არ არის სსკ-ის 187 I 3 მუხლის წინაპირობა, რაც გულისხმობს მის პირდაპირ მფლობელობაში ჩაბარებას. პირდაპირ მფლობელობაში ჩაბარების გარეშე კი შემძენი ვერ გახდება კეთილსინდისიერი შემძენი. ამდენად, ასეთ დროს მოლოდინის უფლება არ გაქარწყლდება და მესამე პირი ვერ მოიპოვებს საკუთრებას დაუტვირთავი სახით.

გამომდინარე იქიდან, რომ პირობადებული საკუთრება თავისი არსითა და კონსტრუქციით წარმოადგენს პირობით გარიგებას,⁹⁸ მასზე გავრცელდება პირობითი გარიგების მომწესრიგებელი ნორმები. სსკ-ის 95-ე I მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს პირობის დადგომაზე ზემოქმედებას, კერძოდ, პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არ აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრის მიერ ხდება პირობადებული საკუთრებით გადაცემული ნივთის მესამე პირზე განკარგვა, სწორედ, რომ აშკარაა, პირობის დადგომასთან მიმართებით, ხელის შემშლელი ქმედება, რადგან აღნიშნული ხელს უშლის პირობის შესრულების

⁹⁵ *რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი*, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 208.

⁹⁶ *რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი*, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 208.

⁹⁷ *Westermann/Eickmann/Gursky*, *Sachenrecht*, 8. Aufl., Heidelberg 2011, § 48 vor I; *Baur/Stürmer*, *Sachenrecht*,

18. Aufl, München 2009, § 52 Rn. 19. ციგ: *რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი*, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 158.

⁹⁸ *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), თბილისი 2017, მუხ. 90, ველი 10, 531.

შემთხვევაშიც პირობადებულ მყიდველზე საკუთრების გადასვლას.

აღსანიშნავია, რომ ხელის შემშლელი ქმედებისთვის სანქციას ითვალისწინებს სსკ-ის 95 II მუხლი, რომლის მიხედვითაც, ასეთი ქმედება იწვევს არა გარიგების ბათილობას, არამედ პირს აკისრებს დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. კანონმდებლის მიერ საკითხის მსგავსი გადაწყვეტა არ შეესაბამება პირობადებული საკუთრების მიზნებს, რადგან მოლოდინის უფლებას საკმაოდ დაუცველ სამართლებრივ პოზიციად აქცევს და ეჭვქვეშ აყენებს ამ სანივთო უფლების აბსოლუტურ ხასიათს.⁹⁹ აღნიშნული საკითხი განსხვავებულად არის მოწესრიგებული გსკ-ის 161 I პარაგრაფით, რომლის მიხედვითაც, ასეთი განკარგვა იურიდიული ძალის არმქონედ არის მიიჩნეული. საყურადღებოა, რომ მოცემული ნორმის მიზანს წარმოადგენს მოლოდინის უფლების მიმღები პირის შუალედური განკარგვებისგან დაცვა.¹⁰⁰ ამრიგად, აღნიშნული სადავო საკითხის ქართული მოწესრიგება პირობადებული საკუთრების პერიოდში განხორციელებულ განკარგვას ნამდვილად მიიჩნევს და მსგავს ქმედებას სანქცირებადს ხდის მხოლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, განკარგვის ბათილობის გარეშე.

მართალია, პირობადებული საკუთრების ფარგლებში გამყიდველს ეზღუდება მისი განკარგვის შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირთა წინაშე მესაკუთრის მიერ საკუთრების განკარგვის შეზღუდვას არ აქვს იურიდიული ძალა, თუმცა, ამისდა მიუხედავად, აღნიშნული ავითარებს უშუალოდ მის შემათანხმებელ მხარეებს შორის ვალდებულებით ეფექტს – მხარე, რომელიც ამ აკრძალვის დარღვევით განკარგავს ნივთს, ანაზღაურებს ზიანს. ასევე შესაძლებელია მისთვის მოქმედების განუხორციელებლობის ვალდებულების დაკისრებაც.¹⁰¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, მესამე პირთა წინაშე, რომელთაც არ იციან და არც შე-

იძლება სცოდნოდათ პირობადებულობის დათქმის შესახებ, მსგავსი შეზღუდვა არ არის სამართლებრივი ძალის მქონე.

ამდენად, პირობადებული საკუთრების დროს გამყიდველის მიერ ნივთის განკარგვის შემთხვევაში, მართალია, ქართველი კანონმდებელი არ მიიჩნევს აღნიშნულ განკარგვას ბათილად და მხოლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრებით შემოიფარგლება, თუმცა მყიდველს მაინც აქვს დაცვითი გარანტიები, კერძოდ, თუ ნივთი მას აქვს პირდაპირ მფლობელობაში გადაცემული, განკარგვა ვერცერთ შემთხვევაში ვერ განაპირობებს მოლოდინის უფლების გაქარწყლებას და მიუხედავად მესაკუთრის ცვლილებისა, პირობადებული მყიდველის მიერ პირობის შესრულებით მოლოდინის უფლება გადაიზრდება სრულ საკუთრებაში.

VII. დასკვნა

როგორც წინამდებარე სტატიაში განხილულმა საკითხებმა ცხადყო, პირობადებული საკუთრება წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრების გადასვლის ზოგადი წესიდან საგამონაკლისო შემთხვევას, არამედ თავისი კონსტრუქციისა და არსის გათვალისწინებით, განეკუთნება მოთხოვნის უზრუნველყოფის მეტად ეფექტურ და მოქნილ საშუალებას. პირობადებული საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, სიმარტივე გამოიხატება იმით, რომ პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმებისას, პირობის დადგომის შემთხვევაში საკუთრების უფლება *ex nunc*-ძალით, მხარეთაგან ყოველგვარი დამატებითი ქმედების გარეშე, ავტომატურად შემძენზე გადადის.

პირობადებული საკუთრების კონსტრუქციის განხილვითა და ანალიზით წარმოჩინდა, რომ სანივთო გარიგების აღიარების გარეშე პირობადებული საკუთრების კონსტრუირება შეუძლებელია, რადგან პირობა ვერ დაედება ვალდებულებით გარიგებას, რომლის ფარგლებშიც ხდე-

⁹⁹ რუსიაშვილი/სირდაძე/ევგენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 207.

¹⁰⁰ კროპოლერი, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თბილისი 2014, § 929, 703.

¹⁰¹ Armbrüster, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 137 Rn. 4. ციტი: რუსიაშვილი/სირდაძე/ევგენატაშვილი, სანივთო სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 205.

ბა ნივთის გადაცემა. გარიგების ობიექტის გადაცემა არსობრივად წარმოადგენს ფაქტობრივ ხდომილებას. ამდენად, შეუძლებელია, რომ ის შესრულდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში და ძალაში შევიდეს შემდგომ. გარდა ამისა, რომც განვიხილოთ პირობადებულად ვალდებულებითი გარიგება, შეიქმნება ისეთი მოცემულობა, რომ გარიგება პირობის დადგომამდე ვერ შევა ძალაში და შესაბამისად, არც პირობადებული საკუთრების მხარეებს არ წარმოეშვებათ ერთმანეთის მიმართ არსებული საპირისპირო შესრულებების მოთხოვნის უფლებები.

ამასთან, პირობადებული საკუთრების დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ გაბატონებული მოსაზრება, რომელიც გამორიცხავს პირობადებული საკუთრების მოძრავ ნივთებზე გავრცელების შესაძლებლობას, არ უნდა იქნეს გაზიარებული. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ ქართულ კერძო სამართალში განსხვავებით გერმანულისგან, არ არსებობს საკანონმდებლო დათქმა, რომელიც კრძალავს უძრავი ნივთების მიმართ უზრუნველყოფის აღნიშნული საშუალების გამოყენებას. ამდენად, კერძო ავტონომიის პრინციპის ფარგლებში შესაძლებელია უძრავი ნივთების მიმართ პირობადებული საკუთრების გამოყენება. გასათვალისწინებელია აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ გავითარებული პრაქტიკაც, კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეთა შეთანხმების შედეგად, უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემისას ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე მყიდველი საჯარო რეესტრში რეგისტრირდება „მომავალ მესაკუთრედ“, აღნიშნული გარიგება, შინაასრობრივი თვალსაზრისით, სწორედაც რომ პირობადებულ საკუთრებაზე შეთანხმებას წარმოადგენს, რადგან სახეზეა პირობადებული საკუთრების კონსტრუქცია, კერძოდ, ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდამდე გამყიდველი ინარჩუნებს საკუთრების უფლებას ნივთზე. განსახილველ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის სიმწირის მიუხედავად, მოიძებნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც, რომლითაც სასამართლომ განმარტა, რომ პირობადებული საკუთრების გამოყენება უძრავი ნივთების მიმართაც არის შესაძლებელი.

პირობადებული საკუთრების საფუძველზე წარმოიშვება მოლოდინის უფლება, რომელიც პირობადებულ მესაკუთრეს ანიჭებს დაცვით გარანტიებს. უნდა აღინიშნოს, რომ მოლოდინის უფლებას, სხვა სანივთო უფლებების მსგავსად აქცესორული ხასიათი გააჩნია და ასევე ბრუნვაუნარიანია, რაც გულისხმობს მისი განკარგვის შესაძლებლობას. პირობადებული საკუთრების ფარგლებში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მყიდველს ფასის გადახდამდე ეზღუდება ნივთზე საკუთრების უფლების განკარგვა, თუმცა აღნიშნულისგან განსხვავებით, მოლოდინის უფლება არის მყიდველის მიერ მოპოვებული უფლება, რომლის განკარგვაშიც არ არის შეზღუდული. წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში გამოიკვეთა პრობლემატიკა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ხშირად ერთმანეთისგან არ ხდება ამ ორი უფლების, მოლოდინის უფლებისა და ნივთზე საკუთრების უფლების, გამიჯვნა, მაშინ როდესაც მათ განკარგვას განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებამდე მიყვავართ. ამდენად, აუცილებელია, ერთმანეთისგან მოხდეს მათი გამიჯვნა, რათა პირობადებული საკუთრებისგან ნაწარმოებ მოლოდინის უფლების რეალიზებას დაბრკოლება არ შეექმნას და მისმა მონაწილე მხარეებმა შეძლონ ყველა იმ უფლებით სარგებლობა, რასაც სანივთო სამართლის აღნიშნული ინსტიტუტი სთავაზობს.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ მოლოდინის უფლებას აქვს სანივთოსამართლებრივი ბუნება და მას „ერთი საფეხური“ ამორებს აბსოლუტურ საკუთრების უფლებად გარდაქმნამდე. შესაბამისად, მოლოდინის უფლების მინიჭებისას წარმოშობილი სამართლებრივი მდგომარეობა განიხილება როგორც “საკუთრების წინარე საფეხურად” და აღნიშნულის გათვალისწინებით, მოლოდინის უფლება წარმოადგენს დაცვის ღირს სამართლებრივ სიკეთეს.

ამრიგად, თანამედროვე სამყაროში გარიგებათა სიმრავლისა და შესაბამისად ვალდებულებათა შეუსრულებლობის გაზრდილი რისკების პირობებში, ამასთან, გათვალისწინებით იმისა, არის შემთხვევები, როდესაც ვერ ხერხდება ერთმანეთის თანადროულად ნასყიდობის საფასუ-

რის გადახდა და საკუთრების გადაცემა, პირობადებული საკუთრების გამოყენება და მისგან გამომდინარე არსებული მოლოდინის უფლების სამართლებრივი ბუნება, მეტად გაამარტივებს

გარიგებების დადებას, დააზღვევს ასეთი შემთხვევებისთვის დამახასიათებელ პოტენციურ რისკებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივესა და ეკონომიკის განვითარებას.

დანაშაულის საგანი ქურდობისას

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

1. შესავალი

ვინაიდან კანონმდებელი ქურდობის შემადგენლობაში უთითებს დანაშაულის საგანზე, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანზე, ქმედების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ რა მოიაზრება აღნიშნული ნიშნის ქვეშ. ქურდობის დროს დანაშაულის საგანია სხვისი მოძრავი ნივთი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა იგულისხმება ტერმინებში: „სხვისი“, „მოძრავი“, „ნივთი“, მასში მოიაზრება მხოლოდ მატერიალური ღირებულების მქონე თუ ასეთი ღირებულების არმქონე ნივთებიც, შეიძლება თუ არა ნივთში ვიგულისხმოთ ადამიანის სხეულის განცალკევებადი ნაწილები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ მატერიალური ღირებულება, ნივთის დაუფლება გულისხმობს მხოლოდ საგნის სხეულებრივ დაუფლებას თუ მასში განსხეულებული ღირებულებით სარგებლობასაც? წინამდებარე წერილში ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს აღნიშნულ შეკითხვებს.

2. სხვისი მოძრავი ნივთი, როგორც ქურდობის საგანი

ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ნივთის ზოგად დეფინიციას. თუმცა, იურიდიულ

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით და გერმანული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ნივთის ქვეშ მოიაზრება სხეულებრივი საგნები¹. ნივთი შეიძლება არსებობდეს როგორც მყარი, ისე არამყარი სახით².

ქურდობის საგანი შეიძლება იყოს ის ნივთები, რომლებიც თავისუფალ ბრუნვაშია. ქურდობის საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს აკრძალული ნივთები, როგორცაა იარაღი, ნარკოტიკული საშუალება და სხვა. დასახელებული ნივთის არამართლზომიერ დაუფლებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური შემადგენლობებია მოცემული (237-ე და 264-ე მუხ.). სხვისი პირადობის მონიშვნის ან სხვა დოკუმენტის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების დროს ქმედება 363-ე მუხლით დაკვალიფიცირდება.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მოსაზრება და კამათის საგანს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, როცა იმას, ვინც ნარკოტიკული საშუალება მისი მწარმოებლისგან შეიძინა, ნარკოტიკულ საშუალებას მოპარავს მესამე პირი. ავტორი

¹ Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch, 4. Auflage, 2021, §13 Rn. 32; Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage,

2021, S. 43, §2 Rn. 11.

² ზოდებ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2003, გვ 26.

რთა უმცირესობის თვალსაზრისით ნარკოტიკული საშუალება არ მიიჩნევა საკუთრებაუნარიანად. შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე არ არის სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვა. გერმანიის მართლმსაჯულება კი სხვა მოსაზრებას ავითარებს, რომლის თანახმადაც, ნარკოტიკების მწარმოებელი ფორმალურად მესაკუთრეა, რის გამოც მისი საკუთრების უფლების დარღვევა შესაძლებელია. თუმცა, ე. შრამი აღნიშნავს, რომ თუ ქურდობის მუხლით დაცულად მივიჩნევთ მპყრობელობას, მაშინ დაზარალებული არა ნარკოტიკული საშუალების მწარმოებელი, როგორც მესაკუთრე, არამედ ნარკოტიკული საშუალების მფლობელი, რომელიც ბოროტმოქმედის დაუფლებითი ქმედების შედეგად დაზარალდა³. მიუხედავად იმისა, ვალიარებთ თუ არა ნარკოტიკულ საშუალებას საკუთრებაუნარიან ნივთად, ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებაზე სსკ-ში დამოუკიდებელი შემადგენლობა არსებობს და ქმედების კვალიფიკაციის დროს მას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ის რომ მისაკუთრებას ადგილი შეიძლება ჰქონდეს ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით, გამომდინარეობს 264-ე მუხლის როგორც სახელწოდებიდან, ისე დისპოზიციიდანაც.

ვინაიდან ცხოველს მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა ჯერ კიდევ ნივთებთან ათანაბრებს⁴, ცხოველიც განიხილება (გერმანული სამართლის მიხედვით არა ნივთად, მაგრამ მაინც) ქურდობის საგნად. თუმცა, აქ საუბარია სხვის საკუთრებაში არსებულ და არა გარეულ ცხოველზე, ვინაიდან გარეულ ცხოველს არ ყავს მესა-

კუთრე და ვერ იქნება მიჩნეული ქურდობის საგნად⁵. ქურდობის საგანს ასევე არ წარმოადგენს თევზები, რომლებიც მდინარეში დაცურავენ⁶. იგი შეიძლება წარმოადგენდეს გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საგანს (უკანონო თევჭერა, 300-ე მუხ.). თუმცა, თევზები ქურდობის საგნად შეიძლება განვიხილოთ, თუ საქმე ეხება თევზების დაუფლებას კერძო საკუთრებაში არსებული აუზიდან. იგივენაირად გადანყდება საკითხი იმ გარეულ ცხოველებთან მიმართებითაც, რომლებიც ზოოპარკში არიან მოთავსებული. მოთვინიერებული ცხოველი არ ითვლება უპატრონო ცხოველად⁷.

შეიძლება თუ არა ქურდობის საგანი იყოს ისეთი ნივთი, რომელიც არის ღირებულების არმქონე? მაგალითად, გერმანულ სისხლის სამართალში ქურდობის საგნად ისეთი ნივთიც მიიჩნევა, რომელსაც ღირებულება არ გააჩნია და ამით ასაბუთებენ იმას, რომ ქურდობა არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და არა ქონებრივი დანაშაული⁸.

მიუხედავად იმისა, რომ ქურდობა ქართული სისხლის სამართალითაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად მიიჩნევა, ღირებულების არმქონე საგნის დაუფლება არ ისჯება ქურდობის სახით⁹, რაზეც მეტყველებს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, დანაშაულის ნიშნების ფორმალურად არსებობის მიუხედავად, თუ ქმედება არ იწვევს ისეთ ზიანს ან არ ქმნის ისეთ საფრთხეს, რაც მოქმედი პირისთვის აუცილებ-

³ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 45, §2 Rn. 17.

⁴ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 143; ზარანდია თ., საწივთო სამართალი, მესამე გამოცემა, თბ., 2023, გვ. 88-89.

⁵ Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 7; Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 8-9, §2 Rn. 4, 6.

⁶ Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 6.

⁷ Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67.

Auflage, 2020, §242 Rn. 6.

⁸ Heinrich B., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch, 4. Auflage, 2021, S. 324, §13 Rn. 32.

⁹ გერმანიაში მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, რომ მცირე ღირებულების მქონე საგნის ქურდობისთვის დაწესდეს არასისხლისსამართლებრივი ღონისძიება, თუმცა აღნიშნულ დისკუსიას შედეგი არ მოჰყოლია და საკითხი დღემდე რჩება კამათის საგნად. Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 40-41, §2 Rn. 2.

ბელს ხდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. თუმცა, დაუფლებული ნივთის მცირე მნიშვნელობის დროს გამოირიცხება არა ქურდობის ძირითადი შემადგენლობა, არამედ მართლწინააღმდეგობა მატერიალური გაგებით.

ქმედების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კვალიფიკაციასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან: მამუჩაშვილმა მისთვის უცნობი პირის ავტომანქანის ფანჯარაში გადაყო ხელი და აიღო სიგარეტის კოლოფი, რომელიც ერთი ღერის ამოღების შემდეგ ისევ უკან უნდა დაებრუნებინა, თუმცა მისი ქმედება შემჩნეულ იქნა დაზარალებულის მიერ, რომელმაც დახმარებისთვის მიმართა იქვე მყოფ პოლიციელებს, მათ კი შეაწყვეტინეს მამუჩაშვილს აღნიშნული მოქმედება და სიგარეტის კოლოფი დაუბრუნეს დაზარალებულს. სასამართლომ მამუჩაშვილი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე¹⁰.

სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ქურდობასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლების შესახებ საყურადღებოა შემდეგი შემთხვევა: ჯანელიძემ უკანონოდ შეაღწია მალაზიაში, კერძოდ, ჩამატვრია მალაზიის შუშა, შეჰყო ხელი და დახლიდან აიღო 15 (თხუთმეტი) ლარად ღირებული ერთი ბოთლი არაყი. ჯანელიძემ არაყს იქვე მოხსნა თავი და სანახევროდ დალია, რა დროსაც იგი ადგილზე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა. ჯანელიძეს ჰქონდა შესაძლებლობა სხვა ნივთებსაც დაუფლებოდა, რისი განზრახვა მას თავიდანვე არ ამოძრავებდა¹¹. მოცემულ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლება შეიძლება უფრო საკამათო იყოს, ვიდრე წინა შემთხვევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის საკითხი, თუ როდის იწვევს ისეთ ზიანს ან საფრთხეს, რაც აუცილებელს ხდის მოქმედის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებას, შეფასების საკითხია, რაც მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს ცალკეულ გარემოებებზე დაყრდნობით. განსახილველ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებას საკამათოს ხდის ის, რომ ადგილი ჰქონდა მალაზიის შუშის ჩამატვრევას (სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება) და დაუფლებას სხვის მფლობელობაში უკანონო შეღწევით.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით ქურდობის საგნის შეფასებისას საკითხი მხოლოდ მატერიალურ ასპექტში არ უნდა გადაწყდეს. შეიძლება ნივთი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით ძალიან იაფი იყოს, მაგრამ მესაკუთრისთვის ძვირფასი იყოს, ვინაიდან ახლობელი ადამიანისგან მემკვიდრეობით ერგო. საკითხის შეფასებისას, როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს საკითხიც უნდა იქნას გათვალისწინებული. თუმცა, ავტორს დაუშვებლად მიაჩნია ნივთის მნიშვნელობა მთლიანად პირადი შეხედულებებით და ემოციებით განისაზღვროს. ავტორის მოსაზრებით შეფასებისას ობიექტური მესამე პირის სტანდარტი უნდა იქნას მხედველობაში მიღებული¹². ქურდობის საგნის შეფასებისას ნივთისადმი მესაკუთრის დამოკიდებულების გათვალისწინება მოქმედი სსკ-ის მიხედვით საკამათოდ შეიძლება იქნას მიჩნეული, ვინაიდან 177-ე მუხლის პენიშენა მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი ქურდობის და დიდი ოდენობით ქურდობის დეფინიციას ნაქურდალის ღირებულების გათვალისწინებით განსაზღვრავს. კანონმდებელს მხედველობაში აქვს ნივთის საბაზრო, ეკონომიკური ღირებულება. ქურდობის საგნის შეფასებისას მესაკუთრის დამოკიდებულების და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინება შესაძლებელი იყო სსკ-ის ადრინდელი რედაქციით, როდესაც დამამძიმებელ გარემოებებთან დაკავშირებით კანონმდებელი ნაქურდალის ეკონომიკურ ღირებულებაზე არ მიუთითებდა, რაც უფრო მართებული იყო. თუმცა ადრინდელი საკანონმდებლო

¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკიდან.

¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკიდან.

¹² ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი,

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, თბ., 2024, გვ. 23.

რეგულირება ნორმის არაერთგვაროვან განმარტებას არ გამოორიცხავდა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ქურდობის საგნისადმი მესაკუთრის დამოკიდებულება და მისი მატერიალური მდგომარეობა მაინც შეიძლება იქნას მხედველობაში მიღებული, მაგრამ არა ქმედების კვალიფიკაციის, არამედ სასჯელის დანიშვნის დროს.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა ხდება ფარულად დაუფლებული ნივთის ჩანაცვლება? მაგალითად, სხვისი სადგომიდან ცხოველის დაუფლება და შემდგომ იმავე სახის, მაგრამ სხვა ჯიშის ცხოველით ჩანაცვლება? ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ასეთ დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოორიცხოს ეკონომიკური თვალსაზრისით საკუთრების უფლების დარღვევის გამოორიცხვის გზით¹³. მოცემულ შემთხვევაში ქურდობის გამოორიცხვა საკამათოა იმდენად, რამდენადაც დარღვეულია საკუთრების წესრიგი და მესაკუთრის უფლება საკუთრებაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განსახილველი შემადგენლობა ასევე იცავს ნივთის ინდივიდუალობასაც. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება შევადაროთ ნივთის დაზიანების და შემდგომ დაზიანებული ნივთის სხვა ნივთით შეცვლის შემთხვევას. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებული ნივთის ჩანაცვლება მოხდა იმავე ლირებულების სხვა ნივთით, ნივთის დაზიანების შემადგენლობა მაინც განხორციელებულია.

ქურდობის საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტი, ვინაიდან ქურდობის მუხლი იცავს საკუთრებას ნივთთან მიმართებით. ინტელექტუალური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაზე სსკ-ში სპეციალური შემადგენლობა არსებობს (189-ე მუხ.). მაგრამ, აქვე უნდა ითქვას

იმის შესახებაც, რომ ეს არ ეხება მატერიალურად არსებულ საგნებს, როგორცაა მაგალითად, ნიგნი, მუსიკის დისკი.

როგორც უკვე აღინიშნა, ქურდობის საგანია მოძრავი ნივთი, რაზეც კანონმდებელი მიუთითებს და ასევე გამომდინარეობს ქურდობის ბუნებიდანაც. შეუძლებელია უძრავი ნივთის მოპარვა. მოძრავ ნივთში იგულისხმება ისეთი ნივთი, რომლის გადაადგილებაც შესაძლებელია, რომელიც გადაადგილების დროს არ კარგავს თავის დანიშნულებას, ფუნქციას¹⁴. ასეთია ა/მანქანა, ჩანთა, მაჯის საათი, მობილური ტელეფონი და ა. შ.

უძრავი ნივთი არ არის ქურდობის საგანი, მაგრამ ჩნდება კითხვა როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა პირი ეუფლება საგანს, რომელიც უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილი იყო. მაგალითად, როცა ხდება სახლის დაშლა და ნაწილების ფარულად დაუფლება იმ დროს, როცა მესაკუთრე ოჯახთან ერთად სხვა ქვეყანაში იმყოფებოდა? მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ქურდობა. საკმარისად მიიჩნევა ის, რომ უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი მოძრავ ნივთად იქცა და ბოროტმოქმედი მას დაეუფლა¹⁵. უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილის დაუფლებას ადგილი აქვს მაგალითად, სახლის კარების ან ფანჯრების ჩამოხსნის დროს¹⁶. თუ უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილის დაუფლება უკავშირდება უძრავი ქონების დაზიანებას, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირდება, როგორც ქურდობის, ისე ნივთის დაზიანების ან განადგურების მუხლით (187-ე მუხ.).

უძრავი ნივთის მოძრავად გადაქცევასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასევე სახელდება შემთხვევები, როცა ადგილი აქვს ხის მოხერხვას ან ცხვარს მიუშვებენ სხვის ნაკვეთზე, სადაც იგი ბალახს მოძოვს¹⁷. ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია

¹³ ხარანაული ლ., სსკ-ის 177-ე მუხლის კომენტარი, ნიგნი: დვალაძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 20, ველის ნომერი 83.

¹⁴ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2003, გვ. 33; ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მესამე გამოცემა, თბ., 2023, გვ. 87-88.

¹⁵ Fischer Th., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 9, §2 Rn. 5.

¹⁶ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 9, §2 Rn. 5.

¹⁷ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 44, §2 Rn. 14.

კერძო პირის საკუთრებაში არსებული ხე და ნაკვეთი და არა ისეთი, რომელსაც მესაკუთრე არ ჰყავს, სადაც ქმედება მატერიალური ღირებულების დანაკარგს არ იწვევს.

ქურდობის საგანი, როგორც ითქვა, სხვისი ნივთია, მაგრამ შეიძლება თუ არა სხვის ნივთად მივიჩნიოთ თანასაკუთრებაში არსებული ნივთი? თანასაკუთრებაში არსებული ნივთიც სხვის ნივთად მოიაზრება, შესაბამისად, წარმოადგენს ქურდობის საგანს¹⁸.

ფული ასევე მიიჩნევა საგნად¹⁹, შესაბამისად, შეიძლება წარმოადგენდეს ქურდობის ობიექტს. ერთ-ერთი შეხედულებით ქურდობის საგნად განიხილება ფული უნებართვოდ ბანკომატიდან ფულის აღების დროსაც²⁰. აღნიშნული შემთხვევა შეიძლება შევადაროთ სხვადასხვა მანიპულაციით აპარატში განთავსებული საგნის დაუფლებას, რომელიც გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ქურდობის ნაირსახეობად განიხილება.

ადამიანის გვამი ნივთად განიხილება, მაგრამ მას აკლია საკუთრებაუნარიანობა, როცა საქმე ეხება ცხედარს, რომელიც უნდა დაიკრძალოს. თუ დაკრძალვამდე მოხდა ცხედრის ან მისი ნაწილის გატაცება, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად²¹, სახეზე იქნება მიცვალებულისადმი უპატივცემულობა (258-ე მუხ.).

გერმანულ სამართალში ნივთად განიხილავენ გარდაცვლილი ადამიანის სხეულის ნაწილებსაც²², რომელსაც აქვს სხეულის ხელოვნური

ნაწილის თვისება და რომლის გამოყენება კომერციული დანიშნულებით შესაძლებელია. მაგალითად, ოქროს კბილი²³, რომელიც არის საკუთრებაუნარიანი და შესაბამისად, მემკვიდრეობით გადაცემადი²⁴.

თუ ექიმმა ოპერაციის დროს გარდაცვლილ ადამიანს გულის აპარატი ამოუღო იმისთვის, რომ მოგვიანებით იგი სხვისთვის მიეყიდა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ქმედება მითვისებად უნდა დაკვალიფიცირდეს, ხოლო თუ სხვა პაციენტს მიეყიდა როგორც ახალი აპარატი, სახეზე იქნება თაღლითობა²⁵. მოცემულ შემთხვევაში ქმედების მითვისებად კვალიფიკაცია ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით საკამათო იქნებოდა, ვინაიდან ექიმი რამდენად შეიძლება ჩაითვალოს იმ აპარატის მფლობელად, რომელიც ადამიანის სხეულში იყო დამონტაჟებული?

გარდაცვლილი ადამიანის გვამთან და მისი სხეულის განცალკევებად ნაწილებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მოსაზრება. ერთ-ერთი შეხედულებით, გვამს და მისგან განცალკევებად სხეულის ნაწილებს აქვთ ნივთის თვისება, მაგრამ აღნიშნული დისკუსია მიიჩნევა მხოლოდ აკადემიური მნიშვნელობის მქონედ, ვინაიდან მათ მიმართ განხორციელებული ქმედება, ეშრამის თვალსაზრისით, უნდა დაკვალიფიცირდეს არა ქურდობის მუხლით, არამედ მიცვალებულისადმი უპატივცემულობად²⁶. იგივე მოსაზრებას გამოთქვამს რ. რენგირიც, რომელიც

¹⁸ *Heinrich B.*, in: *Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch*, 4. Auflage, 2021, S. 327, §13 Rn. 35; *Fischer Th.*, *Strafgesetzbuch mit Nebengesetzen*, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 5b.

¹⁹ *Heinrich B.*, ebenda, S. 364, §13 Rn. 129.

²⁰ *Lackner/Kühl*, *Strafgesetzbuch, Kommentar*, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 5.

²¹ *Eisele J.*, *Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte*, 5. Auflage, 2019, S. 8, Rn. 19.

²² *Lackner/Kühl*, *Strafgesetzbuch, Kommentar*, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 2. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც. იხ. *ხარანაული ლ.*, სსკ-ის 177-ე მუხლის კომენტარი, ნიგნში: დვალიძე ი., ხარანაული ლ., თუმანიშვილი გ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი), თბ., 2023, გვ. 5, ველის ნომერი 20.

²³ *Fischer Th.*, *Strafgesetzbuch mit Nebengesetzen*, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 8; *Lackner/Kühl*, *Strafgesetzbuch, Kommentar*, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 5; *Eisele J.*, *Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte*, 5. Auflage, 2019, S. 7, Rn. 18; *Rengier R.*, *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 11, §2 Rn. 9.

²⁴ *Rengier R.*, *Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte*, 14. Auflage, 2012, S. 11, §2 Rn. 9.

²⁵ *Eisele J.*, *Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte*, 5. Auflage, 2019, S. 8, Rn. 19.

²⁶ *Schramm E.*, *Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung*, 2. Auflage, 2021, S. 44, §2 Rn. 13.

აღნიშნავს, რომ გარდაცვლილი ადამიანის განცალკევებადი სხეულის ნაწილების დაუფლები-სას, მიუხედავად იმისა, რომ ნივთზე საუბარი შესაძლებელია, ადგილი აქვს უბატონო ნივთის დაუფლებას, რაც გამორიცხავს ქურდობის შემადგენლობას²⁷.

ნივთად და საკუთრებაუნარიანად განიხილება მუშია. შესაბამისად, მის მიმართ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად²⁸. მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილი ადამიანი არ არის საკუთრებაუნარიანი სხეულებრივი საგანი, განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი შეიძლება მოქმედებდეს მუშიის მიმართ²⁹. აღნიშნული ეხება მაგალითად იმ შემთხვევას, როცა მუშია გამოფენილია მუზეუმში.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ნივთად ასევე მიიჩნევა ცოცხალი ადამიანის სხეულიდან გამოყოფილი ნივთიერებები, რომელსაც ღირებულება გააჩნია, ესენია: ადამიანის თმა, სისხლი³⁰. აღსანიშნავია ის, რომ მათ გააჩნიათ ეკონომიკური ღირებულება. ამაზე მიუთითებს ის, რომ ადამიანის თმა გამოიყენება სხვადასხვა მიზნით (პარიკის დასამზადებლად) და შესაძლებელია იგი წარმოადგენდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს. რაც შეეხება სისხლს, ადრე მოქმედი კანონმდებლობით სისხლის გაყიდვა შესაძლებელი იყო და მოქმედებდა კადრის დონორის ინსტიტუტი, დონორი იღებდა ფულად ანაზღაურებას, მაგრამ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით სისხლის დონორს ეკრძალება დონორობისთვის მიიღოს ანაზღაურება ფულის ან სხვა მატერიალური სარგებლის სახით. სისხლით და მისი კომპონენტებით უკანონო ვაჭრობისთვის სსკ-ში სპეციალური შემადგენლობა არსებობს (135-ე მუხ.). შესაბამისად,

ჩნდება კითხვა, ქართული კანონმდებლობის მიხედვით რამდენად მართებულია სისხლი ჩაითვალოს ქურდობის საგნად?

ნივთი არის მხოლოდ ის, რასაც ღირებულება აქვს, თუ ქურდობასთან დაკავშირებით ნივთად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომელსაც ცალკე აღებულს, არ აქვს ღირებულება, თუმცა შეიძლება გამოყენებულ იქნას ნივთის დასაუფლებლად? გამაერთიანებელი თეორიის მიხედვით, საბანკო ბარათი, რომელიც ფულის გასანაღდებლად გამოიყენება, არის საკუთრებაუნარიანი ანუ ნივთი ქურდობის მუხლის გაგებით. აღნიშნული თეორიის მიხედვით, იგივე ეხება იმ საგნებს (ბარათებს), რომლებიც ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება³¹. ასეთი შეიძლება იყოს ტალონები, რომლის მიხედვითაც შეიძლება მოხდეს ნივთების გადაცემა ან ტალონი, რომელიც ნივთების შექენის დროს გარკვეული დანაზოგის შესახებ ინფორმაციას ინახავს. ასეთ ტალონებს გასცემენ მაგალითად აფთიაქებში, სადაც ხდება ინფორმაციის შენახვა მომხმარებლის მიერ გაკეთებულ დანაზოგზე. ამ ტალონების საშუალებით შესაძლებელია მომხმარებელმა დამატებით მიიღოს გარკვეული სახის ნივთები ტალონის წარდგენის შედეგად. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისიც, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად არის შესაძლებელი ასეთი ტალონის წარდგენით სხვისი დანაზოგით (სხვისი ტალონით) სარგებლობა, ვინაიდან თუ ტალონით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ პიროვნების საიდენტიფიკაციო მონაცემების გათვალისწინებით და გამორიცხავს სხვა პირის მიერ ტალონით უნებართვოდ სარგებლობას, ასეთ შემთხვევაში ტალონმა შეიძლება დაკარგოს ის მნიშვნელობა, რომელიც არსებითია ქმედების ქურდობად დაკვალიფიცირებისთვის.

²⁷ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 11-12, §2 Rn. 9-9a.
²⁸ Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, 2019, S. 8, Rn. 20.
²⁹ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2003, გვ. 27; ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, გვ. 142- 143; ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მესამე გამოცემა, თბ., 2023, გვ. 103; კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური

ცნებები, თბ., 2009, გვ. 205-206.
³⁰ Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 5; Eisele J., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentumsdelikte und Vermögensdelikte, 5. Auflage, 2019, S. 7, Rn. 18; Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 11, §2 Rn. 9.
³¹ Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 28. Auflage, 2014, §242 Rn. 23.

რაც შეეხება საბანკო ბარათს, მისი გამოყენება შესაძლებელია საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოყენებით და თუ პირისთვის ეს მონაცემები ცნობილია, მან შეიძლება შეძლოს სხვისი საბანკო ბარათით თანხის დაუფლება. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, საბანკო ბარათის დაუფლებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა მიზნით მოხდა დაუფლება. თუ ბარათის დაუფლება მოხდება იმ მიზნით, რომ მოხდეს ფულის გამოტანა ბანკომატიდან და შემდგომ ბარათის უკან დაბრუნება, სახეზეა არა ქურდობა, არამედ კომპიუტერული თაღლითობა (263a პარაგრაფი), რომელიც შეიძლება საქართველოს სსკ-ის 286¹-ე მუხლს შევადაროთ³². ხოლო თუ სხვისი ბარათით ხდება მგზავრობის ღირებულების გადახდა, გამოთქმული შეხედულებით, სახეზე იქნება ქურდობა³³. თუმცა, განსახილველ შემთხვევათა დიფერენცირება მიზნის მიხედვით, შეიძლება საკამათო იყოს, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ხდება სხვისი საბანკო ბარათის უნებართვო გამოყენება და ორივე შემთხვევაში ამის შედეგად მესაკუთრის ქონება მცირდება. გარდა ამისა, მგზავრობის ღირებულების გადახდასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი იქნება ის, თუ რა ოდენობის გადასახადი იქნა გადახდილი, ვინაიდან როგორც უკვე ითქვა, ქმედების მცირე მნიშვნელობა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ვინაიდან ქურდობის საგანს სხვისი მოძრავი ნივთი წარმოადგენს, ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ისეთი საკვები და სასმელი, რომელიც ადამიანის შრომის შედეგად არის შექმ-

ნილი და სხვის მფლობელობაშია. თუ საქმე ეხება პროდუქტის დაუფლებას, რომლისგანაც საკვების დამზადება შეიძლება, მაგრამ უბატონოა, ქურდობის საგანად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, ტყეში არსებული სოკო.

ქურდობის საგანს არ წარმოადგენს პირადი მონაცემები, თუმცა ქურდობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ის, რაშიც ეს მონაცემები ინახება³⁴. მაგალითად, ჩიპი, კომპიუტერი. შესაბამისად, მხოლოდ პირადი მონაცემების დაუფლება ქურდობის შემადგენლობას ვერ შექმნის. პირადი მონაცემების უკანონოდ მოპოვება დაკვალიფიცირდება 157-ე მუხლით.

მისაკუთრების საგანთან ანუ ქურდობის ობიექტთან დაკავშირებით არსებობს სამი თეორია. სუბსტანციის თეორია მისაკუთრების საგანად განიხილავს ნივთს, რომლის მესაკუთრისთვის წართმევა შესაძლებელია. საგნის ღირებულების თეორია კი ყურადღებას ამახვილებს საგნის ღირებულებაზე და შესაბამისად, ქურდობას განიხილავს ქონებრივი დანაშაულის ერთ-ერთ სახედ. საგნის ღირებულება კი არის სახეობისა და ფუნქციის მიხედვით საგანთან დაკავშირებული ღირებულება. გამაერთიანებელი თეორია კი ახდენს საგნის სუბსტანციის და საგნის ღირებულების თეორიების პრაგმატულ კომბინირებას. აღნიშნული თეორიის მიხედვით საგნის ღირებულებას აქვს მხოლოდ სუბსიდიური მნიშვნელობა³⁵.

ქურდობის საგანთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში განხილვის საგანს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა: „ა“-მ იცოდა, რომ თანამობინადრეებმა ძალი იპოვეს, რომლის პატრონი მპოვნელს დააჯილდოვებდა. „ა“-

³² აღნიშნულ შემთხვევაში ქმედების 180-ე მუხლით (თაღლითობა) კვალიფიკაციას უჭერს მხარს ბ. ჯიშკარიანი, რომელიც მიუთითებს, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ასეთ დროს ქმედება ქურდობის მუხლით კვალიფიცირდება. იხ. ჯიშკარიანი ბ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, თბ., 2024, გვ. 22. როდესაც ბარათის მეორე პირისთვის გადაცემა ნებაყოფლობით ხდება და თანხის აღების შემდეგ იგი მიიძალეა და ბარათს მესაკუთრეს არ უბრუნებს, ამ შემთხვევაშიც ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას უჭერს მხარს ავტორთა ერთი ნაწილი. აღნიშნულზე იხ. ცქიტიშვილი თ., საკუთრების

წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ., 2023, გვ. 175 და შემდგომი.

³³ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 54, §2 Rn. 50.

³⁴ Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 3.

³⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 34-35; Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 27, §2 Rn. 41.

მ თანამობინადრეების დაუკითხავად ძალის მის პატრონს დაუბრუნა, რის გამოც მან ჯილდო მიიღო. „ა“-ს სურდა არა ძალის მისაკუთრება, არამედ ჯილდოს მიღება. უნდა ითქვას ის, რომ ეს ჯილდო რეალურად მის მპოვნელს ეკუთვნოდა, რაც წარმოშობს კითხვას იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა სახეზე სხვისი „ნივთის“ მისაკუთრება? სუბსტანციის თეორია უპირატესობას ანიჭებს ნივთზე ბატონობას, ხოლო საგნის ღირებულების თეორია მისთვის დამახასიათებელ ღირებულებას, ხოლო კომბინაციის თეორიის მიხედვით პირმა უნდა შეძლოს ან ნივთის დაუფლება ან იმ ღირებულების მიღება, რაც ნივთს უკავშირდება (ნივთის გამოყენება საკუთარი ინტერესებისთვის). ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, საგნის ღირებულების თეორიის მიხედვით საკითხის გადანყვეტა ქურდობის შემადგენლობის განვრცობის მომასწავებელი იქნებოდა, რაც ხელყოფს ნორმის განსაზღვრულობის კონსტიტუციურ მოთხოვნასაც, ვინაიდან ქმედების შემადგენლობაში საუბარია „ნივთის“ დაუფლებაზე. ცნებითი თვალსაზრისით ნივთი, როგორც სუბსტანცია და მისი ღირებულება ერთმანეთისგან იმიჯნება. კომბინაციის თეორიის გამოყენებას უკავშირებენ საფრთხეს, რომ ქურდობის შემადგენლობა შეიძლება იქცეს ქონებრივი დანაშაულის შემადგენლობად. ქურდობა არის არა ქონებრივი დანაშაული, არამედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული³⁶.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დასახელებული არგუმენტებით გამორიცხავენ ქურდობას, მაგრამ მიუთითებენ მპოვნელის ჯილდოს თაღლითურ მისაკუთრებაზე და სამკუთხა თაღლითობის კონსტელაციასზე³⁷.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა საკითხი შემდეგ შემთხვევაში: „ტ“ ფარულად დაეუფლება „კ“-ს მიერ ნაყიდ და გამყიდველ „ვ“-ს მიერ გაყიდულ, მყიდველთან ნასაღებად გამზადებულ საქონლის პაკეტს იმისთვის, რომ როგორც ცრუ შიკრიკს აღნიშნული პაკეტი „კ“-თვის მიეტანა, როგორც ამას „ვ“-სა

და „კ“-ს შორის შეთანხმება ითვალისწინებდა, რათა საქონლის შეძენის საფასური საქონლის მიტანისას მიეღო (ფსევდო შიკრიკის შემთხვევა). მოცემულ შემთხვევაში განახორციელა თუ არა „ტ“-მ ქურდობა, ითვლება მეტად საკამათოდ. თუ ავტორთა ერთი ნაწილი ქმედებას ქურდობით აკვალიფიცირებს, მეორე ნაწილი ქურდობას გამორიცხავს და თვლის, რომ სახეზეა სამმხრივი თაღლითობა. განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ყურადღების გამახვილება ხდება იმაზე, რომ „ტ“-ს მიერ განხორციელებული ქმედება საკუთრების წესრიგს არ შეესაბამება. ადგილი აქვს მესაკუთრის საკუთრების უფლებაში ჩარევას. ქურდობის დროს ქურდი გამოიყურება როგორც კვაზი მესაკუთრე, თუმცა განსახილველ შემთხვევაში არა როგორც მესაკუთრე, არამედ როგორც შიკრიკი, სხვისი ქონების მფლობელი. ფსევდო შიკრიკს, ბოროტმოქმედს არ აქვს გადანყვეტილი დაუფლებული საქონლის თავისი საკუთრებისთვის მიერთება, არამედ მიტანილი პროდუქტის გამო შემძენის მიერ გადახდილ ფულს შემძენის მოტყუების შედეგად ეუფლება, თუმცა ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, აღნიშნულ შემთხვევას არ მოიცავს საგნის ღირებულების თეორია (რომლის მიხედვითაც ქმედება ქურდობად დაკვალიფიცირდებოდა). ქურდობად ქმედების კვალიფიკაციის სასარგებლოდ მიუთითებენ იმას, რომ სხვისი საანაბრე ბართის გამოყენების შემთხვევის მსგავსად, ადგილი აქვს ქვითრის გამოყენებას, სადაც ხდება ნივთში განსხეულებული ღირებულების მისაკუთრება. თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ მიუთითებენ სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნივთის გამყიდველის უფლებაზე ნივთის შემძენის მიმართ. გარდა ამისა, შემძენი რჩება მესაკუთრედ³⁸.

3. ქურდობის კვალიფიცირებული შემადგენლობის დამაფუძნებელი საგანი

³⁶ Schramm E., Strafrecht, Besonderer Teil II, Eigentums- und Vermögensdelikte, Einführung, 2. Auflage, 2021, S. 53-54, §2 Rn. 47-49.

³⁷ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 34, §2 Rn. 57.

³⁸ Rengier R., Strafrecht, Besonderer Teil I, Vermögensdelikte, 14. Auflage, 2012, S. 34-35, §2 Rn. 58-59.

ქურდობის საგანს წარმოადგენს ასევე გაზი, თუმცა ქურდობის საგანი არ არის ელექტროენერგია³⁹. ამიტომ, ელექტროენერგიასთან დაკავშირებით გერმანულ სისხლის სამართლის კოდექსში, ქართულისგან განსხვავებით, სპეციალური შემადგენლობა არსებობს (248c-ე პარაგრაფი).

ქურდობის საგანს რომ გაზი შეიძლება წარმოადგენდეს, ამაზე მიუთითებს 177-ე მუხლში სპეციალური კვალიფიცირებული შემადგენლობის არსებობა მაგისტრალურ მილსადენში არსებული გაზის და ნავთობის დაუფლებასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში გაზრდილია ქმედების საშიშროება⁴⁰. გაზის და ნავთობის დაუფლება ყოველთვის არ ქმნის კვალიფიციურ შემადგენლობას. თუ საქმე ეხება არა მაგისტრალურ მილსადენში, არამედ ბალონში ან ბიდონში მოთავსებული გაზის ან ნავთობის დაუფლება, ქმედება არ დაკვალიფიცირდება სპეციალური ნორმით და ქმედების კვალიფიციაციის საკითხი გადნაყდება დაუფლებული ნივთის ღირებულების გათვალისწინებით. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მაგისტრალურ მილსადენში არსებულ გაზსა და ნავთობზე.

ქურდობის კვალიფიცირებული შემადგენლობის საგანს წარმოადგენს ასევე სატრანსპორტო საშუალება, ვინაიდან 177-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ქურდობას სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რომელიც განხორციელებულად ითვლება მაშინ, როცა ადგილი აქვს ავტომანქანის ან მისი ნაწილის დაუფლებას.

ქურდობის საგნის ღირებულება თუ ზოგჯერ პასუხისმგებლობას გამოორიცხავს, ცალკეულ შემთხვევებში, პირიქით, პასუხისმგებლობის დამძიმებას იწვევს. კერძოდ, ეს ეხება იმ შემთხვევას, როცა ნაქურდალის ღირებულება 150 (ასორმოცდაათ) ლარს აღემატება. ასეთ დროს სახეზეა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ხოლო თუ ნაქურდალის ღირებულება 10000 (ათიათას) ლარს აჭარბებს, ქმედება დიდი ოდენობით ქურდობად კვალიფიცირდება.

4. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქურდობის საგნის განსაზღვა ქართული სსკ-ის (მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი) მიხედვით მოითხოვს არა მხოლოდ იმის დადგენას, საქმე ეხება თუ არა სხვის ნივთს, არამედ მისი ღირებულების გათვალისწინებასაც. თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ქურდობა მაინც შეიძლება განხორციელებულად ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედმა პირმა მიმართა ისეთ ზომებს, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით ზიანს გარკვეულწილად, გამოორიცხავს (დაუფლებული ნივთის სხვა ნივთით ჩანაცვლება).

სხვის ნივთად შეიძლება ჩაითვალოს თანასაკუთრებაში არსებული ნივთიც. აგრეთვე, სხეულის განცალკევებადი ნაწილები, რომელიც საკუთრებაუნარიანია და აქვს მატერიალური ღირებულება. სხვის ნივთად ვერ ჩაითვლება უპატრონო ნივთი.

სხვისი ნივთის დაუფლებაში იგულისხმება არა მხოლოდ სხვის საკუთრებაში არსებული სხეულებრივი ნივთის დაუფლება, არამედ მისი ისეთი გამოყენებაც, რაც მას მასში განსხეულებულ ღირებულებას აცლის.

³⁹ Fischer Th., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 67. Auflage, 2020, §242 Rn. 3.

⁴⁰ ლეკვეიშვილი მ., წიგნში: ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 48.

► „სამენარმო გადაწყვეტილების თავისუფლების“ (Business Judgment Rule) წესი – დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების დამცავი მექანიზმი

1. დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის გაქარწყლებისთვის მოსარჩელე მხარემ უნდა დაამტკიცოს ოთხი კუმულაციური წინაპირობიდან, სულ მცირე ერთ-ერთის არარსებობა.

2. დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის გაქარწყლების შედეგად მტკიცების ტვირთი გადადის მოპასუხეზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მართებულობა.

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის განჩინება (საქმე: № ას-370-344-2017)

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ, რომელიც კომპანიის 49% წილის მფლობელი პარტნიორი იყო, სარჩელი შეიტანა მოპასუხის წინააღმდეგ, რომელიც 51% წილის მფლობელი პარტნიორი და ამავე დროს, საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იყო. დავაში მოსარჩელის მხარეს, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ჩაება კომპანია, როგორც მესამე პირი.

სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოსარჩელე ითხოვდა კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებას დირექტორისთვის.

კერძოდ, 2009-2010 წლებში, მოპასუხის დირექტორობის პერიოდში, საზოგადოების მიმართ დავალიანება გააჩნდა ხუთ მოვალეს. საერთო ჯამში, დავალიანების ღირებულებამ 52 303 ლარს მიაღწია. თავის მხრივ კი, მოპასუხეს არ მიუმართავს იძულებითი გადახდევინებების მექანიზმისთვის - დავალიანება გახდა ხანდაზმული, აღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო წარმოების გზით თანხების ამოღება აზრს მოკლებული, რამაც, შეუძლებელი გახადა მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგ არგუმენტაციებზე მითითებით: **პირველ მოვალეს** დავალიანება აღერიცხებოდა ჯერ კიდევ 2006 წლიდან, მაშინ, როდესაც საზოგადოებას მართავდა თავად დირექტორი. **მეორე მოვალესთან** დაკავშირებით დირექტორის მხრიდან წარდგენილი იყო ვალის აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა ვალის დაფარვის გრაფიკი. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, 2013 წლის აგვისტოში მოვალეს საბოლოოდ უნდა დაეფარა არსებული დავალიანება, თუმცა, ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი მოპასუხეს არ წარმოუდგენია. **მესამე მოვალეს** კომპანიამ მიანოდა სპარკის ბრენდის პროდუქცია, რომლის მიმართულებასაც ხელმძღვანელობდა მოსარჩელე მხარე, შესაბამისად, სწორედ ის იყო პასუხისმგებელი პირი, გადაეღვა ქმედითი ნაბიჯები, რათა მოვალეს დაეფარა აღნიშნული დავალიანება. **მეოთხე მოვალისგან** ვალის ამოღება კომპანიისთვის თანხების არამიზნობრივი ხარჯვა იქნებოდა, ვინაიდან ამ უკანასკნელს ქონება არ გაა-

ჩნდა. **მეხუთე მოვალესთან** მიმართებით დირექტორი აპელირებდა ურთიერთშემხვედრ ვალდებულებათა არსებობაზე და აქედან გამომდინარე მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვაზე, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებაც მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია.

გარდა აღნიშნულისა, მოპასუხის არგუმენტაციით, ზიანი, რომელზედაც მოსარჩელე აპელირებდა, მისთვის თავიდანვე იყო ცნობილი, თუმცა, ვალის ამოღების მიზნით მას არც ერთხელ გაუტარებია შესაბამისი ზომები.

ამასთან, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მოსარჩელე კომპანიაში იკავებდა დირექტორის მოადგილის პოზიციას ტექნიკურ დარგში და სწორედ მის ვალდებულებას წარმოადგენდა გადაედგა ქმედითი ნაბიჯები მოვალეების მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა: პირველი ინსტანციის სასამართლომ დირექტორის მხრიდან საზოგადოებისთვის ზიანის მიყენების ფაქტი ვერ დაადგინა, შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; მან მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა – მოპასუხეს, ზიანის ანაზღაურების სახით, კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 52 303 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხე მხარემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომელიც არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობა: სასამართლომ წინამდებარე დავის ფარგლებში მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის ამოქმედების მიზნებისთ-

ვის არსებულ წინაპირობებთან და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებასთან მიმართებით.

სასამართლოს განმარტებით, „სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ წესი მოქმედებს მხოლოდ ოთხი კუმულაციური წინაპირობის არსებობისას:

ა) გადაწყვეტილების მიღება

დირექტორი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას, ე. ი. მოქმედი პირი უნდა იყოს დირექტორი. დირექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად ითვლება ასევე მიზანმიმართული უმოქმედობა, რომელიც გააზრებულია და ორიენტირებულია კონკრეტული შედეგის დადგომისკენ.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დირექტორმა უნდა დაასაბუთოს, რომ მისი უმოქმედობა სწორი განსჯის თავისთავადი შედეგი და მიზანზე ორიენტირებული გადაწყვეტილება იყო. თუკი მოპასუხე ვერ დაასაბუთებს უმოქმედობის მიზანს, შესაბამისად, უმოქმედობა, როგორც დირექტორის მიერ მიღებული გააზრებული გადაწყვეტილება, გამოირიცხება.

მოქმედებაზე უარის თქმის მიზეზად მოპასუხის მიერ სავარაუდო შედეგზე აპელირებული არგუმენტი მხედველობაში ვერ მიიღება. თუკი დირექტორისთვის ცნობილია, რომ არსებობს კომპანიის მიმართ რამდენიმე დავალიანება, მან თანხების ამოღების მიზნით ყველა შესაძლო ზომას უნდა მიმართოს, ხოლო, დადგება თუ არა დადებითი შედეგი ეს დირექტორის მიერ განსახორციელებელი ვალდებულების ფარგლებში სამსჯელო საკითხს არ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია არა სავარაუდო შედეგი, არამედ, მიიღო თუ არა დირექტორმა კონკრეტული გადაწყვეტილებები, განახორციელა თუ არა კონკრეტული ქმედებები.

ბ) ინფორმაციის მოძიება

დირექტორი ვალდებულია ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს, რაც თავის თავში გულისხმობს კონკრეტული საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მოკვლევასა და დამუშავებას. კერძოდ, მან ეს უნდა გააკეთოს იმგვარად, როგორც ამას საშუალოდ სტატისტიკურად, სალად

მოაზროვნე ადამიანი გააკეთებდა კონკრეტულ სიტუაციაში.

წინამდებარე შემთხვევაში მოპასუხე მხარე წარმოადგენს არა ჩვეულებრივ ფიზიკურ პირს, არამედ საზოგადოების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. შესაძლებელია, კომპანიის დირექტორი არ იყოს იურიტი, შესაბამისად, არ ჰქონდეს ინფორმაცია ხანდაზმულობის თაობაზე და სწორედ ამიტომ ვერ განჭვრიტოს სავარაუდო სავალალო შედეგები, თუკი მისი მხრიდან დროულად არ მოხდება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა, კანონის არცოდნა ვერ იქნება დირექტორის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.

კერძოდ, დირექტორი პასუხისმგებელია „ჩვეულებრივი“ ზრუნვის გამოჩენისთვის (იხ. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 50 I მუხლი), დირექტორის ყოველდღიური საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს და უკავშირდებოდეს იურიდიულ საკითხებს და აღნიშნულ საკითხებთან მიმართებით გადაწყვეტილებების მიღებას. სწორედ ამიტომ, დირექტორმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები – გაიაროს კონსულტაცია იურისტებთან, მოიკვლიოს საკითხი და თუ საჭიროა, კანონებშიც გაერკვეს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ სწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება, კომპეტენტური და საზოგადოების ინტერესებისთვის საუკეთესო.

გ) კეთილსინდისიერება

დირექტორმა ყველა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს კეთილსინდისიერად, რაშიც იგულისხმება კანონსაწინააღმდეგო ქმედებისგან თავის შეკავება, თუნდაც კანონის გვერდის ავლით მიღებული გადაწყვეტილება მომავალში საზოგადოებისთვის მოგების მომტანი გახდეს. რა შეიძლება იგულისხმებოდეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, რომელიც თავის მხრივ მოგების მომტანი შეიძლება იყოს კომპანიისთვის? ხშირ შემთხვევაში გადასახადებისგან თავის არიდებით

ან გადასახადების დამალვით, დირექტორი შესაძლოა ცდილობდეს კომპანიისთვის მოგების მოტანას, თუმცა, ეს ქმედება ვერ ჩაითვლება მართებულად. აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ კომპანიის დირექტორის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევა წარმოადგენს საზოგადოების მიმართ ზრუნვის მოვალეობის დარღვევას, იმ პირობებშიც კი თუ ეს დარღვევა მომავალში კომპანიას დიდ ეკონომიკურ მოგებას მოუტანს.¹

დ) პირადი დაინტერესება

გადაწყვეტილების მიღების დროს დირექტორს არ უნდა ჰქონდეს პირადი დაინტერესება, რომელიც გავლენას მოახდენს საზოგადოების ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

თუკი აღნიშნული ოთხი წინაპირობიდან ერთ-ერთი მაინც გამოირიცხება, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია ქარწყლდება. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც გავლენას ახდენს მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე.

კერძოდ, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია დირექტორს იცავს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუკი გადაწყვეტილება მიღებულია ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კუმულაციური წინაპირობის დაცვით. თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, სულ მცირე ერთი წინაპირობის არარსებობას მაინც, დირექტორია ვალდებული ამტკიცოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისობა საზოგადოების საუკეთესო ინტერესებთან.

მტკიცების ტვირთის განაწილების ამგვარი თავისებურება განპირობებული და გამართლებულია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხშირად სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სწორად განსაჯოს დირექტორის მიერ

¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის განჩინება: №ას-1307-1245-2014 და 2025 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება №ას-1158-1104-2014.

მიღებული გადაწყვეტილება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად იყო საზოგადოებისთვის სასარგებლო ან ზიანის მომტანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სანამ მოსარჩელე მხარე არ დაამტკიცებს, რომ დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა ფიდუციური ვალდებულების დარღვევას (ზემოთ ჩამოთვლილი წინაპირობებიდან არ გამორიცხავს ერთ-ერთს მაინც), მოქმედებს დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების დამცავი მექანიზმი – „სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ (Business Judgment Rule) წესი.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ „სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ წესი, როგორც დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების დამცავი მექანიზმი, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დირექტორი, *კეთილსინდისიერების ფარგლებში*, ყოველგვარი *პირადი დაინტერესების გარეშე*, იღებდა *ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს*.

თუკი მოსარჩელე დაამტკიცებს აღნიშნული წინაპირობებიდან ერთ-ერთის არარსებობას მაინც, „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფცია ქარწყლდება, რის შემდეგაც, დირექტორს ეკისრება ვალდებულება, დაადასტუროს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მართებულობა და საზოგადოების საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობა.

გვანცა ტაკაშვილი

► **არაკატეგორიული (სავარაუდო) ექსპერტიზის დასკვნის შეფასების პროცესუალური თავისებურებანი**

1. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სასამართლოსთვის რომელიმე მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

2. თუკი ექსპერტი გამოთქვამს დასაბუთებულ ვარაუდს ხელმოწერის კონკრეტული პირისადმი კუთვნილების შესახებ (არაკატეგორიული ფორმით), მხარემ, რომელიც სადავოდ ხდის ხელმოწერის ავთენტურობას, უნდა წარმოადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით დაადასტურებს ხელმოწერის მის/სხვა პირის მიერ შეუსრულებლობას.

3. დამატებითი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, არაკატეგორიული საექსპერტო დასკვნით სასამართლო არ გაიზიარებს მხარის პოზიციას ხელმოწერის არანამდვილობის შესახებ.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 31 მაისის № ას-884-2021 განჩინება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 14 ივნისს მოპასუხესა და კრედიტორს შორის დაიდო ხელწერილი, რომლითაც მოპასუხემ იკისრა 25 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება 2017 წლის სექტემბრის ბოლომდე.

2019 წლის 10 დეკემბრის მოთხოვნის ცესიის აქტით კრედიტორმა გაასხვისა მოთხოვნა მოსარჩელეზე.

მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და დააყენა კრედიტორული მოთხოვნა მოპასუხისათვის 25 000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ.

მოპასუხემ სადავო გახადა 2017 წლის 14 ივნისის ხელწერილზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის საკითხი, მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დოკუმენტების ტექნიკური, ხელნაწერებისა და ხელმოწერების ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 9 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნით: ხელმოწერა, მოპასუხის სახელით, განლაგებული ხელწერილზე, 2017 წლის 14 ივნისით დათა-

რიღებული, ხელნაწერი ტექსტის ბოლოს, მარჯვენა მხარეს, სავარაუდოა, რომ შესრულებულია მოპასუხის მიერ. კატეგორიული ფორმით პასუხი ვერ გაცეცა წარმოდგენილი ნიმუშების ვარიაციულობის, შესაბამისი ნიმუშების სიმცირისა და უზარისხობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 25 000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხემ სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.06.2021 წლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობა: სააპელაციო განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საკასაციო სასამართლო მოიხმობს სსკ-ის 172-ე მუხლს, რომლის მიხედვით, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების მიერ 2020 წლის 9 ნოემბერს გაცემული დასკვნის თანახმად, ექსპერტმა გამოთქვა დასაბუთებული ვარაუდი, რომ 2017 წლის 14 ივნისის ხელნაწერზე ხელნაწერი ტექსტის ბოლოს შესრულებული ხელმოწერა შესრულებულია მოპასუხის მიერ.

სასამართლოს პოზიციით, მოპასუხემ, სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი შეჯიბრებითობის ფარგლებში, ვერ შეძლო იმ გარემოების დადასტურება, რომ 2017

წლის 14 ივნისის ხელნაწერზე ხელმოწერა მის მიერ არ ყოფილა შესრულებული. აღნიშნულის უკუდასკვნით, მოპასუხეს სასამართლოსთვის სათანადოდ უნდა დაესაბუთებინა და წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც სარწმუნოების მაღალი ხარისხით დაადასტურებდა, რომ ხელმოწერა მის მიერ არ იყო შესრულებული.

ბ) განმარტების მნიშვნელობა სამოსამართლო იურისპრუდენციისათვის

უზენაესი სასამართლოს განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი ელემენტები კონსტიტუციური მნიშვნელობისაა, რაც ემსახურება ერთგვაროვან სამართალშეფარდებასა და სამართლის განვითარებას.

გარდა ამისა, ნიშანდობლივი და საგულისხმოა წინამდებარე განჩინების კორელაცია საქსპერტო დასკვნების კლასიფიკაციასთან.

კერძოდ, კაუტელარული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ექსპერტის დასკვნის შედეგი შესაძლებელია იყოს: კატეგორიული დადებითი, კატეგორიული უარყოფითი ან სავარაუდო (აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმეს, რომლის მასალებში მოიპოვება მტკიცებულება, რომლითაც დასაბუთებული გარემოება დასტურდება).

პროცესუალური სამართალწარმოება კი მონიშნავს, რომ სავარაუდო კატეგორიის საქსპერტო დასკვნა ჭარბობს მტკიცებულებათა კვლევის ფორმატში.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრეცედენტი წარმოადგენს ორიენტირს სასამართლო კორპუსისთვის.

კომენტარი: სასამართლოს ნარატივი შესაბამისობაში მოდის შეჯიბრებითობისა (ადვერსარობის) და მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პროცესუალურ პოსტულატებთან. იგი ადგენს არაკატეგორიული (სავარაუდო) ექსპერტიზის დასკვნის შეფასების პროცესუალურ თავისებურებებს. კერძოდ, თუკი ექსპერტი გამოთქვამს დასაბუთებულ ვარაუდს ხელმოწერის კონკრეტული პირისადმი კუთვნილების შესახებ (არაკატეგორიული ფორმით), პროცესის

იმ სუბიექტმა, რომელიც სადავოდ ხდის ხელმოწერის ავთენტურობას, უნდა წარმოადგინოს სათანადოდ დასაბუთებული მტკიცება, რასაც გამყარებს იმგვარი მტკიცებულებებით, რომლებზე დაყრდნობითაც დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით დაადასტურებს ხელმოწერის მის/სხვა პირის მიერ შეუსრულებლობას.

სხვა შემთხვევაში, ასეთი (თუნდაც არაკატეგორიული) დასკვნით სასამართლო არ გაიზიარებს მხარის პოზიციას ხელმოწერის არანამდვილობის შესახებ.

თუმცა ყურადსაღებია, რომ პრაქტიკაში ოპერირებს ალტერნატიული ტენდენციაც, რომლის თანახმადაც, არაკატეგორიული საექსპერტო დასკვნის არსებობის პირობებში, როდესაც შეფასება შეიცავს ვარაუდზე დაფუძნებულ და განვითარებულ არგუმენტაციას, ხელმოწერის ავთენტურობა პრეზუმირებულად ხდება სკეპტიკური, რის გამოც ნეგატიური ფაქტის მტკიცების ტვირთი უნდა გადავიდეს მოსარჩელის

მხარეზე (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებული საქმე №2/6807-23).

საგულისხმოა, რომ საექსპერტო შეფასების კატეგორიული ფორმით კონსტრუირების სირთულის გათვალისწინებით, მეტად გავრცელებულია ჰიპოთეტური ექსპერტიზის დასკვნები საპროცესო სამართალწარმოებაში, რაც ქმნის მოპასუხის მხრიდან მტკიცების ტვირთის დაძლევის ობიექტურ სირთულეს.

დასკვნის სახით, არაკატეგორიული ექსპერტიზის არსებობის პირობებში, როდესაც ხელმოწერა სავარაუდოდ შესრულებულია კონკრეტული პირის მიერ, ჯეროვანი მტკიცებითი პოზიციონირებით უნდა დადგინდეს, რომ ხელმოწერა ფალსიფიცირებულია. ვარაუდზე დაფუძნებული საექსპერტო შეფასება არ იძლევა თვითმარ საფუძველს ხელმოწერის გაყალბებულად კვალიფიცირებისათვის.

ალექსანდრე შუბლაძე